ნინო შარაშენიძე
ეკა ბუთხუზი
მაკა ინაშვილი
თამთა ხუციშვილი
მედეა მექვაბიშვილი

# ამბები ჩემი ქვეყნიდან

## წიგნი 1



ნინო შარაშენიძე
ეკა ბუთხუზი
მაკა ინაშვილი
თამთა ხუციშვილი
მედეა მექვაბიშვილი

# ამბები ჩემი ქვეყნიდან

წიგნი I

წიგნი შექმნილია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის არაფორმალური განათლების პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის ხელმძღვანელი: ანი კუდუხაშვილი
პროგრამის კონსულტანტი: ნინო შარაშენიძე
კორექტორი: მაია წიკლაური
დიზაინერი: მარიამ ელიზბარაშვილი

წიგნში გამოყენებულია სხვადასხვა ინტერნეტრესურსი.

ISBN978-9941-807970-8

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

საპატრიარქოს

წინასიტყვაობა

„ამბები ჩემი ქვეყნიდან“ - ეს არის წიგნი, რომელიც უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბავშვებისთვის შეიქმნა.

თანამედროვეობამ მოიტანა, რომ დღეს ქართული დიასპორა მსოფლიოს 32 ქვეყანაში არსებობს. ამ წიგნის გამოცემით ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ჩვენი დიასპორის მიმართ მხარდაჭერასა და პატივისცემას.

ქართული დიასპორები ჩვენი სიმდიდრეა, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის; ჩვენი ქვეყნის ძალიან ძვირფასი ნაწილია; განსაკუთრებით ძვირფასი კი ბავშვები და ახალგაზრდები არიან - ჩვენი დიდი იმედი და მომავალი.

ჩვენ ვიცით, რამდენად რთულია სამშობლოსგან შორს, ყოველდღიურობაში ჩართულმა, შეინარჩუნო საკუთარი ფესვები; განსაკუთრებით რთულია ეს ბავშვებისთვის, რომლებიც სხვა ქვეყნის გარემოში იზრდებიან.

ამ წიგნის მიზანია, დაეხმაროს უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულე მოზარდებს, დაამყარონ კავშირი სამშობლოსთან, გაიგონ ამბები საქართველოდან, ეზიარონ ქართულ კულტურას და ჩვენს დიდ ისტორიას.

მოგეხსენებათ, ქართული ენა ის საყრდენია, რომელზეც დგას ჩვენი იდენტობა და უძველესი კულტურული მემკვიდრეობა. ჩვენი ვალია, ხელი შევუწყოთ უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ბავშვებს მშობლიური ენის შესწავლაში, მის შენარჩუნებასა და გაღრმავებაში. სწორედ ქართული ენაა, ქართველ ბავშვებში ეროვნულ თვითშეგნებას და პატრიოტულ სულისკვეთებას რომ აღძრავს და ავითარებს.

ბავშვებს, რომლებმაც იციან ქართული ენა და შეუძლიათ იკითხონ ქართული ლიტერატურა, უვითარდებათ უნარი, უკეთ შეიგრძნონ ეროვნული ტრადიციები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქართული დიასპორის ცხოვრებაში.

ამ წიგნში ბავშვებისთვის თავმოყრილია მარტივი და ადვილად გასაგები მასალა, რომელიც დაეხმარება მათ სიყვარულით და ხალისით შეისწავლონ ქართული ენა, გაიგონ ამბები საქართველოზე. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ბავშვისთვის, მოზარდისთვის, რომელმაც იცის მშობლიური ენა, ყველაფერი, რაც საკუთარ სამშობლოსთან აკავშირებს, მეტად ძვირფასია. იმედი გვაქვს, რომ ეს წიგნი განსაკუთრებით საყვარელი გახდება ბავშვებისთვის და იქნება ერთგვარი ხიდი უცხო ქვეყნის ყოველდღიურობასა და ქართულ ფესვებს შორის.

ჩვენი სურვილია, უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ბავშვებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, არ დაკარგონ კავშირი სამშობლოსთან, რათა საქართველოში დაბრუნებულებმა უცხოეთში შეძენილი განათლება და გამოცდილება საკუთარ ქვეყანაში ჩამოიტანონ და საქართველოს საჭიროებებს მიუსადაგონ. ასეთი მიდგომით, დარწმუნებული ვარ, რომ სამშობლოში დაბრუნებული ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულეები სწრაფად მოერგებიან საქართველოში არსებულ რეალობას და ინტეგრირებაც უფრო გაუადვილდებათ.

მჯერა, ჩვენ გვექნება თითოეული ქართველისთვის საოცნებო ქვეყანა, სადაც დაბრუნება და ცხოვრება სასურველი და საამაყო იქნება ყველასთვის. იცოდეთ და მუდამ გახსოვდეთ - სამშობლოს კარი ყოველთვის ღიაა.

**გივი მიქანაძე**

*საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრი*

საზღვარგარეთ მოქმედ ქართულ საკვირაო სკოლებში სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და თანამემამულე მოზარდებში ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად დგამს ქმედით ნაბიჯებს საკვირაო სკოლების მხარდასაჭერად, ერთიანი სტანდარტის დანერგვისა და სწავლების დონის ამაღლების მიმართულებით. საკვირაო სკოლების პედაგოგთა ჩართულობით და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით, უკვე შეიქმნა საკვირაო სკოლებისთვის A1 და A2 დონის სახელმძღვანელო - „33 გასაღები". ახლა კი ჩვენი დიასპორის საგანმანათლებლო სივრცეს შეემატა კიდევ ერთი საინტერესო წიგნი, დამხმარე რესურსი - „ამბები ჩემი ქვეყნიდან".

წიგნის სათაურიც და მისი შინაარსიც მეტყველებს მის ავტორთა კეთილშობილურ მიზანზე - ბავშვობიდან აზიარონ ჩვენი ემიგრანტი თანამემამულეები ქართული ენისა და კულტურის სიდიადეს, გააღვიძონ თითოეული მოზარდის სულში მისი ეროვნული კულტურისთვის დამახასიათებელი ფასეულობები და შთაუნერგონ მათ მიმართ სიყვარული და პატივისცემა.

წიგნს - „ამბები ჩემი ქვეყნიდან" - განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ილუსტრაციები, რომლებიც ჩვენი პატარა თანამემამულეების მიერაა შესრულებული. ეს მიუთითებს წიგნის საავტორო გუნდის სულისკვეთებაზე - შეუნარჩუნონ დიასპორის პატარა წარმომადგენლებს ემოციური კავშირი სამშობლოსთან, მის მდიდარ კულტურასთან და ტრადიციებთან.

დარწმუნებული ვართ, რომ „ამბები ჩემი ქვეყნიდან" თავის მნიშვნელოვან სიტყვას იტყვის ქართულ დიასპორაში მშობლიური ენის დაცვისა და შენარჩუნების, ასევე, ქართული კულტურული მემკვიდრეობისა და შემოქმედებითი აზროვნების საზღვარგარეთ პოპულარიზაციის საქმეში.

**ნოდარ კომახიძე**

*საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტის უფროსი*

ბედნიერებაა, რომ არსებობს: ქართული დიასპორის სურვილი - შეინარჩუნოს და თაობებს გადასცეს ტრადიციები; ოჯახების მონდომება - ქართულად ისაუბრონ ბავშვებთან და არ დაკარგონ ენა; ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ძალისხმევა - ტაძრები მხოლოდ ქრისტიანთა თავშეყრის ადგილად კი არა, კულტურულ ცენტრებად იქცეს.

დღეიდან ამ დიდ საქმეს ეს ლამაზი წიგნიც დაეხმარება - ,,ამბები ჩემი ქვეყნიდან''.

თავისი შინაარსით წიგნი უნიკალურია - საუკეთესო გზებით მიყავხარ ბავშვური აღქმის სიღრმეებიდან ეროვნული თვითშეგნებისკენ. ქართული ხალხური ზღაპრები, იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები, სულხან საბა ორბელიანის იგავ-არაკები და შეუდარებელი ანიმაციები ცოცხალ და გულშიჩამწვდომ ისტორიებს წარმოგვიდგენს ჩვენი სამშობლოს ცხოვრებიდან. წიგნის წაკითხვა და მისი შინაარსის გააზრება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ემიგრანტი ბავშვებისთვის, არამედ ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც დაინტერესებულია ქართული კულტურის, ენისა და ტრადიციების შენარჩუნებითა და განვითარებით.

წიგნი ილუსტრირებულია უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე ბავშვების ნახატებით, რაც

პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ იგი არა მხოლოდ სწავლების მიზნით ან გასართობად, არამედ საქართველოსთან ემოციური კავშირის დასამყარებლად არის შექმნილი.

ვფიქრობ, „ამბები ჩემი ქვეყნიდან“ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც საგანმანათლებლო, ასევე კულტურულ-საზოგადოებრივ სივრცეში და ღირსეულად მოემსახურება ქართული დიასპორის მომავალი თაობებისთვის ენობრივ-კულტურული იდენტობის შენარჩუნების საქმეს.

**დეკანოზი ანდრია (ჯაღმაიძე)**

*საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი*

ენა სამშობლოსთან კავშირის ყველაზე მძლავრი საშუალებაა. ენის ათვისება მის სიღრმეებში წვდომას ნიშნავს. ეს კი ხანგრძლივი და მიზანმიმართული პროცესი უნდა იყოს. „ამბები ჩემი ქვეყნიდან“ ქართული ენის დამხმარე რესურსია მათთვის, ვინც სამშობლოსგან შორსაა, სხვა გარემოში ცხოვრობს, მაგრამ საქართველოსთან კავშირის შენარჩუნებაზე ფიქრობს და იცის, რომ ამ კავშირს ყველაზე უკეთ ენით შეინარჩუნებს და გააძლიერებს. წიგნში მოცემული ტექსტები საქართველოთია სავსე, თაობების აზროვნების ჩამოყალიბებაში ამ ტექსტებმა გარკვეული როლი შეასრულა: გოგებაშვილის მოთხრობები, ხალხური ლექსები, ზღაპრები, გამორჩეული მულტფილმები, იგავ-არაკები, საყვარელი ლექსები, ხალხური გამოცანები, ანდაზები, თამაშები - ეს ის ტექსტებია, რომლებიც ქართულ სულს ატარებს... მაგრამ ტექსტი რომ სასწავლო რესურსად იქცეს, მას ბევრი რამ სჭირდება. სწორედ ეს მიზანი აქვს ამ წიგნს - არა მარტო წინა თაობების მეხსიერებაში ჩაძირული ამბები გააცნოს ახალ თაობას, არამედ ისინი ქართული ენის დასაუფლებელ დიდ ამოცანას მიუსადაგოს. სწორედ ამიტომაა, რომ მოცულობით მცირე ტექსტებს მრავალი აქტივობა ახლავს. ისინი გარკვეულ რუბრიკებშია წარმოდგენილი, რომ ენის ათვისების პროცესი სახალისო, საინტერესო და შედეგიანი იყოს. სიტყვების სწავლის გასაადვილებლად **„ლექსიკაზე მუშაობის“** რუბრიკა და ბევრი სავარჯიშოა მოცემული; **„რა ვიცით თემის შესახებ“** - ენის შემსწავლელს იმ ფონურ ცოდნას გაუაქტიურებს, რომელიც ტექსტის წაკითხვამდე უნდა არსებობდეს; **„ვკითხულობთ ტექსტებს“** - კითხვის პროცესისთვისაა; **„ენა და ტექსტი“** კი მრავალ ენობრივ საკითხს ააქტიურებს; ენის შემსწავლელს ქართული გრამატიკის სამყაროში ფრთხილად, მაგრამ ხალისით შეიყვანს და ძალდაუტანებლად დააუფლებს ბევრ საკითხს; **„ვმსჯელობთ ტექსტების შესახებ“** - საუბრისა და მსჯელობის უნარის განვითარებაში დაეხმარება, ხოლო **„წერითი დავალება“** მიღებული ცოდნის ახალ ტექსტად ქცევის უნარებს დააუფლებს. ქართული ენის სწავლა რომ ხალისიან და საინტერესო პროცესთან იყოს გაიგივებული, ამის განწყობას წიგნში ცალკე ჩანართი თავები შექმნის: **„გართობის დროა“** - ენის შემსწავლელს ხალხურ გამოცანებს შესთავაზებს, **„რას გვასწავლის ანდაზა“** ხალხურ სიბრძნეს გააცნობს და მასზე ასაუბრებს - რას ფიქრობს ხალხი და რას აყალიბებს ანდაზის სიბრძნედ. რუბრიკა **„თამაშის დროა“** კი იმ თამაშებს გვასწავლის, რომლებიც საქართველოში ყველასათვის ნაცნობია და ამასთანავე ენობრივი დანიშნულება აქვს - ის, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის განმტკიცებაში დაეხმარება ენის შემსწავლელს.

წიგნის ავტორ-შემდგენლებმა ბევრ რამეზე იფიქრეს, სანამ ეს წიგნი მკითხველებამდე მივიდოდა. ისღა დაგვრჩენია, მას ბევრი წარმატება ვუსურვოთ ქართულ სამყაროში დასამკვიდრებლად.

**ნინო შარაშენიძე**

*სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი*

# შინაარსი

## თავი 1. ტექსტები დედაენიდან

„ოთხი სურვილი“ ... 10
ცრუპენტელა ... 24
რა არ არის კარგი ... 38
სიკეთე გადამდებია... ... 52

გართობის დრო ... 72

## თავი 2. ხალხური შემოქმედება

„მზეო, ამოდი, ამოდი...“ ... 78
„თხა და ვენახი“ ... 96
„ათასად კაცი დაფასდა...“ ... 108
ლექსები მეფეებზე ... 120

გართობის დრო ... 132

## თავი 3. საყვარელი ტექსტები

წელიწადის დროები ... 138
„ყველას თავისი დედიკო უყვარს...“ ... 154
მეგობრები ... 168
ჩვენი საქართველო ... 178

გართობის დრო ... 188

## თავი 4. ქართული იგავ-არაკები

ჭკუის სასწავლი ... 194
მოხერხებული ... 210
ძალა ერთობისა ... 224
სიხარბე ... 238

გართობის დრო ... 250

## თავი 5. პატარა და დიდი ამბები

ამაყი ყვავილი ... 256
ქეთუნა და ჩიტი ... 268

გართობის დრო ... 280

## თავი 6. ქართული ზღაპრები

კომბლე ... 286
რწყილი და ჭიანჭველა ... 298

გართობის დრო ... 316

## თავი 7. ქართული ანიმაცია

წუნა და წრუწუნა ... 322

გართობის დრო ... 342

# 1

# ტექსტები
# დედაენიდან



*მარიამ ამბარდნიშვილი, 8 წლის*

## „ოთხი სურვილი"

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. დააკავშირე სიტყვა სურათთან:**



## 2. წელიწადის რომელი დროა სურათებზე? მიუწერე თითოეულ ნახატს შესაბამისი სიტყვა:

ზამთარი / გაზაფხული / შემოდგომა / ზაფხული



*მანანა გორგასლიძე, 9 წლის*

............................... ............................... ............................... ...............................

## 3. დააკავშირე სიტყვა განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| ა) ვენახი • | • ადგილი, სადაც ხეხილია გაშენებული; |
| ბ) ბაღი • | • ადგილი, სადაც ვაზია გაშენებული. |

## 4. რა არის გამოსახული სურათებზე? თითოეულ ნახატს მიუწერე შესაბამისი სიტყვა:

ვენახი / ხეხილის ბაღი



..................................



..................................

## 5. დააკვირდი და სურათებს და შეაერთე ხაზებით გამაერთიანებელ სახელთან:

წელიწადის დროები / ადგილი

| | | | |
|---|---|---|---|
|  |  |  |  |
| .................................................... | | | |






..................................................

## 6. დააკავშირე ანტონიმები:

| | |
|---|---|
| პატარა | უშნო |
| გახარებული | ცუდი |
| ბევრი | დიდი |
| ლამაზი | ცოტა |
| კარგი | მოწყენილი |
| სავსე | ცარიელი |
| მწიფე | მკვახე |

## 7. რომელია „ლამაზის“ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა?

ა) მშვენიერი

ბ) პატარა

გამოიყენე სიტყვა “მშვენიერი” და შეადგინე წინადადება

.........................................................................................................................................................................

## 8. წაიკითხე სიტყვის განმარტება და დაასრულე წინადადება:

რთველი - ყურძნის კრეფა

ა) შემოდგომაზე ყურძნის კრეფას ჰქვია .......................................... .




*კახი კაიშაური, 12 წლის*

## 9. როგორ ფიქრობ, რის შესახებ იქნება ტექსტი? შეგიძლია, გამოიყენო ფრაზები:

ა) მე ვფიქრობ, ეს ტექსტი იქნება ...
ბ) ჩემი აზრით, ტექსტი იქნება ...

# ვკითხულობთ ტექსტს

## ოთხი სურვილი

ნიკომ პატარა ციგით ბევრი ისრიალა თოვლზე; მერე გახარებულმა მამასთან მიირბინა და უთხრა: „უჰ, მამიკო, რა კარგია ზამთარი, ნეტავ სულ ზამთარი იყოს!“

- შენი სურვილი დღიურში ჩაწერე, - სთხოვა მას მამამ. ნიკომ ჩაწერა.

დადგა გაზაფხული.  ნიკო და მამა სასეირნოდ წავიდნენ. ნიკომ ბევრი ყვავილი მოკრიფა, ლამაზი თაიგულები გააკეთა; მერე მამასთან მიირბინა და უთხრა: „რა მშვენიერია  გაზაფხული, ნეტავ სულ გაზაფხული იყოს!“ ნიკომ ეს სურვილიც დღიურში ჩაწერა.

მოვიდა ზაფხული. ნიკო და მამამისი მინდორში ერთად წავიდნენ. ბავშვი მთელი დღე მხიარულად იყო; ხან მდინარეში იცურავა, ხან  მარწყვი მოკრიფა. საღამოს მამასთან მივიდა და უთხრა: „უჰ, დღეს რა კარგი იყო... ვისიამოვნე! რა კარგი იქნებოდა, რომ მუდამ ზაფხული იყოს“. მამამისის რჩევით,  ნიკომ ეს სურვილიც დღიურში ჩაწერა.
დადგა შემოდგომა. ბაღები მწიფე ხილით აივსო; ვენახში დამწიფდა ყურძენი. ნიკომ რთველში ბევრი მტევანი მოკრიფა  და საღამოს მამას უთხრა:

- მამა, შემოდგომა ყველა დროზე უკეთესია!

მაშინ მამამ დღიური აიღო და ნიკოს ყველა მისი ჩაწერილი სურვილი  წააკითხა.
ნიკო მიხვდა, რომ წელიწადის ყველა დრო კარგია.



*საიდი რიაზი, 8 წლის*

## როგორ გავიგეთ ტექსტი

**- რით ისრიალა ნიკომ თოვლზე?**

ა) ციგით; ბ) თხილამურებით.

**- ციგით სრიალის შემდეგ, რა უთხრა ნიკომ მამას?**

ა) ნიკომ უთხრა მამას, რომ ზამთარი კარგია;
ბ) ნიკომ უთხრა მამას, რომ ციგით სრიალი ცუდია.

**- რა სთხოვა მამამ ნიკოს?**

ა) მამამ ნიკოს სთხოვა, თავისი სურვილი დღიურში ჩაეწერა.
ბ) მამამ ნიკოს სთხოვა, თოვლის ბაბუა ერთად გაეკეთებინათ.

**- სად წერდა ნიკო თავის სურვილებს?**

ა) დღიურში; ბ) თოვლზე; გ) წიგნში.

**- ტექსტის მიხედვით, წელიწადის რომელ დროს არის ნიკო ბედნიერი?**

ა) ზამთარში; ბ) გაზაფხულზე; გ) შემოდგომაზე; დ) წელიწადის ყველა დროს.

**- რას მიხვდა ნიკო?**

ა) ნიკო მიხვდა, რომ წელიწადის ყველა დრო კარგია;
ბ) ნიკო მიხვდა, რომ ციგით სრიალი ყველაზე კარგია;
გ) ნიკო მიხვდა, რომ მდინარეში ცურვა ყველაზე კარგია;
დ) ნიკო მიხვდა, რომ მწიფე ხილი ყველაზე კარგია.

## 10. გაიხსენე, წელიწადის რომელ დროს რა ხდება და რას აკეთებს ნიკო:

| | შემოდგომაზე | ზაფხულში | გაზაფხულზე | ზამთარში |
|---|---|---|---|---|
| ნიკომ ციგით ბევრი ისრიალა. | | | | + |
| ნიკომ ბევრი ყვავილი მოკრიფა. | | | | |
| ნიკო და მამამისი მინდორში ერთად წავიდნენ. | | | | |
| ნიკომ ლამაზი თაიგულები გააკეთა. | | | | |
| ნიკომ რთველში ბევრი მტევანი მოკრიფა. | | | | |
| ნიკომ მდინარეში იცურავა. | | | | |
| ბაღები მწიფე ხილით აივსო. | | | | |
| ვენახში დამწიფდა ყურძენი. | | | | |

## 11. რას გამოხატავს ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში - „ნეტავ, სულ ზამთარი იყოს?“

ა) დიდ სურვილსა და ოცნებას;     ბ) სიხარულს.

**გამოიყენე სიტყვა „ნეტავ“ და შეადგინე წინადადება:**

........................................................................................................................

## ენა და ტექსტი

### 12. დააკვირდი და შემოხაზე სწორი ფორმები:

**ოთხი სურვილი**

რადგან „ოთხი“ ერთზე მეტს ისედაც აღნიშნავს, მასთან არსებით სახელს მრავლობითი რიცხვის **-ებ** ნიშანი აღარ სჭირდება.

| | |
|---|---|
| ა) ოთხი სურვილი | ოთხი სურვილები |
| ბ) ორი ციგები | ორი ციგა |
| გ) ხუთი დღიური | ხუთი დღიურები |

იგივე წესი ვრცელდება შემდეგ სიტყვებთან: ბევრი, ცოტა, ყველა, უამრავი, რამდენიმე, სხვადასხვა.

### 13. მოცემულ სიტყვებს შეურჩიე არსებითი სახელი შესაბამის რიცხვში და ჩაწერე:

ა) ბევრი ........................................ სურვილი / სურვილები

ბ) ცოტა ............................................ მარწყვები / მარწყვი

გ) ყველა ........................................ ყვავილი / ყვავილები

დ) უამრავი ...................................... დღიური / დღიურები

ე) რამდენიმე ..................................... მტევანი / მტევნები

ვ) სხვადასხვა ................................ მდინარე / მდინარეები

## 14. დააკვირდი ცხრილს და შეასრულე ქვემოთ მოცემული სავარჯიშო:

| არსებითი სახელი | რით? |
|---|---|
| ციგა | ციგით |
| მანქანა | მანქანით |
| ავტობუსი | ავტობუსით |
| ველოსიპედი | ველოსიპედით |

ციგ~~ა~~ + ით - ციგით
მანქან~~ა~~ + ით - მანქანით

**ჩასვი სიტყვები სწორ ფორმაში:**

ა) მე მივდივარ სკოლაში ............................................................... (მანქანა).

ბ) ნიკომ ბევრი ისრიალა ..................................................... თოვლში (ციგა).

დ) ნიკო დადის სკოლაში ........................................................... (ავტობუსი).

ე) ზაფხულში ნიკომ ბევრი ისეირნა ....................................... (ველოსიპედი).

## 15. უპასუხე კითხვებს. გამოიყენე ქვემოთ მოცემული სიტყვები:

ფეხით / ციგით / ავტობუსით / ხილით

ა) რით მიდის ნიკო სკოლაში?

..........................................................................................................................

ბ) რით ისრიალა ანამ თოვლში?

..........................................................................................................................

გ) რით აივსო ხეხილის ბაღები შემოდგომაზე?

..........................................................................................................................

დ) მარის სკოლა შორსაა. რით მიდის მარი სკოლაში?

..........................................................................................................................

## 16. მოცემული სიტყვებით შეადგინე წინადადებები:

ველოსიპედით / თხილამურებით / ყვავილებით

ა) ..........................................................................................................................

ბ) ..........................................................................................................................

გ) ..........................................................................................................................

## 17. დააკვირდი ცხრილს და უპასუხე კითხვებს:

| რა? | როდის? |
| --- | --- |
| ზამთარი | ზამთარ**ში** |
| ზაფხული | ზაფხულ**ში** |
| შემოდგომა | შემოდგომა**ზე** |
| გაზაფხული | გაზაფხულ**ზე** |

ა) როდის ისრიალა ნიკომ ციგით თოვლზე?

..........................................................................................

ბ) როდის დაკრიფა ნიკომ ყურძენი?

..........................................................................................

გ) როდის იცურავა მდინარეში ნიკომ?

..........................................................................................

დ) როდის დაკრიფა ნიკომ ყვავილები?

..........................................................................................



*ნიკა ბარბაქაძე, 14 წლის*

## 18. დააკვირდი ცხრილს და ჩასვი ზმნები სწორ ფორმაში:

| ახლანდელი | წარსული |
|---|---|
| მირბის ის (ბიჭი) | მიირბინა მან (ბიჭმა) |
| სრიალებს ის (ნიკო) | ისრიალა მან (ნიკომ) |
| წერს ის (ბიჭი) მას (წერილს) | დაწერა მან (ბიჭმა) ის (წერილი) |
| კრეფს ის (ბიჭი) მას (ყურძენს) | მოკრიფა მან (ბიჭმა) ის (ყურძენი) |
| იღებს ის (ბიჭი) მას (დღიურს) | აიღო მან (ბიჭმა) ის (დღიური) |

*ნიმუში: ნიკო მამასთან **<u>მირბის</u>** (მირბის / მიირბინა).*

ა) **ჩემი ძმა** ყურძენს .........................................................(მოკრიფა / კრეფს).

ბ) **ჩემი მეგობარი** თოვლზე ......................................... (ისრიალა / სრიალებს).

გ) **დედა** დღიურს ...................................................................(წერს / ჩაწერა).

დ) **მამა** მაგიდიდან წიგნს .........................................................(აიღო / იღებს).

## 19. იპოვე სწორი ფორმები და შეავსე გამოტოვებული ადგილები:

ა) პატარა ბიჭი / პატარა ბიჭმა ......................................... დედასთან მიირბინა.

ბ) ნინომ / ნინო ........................................................................ წიგნი და რვეული აიღო.

გ) გახარებული ნიკო / გახარებულმა ნიკომ ......................................... ბევრი ისრიალა თოვლზე.

დ) მამა / მამამ ....................... ბევრი ლამაზი ყვავილი მოკრიფა მინდორში.

ე) იაკობ გოგებაშვილი / იაკობ გოგებაშვილმა ................................................................. დაწერა მოთხრობა „ოთხი სურვილი“.

## 20. შეადგინე წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

ა) (სრიალებს) ...........................................................................................................................

ბ) (წერს)...................................................................................................................................

გ) (აიღო) ..................................................................................................................................

დ) (ისრიალა)..............................................................................................................................

ე) (მიირბინა)..............................................................................................................................

ვ) (მირბის) ................................................................................................................................

## წერითი დავალება

**- წაიკითხე, ამოირჩიე ერთი სურვილი და დაწერე ნიმუშის მიხედვით:**

*ნიმუში: რა კარგი იქნებოდა, რომ მუდამ ზაფხული იყოს, რადგან ძალიან მიყვარს ზღვა და ცურვა.*

ა) რა კარგი იქნებოდა, რომ მუდამ ზამთარი იყოს, ...
ბ) რა კარგი იქნებოდა, რომ მუდამ ახალი წელი იყოს, ...
გ) რა კარგი იქნებოდა, რომ ახლა ჩემი დაბადების დღე იყოს, ...

**- დაამატე შენი სურვილი / სურვილები:**

დ) რა კარგი იქნებოდა, ....................................................................................................

......................................................................................................................................................

**- დაწერე, წელიწადის რომელ დროს რას აკეთებ:**

ა) ზამთარში.................................................................................................................................

ბ) გაზაფხულზე ...........................................................................................................................

გ) ზაფხულში ...............................................................................................................................

დ) შემოდგომაზე ..........................................................................................................................



*გვანცა აბაშიშვილი, 12 წლის*

# ცრუპენტელა

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. დააკავშირე სიტყვა სურათთან:**







ცხვარი

მგელი

გლეხი

ჭიდაობა

ყირამალა

ფარა







## 2. დააკავშირე სიტყვა განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| ა) ზარმაცი • | • აქ: სოფლის ცენტრალური ადგილი. |
| ბ) ხალხმრავალი • | • ვისაც შრომა ეზარება. |
| გ) ბეჯითი • | • საკუთარი თავით კმაყოფილი. |
| დ) თავმომწონე • | • ადგილი, სადაც ბევრი ადამიანია ერთად. |
| ე) ცრუპენტელა • | • მატყუარა. |
| ვ) მოედანი • | • მშრომელი, საქმისმოყვარე. |
| ზ) გლეხი • | • ადამიანი, რომელიც სოფელში ცხოვრობს და მიწას ამუშავებს (იგივეა, რაც ფერმერი). |

## 3. რას ნიშნავს ხაზგასმული გამოთქმა წინადადებაში - „ნიკომ ნანას ყურიც არ ათხოვა“?

ა) ნიკომ ანას არც შეხედა;

ბ) ნიკომ ნანას არც მოუსმინა.

**გამოიყენე გამოთქმა „ყურიც არ ათხოვა“ და შეადგინე წინადადება:**

..........................................................................................................................................



*დავით ჭიჭველიშვილი, 13 წლის*

## 4. დააკავშირე ზედსართავი სახელი შესაბამის სიტყვასთან:

ზარმაცი
ხალხმრავალი
ბეჯითი
ადამიანი — თავმომწონე — ადგილი
ფართო
ვიწრო
ცრუპენტელა

## 5. რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვები - „ძლიერმა წვიმამ დიდი ზიანი მიაყენა ხეხილის ბაღებს“?

ა) გააფუჭა, დააზიანა, ცუდი რამ დამართა;
ბ) დაასველა, გაახარა, გაზარდა.

| „ზიანი მიაყენა“ იგივეა, რაც დააზიანა. |
|---|

**ნიმუშის მიხედვით შეადგინე წინადადება და გამოიყენე სიტყვა „დააზიანა“:**

*ნიმუში: ზამთარში დიდი თოვლი მოვიდა. თოვლმა დააზიანა სახლები.*

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

**6. რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვები წინადადებაში - „დაღამდა. გოგონას <u>ძილი მოერია</u>“?**

ა) აღარ ეძინება;

ბ) ეძინება.

**გამოიყენე ფრაზა „ძილი მოერია“ და შეადგინე წინადადება:**

........................................................................................................................................................

**7. რომელი სიტყვაა „უკუღმას“ ანტონიმი?**

ა) წაღმა, სწორად;

ბ) ღრმა, დიდი.

**გამოიყენე სიტყვა „უკუღმა“ და შეადგინე წინადადება:**

*ნიმუში: ნანამ კაბა უკუღმა ჩაიცვა.*

........................................................................................................................................................

**8. რას ნიშნავს სიტყვა „ყირამალა“?**

ა) მხიარულს;

ბ) თავდაყირას.

**9. რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში - „თხა ბალახს <u>ძოვს</u>“?**

ა) ჭამს;

ბ) უყურებს.



*სესილია ბანცაძე, 9 წლის*

**დააკავშირე ზმნა შესაბამის სიტყვასთან:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ადამიანი • | • | ძოვს | • | • ცხოველი |
| | • | ჭამს | • | |

## 10. დააკვირდი და დაასრულე წინადადება:

ვითომ - გამოიყენება არარეალური მოქმედების აღსანიშნავად.

*ნიმუში: ვითომ წვიმს, ანუ არ წვიმს.*

ა) ვითომ ნიკა მასწავლებელია, ანუ ..........................................................................................

ბ) ვითომ ძალიან შეგვეშინდა, ანუ ..........................................................................................

## რა ვიცით თემის შესახებ

**- როგორ ფიქრობ, რის შესახებ იქნება ტექსტი „ცრუპენტელა“?**

მე ვფიქრობ, ...
ჩემი აზრით, „ცრუპენტელა“ იქნება ...

**- შენი აზრით, რატომ იტყუებიან ადამიანები?**

ა) ეშინიათ სიმართლის თქმის; ბ) ერთობიან.

**- შენ თუ მოგიტყუებია ვინმე? თუ - კი, რატომ? შეგიძლია, გამოიყენო ფრაზები:**

ა) ერთხელ მოვატყუე ...
ბ) მე არასდროს მომიტყუებია ვინმე, რადგან ვფიქრობ, რომ ...

**- როგორ ფიქრობ, რის შესახებ იქნება ტექსტი „თხა და გიგო“?**

მე ვფიქრობ, ...
ჩემი აზრით, „თხა და გიგო“ იქნება ...

**- გიყვარს თუ არა ხალხმრავალ ადგილას ყოფნა?**

ა) კი, მიყვარს ხალხმრავალ ადგილას ყოფნა, იმიტომ რომ ...
ბ) არა, არ მიყვარს ხალხმრავალ ადგილას ყოფნა, იმიტომ რომ ...

**- შეგიძლია ყირამალა გადასვლა?**

ა) კი, შემიძლია ყირამალა გადასვლა;
ბ) არა, არ შემიძლია ყირამალა გადასვლა, რადგან რთულია ჩემთვის.

**- ვინ არის სურათზე გამოსახული?**



ა) მწყემსი; ბ) მასწავლებელი.

# ვკითხულობთ ტექსტებს

## ცრუპენტელა

ერთი ბიჭი ცხვრებს აძოვებდა. ვითომ მგელი დაინახა, დაიწყო ყვირილი: მიშველეთ, მგელიო. გლეხები გაიქცნენ, ნახეს ტყუილი იყო. ასე მოატყუა ბიჭმა გლეხები მეორედ და მესამედ. ბოლოს, მეოთხედ მგელი მართლა მოვიდა. ბიჭმა დაიწყო ყვირილი: მიშველეთ, მგელიო! გლეხებს ეგონათ, კიდევ გვატყუებსო და ყურიც არ ათხოვეს. მგელი დაერია ფარას. ცხვრები შეჭამა და დიდი ზიანი მიაყენა პატრონს.



თომა კლდიაშვილი, 9 წლის

## თხა და გიგო

იყო ერთი ზარმაცი გიგო. ერთხელ თქვა:

- მოდი, მეზობლებს თავს მოვაწონებ ბეჯითობით.

გამოვიდა სახლიდან, გამოიტანა წიგნი და სოფლის მოედანზე, ხალხმრავალ ადგილას დაჯდა. მერე წიგნი მუხლებზე დაიდო, გადაშალა და შიგ ყურება დაიწყო, ვითომ რა ბეჯითი ბიჭი ვარ, ერთი შემომხედეთო.

გიგოს წიგნი უკუღმა ედო, არ კითხულობდა და შიგ ტყუილად იყურებოდა. მალე ძილი მოერია და თავის ქნევა დაიწყო.

ამ დროს მეზობლის თხა გარეთ გამოვიდა. გიგოს თავის ქნევა რომ დაინახა, თხას ეგონა, საჭიდაოდ მიწვევსო, გაექანა, რქებით დაეჯახა და ყირამალა გადაატრიალა ჩვენი თავმომწონე გიგო.



ალექსანდრე თურქაძე, 8 წლის

# როგორ გავიგეთ ტექსტი

## 11. „ცრუპენტელა“

**- რას აკეთებდა ბიჭი?**

ა) ცხვრებს აძოვებდა;    ბ) ნადირობდა.

**- რა ტყუილი უთხრა ბიჭმა გლეხებს?**

ა) ბიჭმა უთხრა გლეხებს, რომ ცხვრები დაეკარგა;
ბ) ბიჭმა უთხრა გლეხებს, რომ ფეხი იტკინა;
გ) ბიჭმა უთხრა გლეხებს, რომ მგელი დაინახა.

**- რამდენჯერ მოატყუა ბიჭმა გლეხები?**

ა) ბიჭმა გლეხები ერთხელ მოატყუა;
ბ) ბიჭმა გლეხები ორჯერ მოატყუა;
გ) ბიჭმა გლეხები სამჯერ მოატყუა.

**- რატომ არ დაეხმარნენ გლეხები ბიჭს, როცა მგელი მოვიდა?**

ა) გლეხებს ეგონათ, რომ ბიჭი ისევ იტყუებოდა;
ბ) გლეხებმა ბიჭის ხმა ვერ გაიგეს;
გ) გლეხები მუშაობდნენ და არ ეცალათ.

**- რას ნიშნავს სიტყვები „მგელი დაერია ფარას“?**

ა) მგელმა ბევრი ცხვარი შეჭამა;
ბ) მგელი ცხვარს ვერ დაეწია;
გ) მგელმა ცხვრები შეაშინა.

**- ტექსტის მიხედვით, როგორია ბიჭი?**

ა) მატყუარა;    ბ) მშიშარა;    გ) უშიშარი.

## 12. „თხა და გიგო“

**- რა უნდოდა გიგოს?**

ა) მეზობლებისთვის თავი მოეწონებინა; ბ) ბევრი წიგნი წაეკითხა.

**- სად წავიდა ბიჭი წიგნით ხელში?**

ა) სკოლაში; ბ) სოფლის მოედანზე.

**- როგორი ადგილი შეარჩია ბიჭმა სოფლის მოედანზე?**

ა) ხალხმრავალი; ბ) ხმაურიანი.

**- წინადადებაში - „ვითომ რა ბეჯითი ბიჭი ვარო“ - რომელი სიტყვა აჩვენებს, რომ გიგო ბეჯითი არ არის?**

ა) ვარო; ბ) ვითომ; გ) ბიჭი.

**- წინადადებაში - „წიგნი უკუღმა ედო“ - რომელი სიტყვა აჩვენებს, რომ გიგოს წიგნი არასწორად ეჭირა?**

ა) ედო; ბ) უკუღმა.

**- რა დაინახა მეზობლის თხამ?**

ა) როგორ აქნევდა თავს ძილმორეული გიგო; ბ) გიგო როგორ კითხულობდა წიგნს.

**- მეზობლის თხას გიგოს თავის ქნევა რა ეგონა?**

ა) ეგონა, რომ საჭიდაოდ იწვევდა; ბ) ეგონა, რომ დასახმარებლად ეძახდა.

**- რა დაემართა ბოლოს გიგოს?**

ა) მეზობლის თხა დაეჯახა და გადაატრიალა; ბ) ხალხმა იფიქრა, რა ბეჯითი ბიჭიაო.

**- ტექსტის მიხედვით, როგორია გიგო?**

ა) ბეჯითი და ჭკვიანი; ბ) ზარმაცი და თავმომწონე.

## ენა და ტექსტი

### 13. დააკვირდი და ჩასვი სიტყვები სწორი ფორმით:




***ნიმუში:*** *....დედამ.... გემრიელი ნამცხვარი* ***გამოიტანა*** *სამზარეულოდან (დედა).*

ა) ...................... მგელი **დაინახა** და **დაიწყო** ყვირილი (თომა).

ბ) - წვნიანი სულ შევჭამე, - **მოატყუა** ........................... დედა (მარია).

გ) ................ლექსი ისე ჩუმად **თქვა,** ვერავინ ვერაფერი გაიგო (ბიჭი).

დ) დადგა დეკემბერი. ........................ საახალწლო მზადება **დაიწყო** (ყველა).



*ანამარია გაბუნია, 8 წლის*

## 14. მოცემული ზმნები სწორად გაანაწილე წინადადებებში:

დაინახა / დაიწყო / მოატყუა / გამოიტანა

ა) ნინომ ბიბლიოთეკიდან წიგნები ........................... . მას უნდა, რომ გამოცდებისთვის კარგად მოემზადოს.

ბ) ეკამ ლამაზი კაბა .......................... მაღაზიაში და დედას სთხოვა, მიყიდეო.

გ) დათამ დავალებები არ შეასრულა, მაგრამ მან .......................... დედა და ფეხბურთის თამაში

........................... .

## 15. შეადგინე წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

ა) (დაინახა) ..........................................................................................................................

ბ) (თქვა) ..............................................................................................................................

გ) (მოატყუა) ........................................................................................................................

დ) (დაიწყო) ..........................................................................................................................

ე) (გამოიტანა) .....................................................................................................................



*დავით ბანცაძე, 10 წლის*

## ვმსჯელობთ ტექსტების შესახებ

**ა) იპოვე ტექსტში, როგორ არის დახასიათებული გიგო და ამოიწერე:**

..................................................................................................................................................

**ბ) შენი აზრით, როგორ მოიქცა ცრუპენტელა ბიჭი? მსჯელობისას შეგიძლია გამოიყენო ქვემოთ მოცემული ფრაზები:**

ა) ჩემი აზრით, ბიჭი მოიქცა ......................................... (ცუდად, არასწორად, კარგად, სწორად), რადგან ........................................................................................................................ .
ბ) როგორ ფიქრობ, სწორად მოიქცნენ გლეხები, მეოთხედ რომ აღარ წავიდნენ ბიჭის დასახმარებლად?
გ) მე ვფიქრობ, გლეხები ......................................... (სწორად მოიქცნენ, არასწორად მოიქცნენ), რადგან........................................................................................................................ .

**გ) რას ურჩევ გიგოს, რათა მართლა მოეწონოთ მეზობლებს?**

მე ვურჩევ გიგოს, რომ ........................................................................... (ბევრი წიგნი წაიკითხოს, წიგნები არ წაიკითხოს, იშრომოს, იმღეროს, ითამაშოს, არ იზარმაცოს).



*ლილი მურვანიძე-სამსონიძე, 9 წლის*

## წერითი დავალება

**- დაახასიათე ბიჭი:**

ჩემი აზრით, ბიჭი არის ..............................................................................................................

....................................................................................................................................................

....................................................................................................................................................

....................................................................................................................................................

**- დაწერე, როგორია გიგო:**

მე ვფიქრობ, გიგო არის .............................................................................................................

....................................................................................................................................................

....................................................................................................................................................

....................................................................................................................................................

**- დაწერე, რას ურჩევ ცრუპენტელა ბიჭს:**

მე ვურჩევ ცრუპენტელა ბიჭს .....................................................................................................

....................................................................................................................................................

....................................................................................................................................................

....................................................................................................................................................

**- დაწერე, რას ურჩევ გიგოს:**

გიგოს მე ვურჩევ, რომ ..............................................................................................................

....................................................................................................................................................

....................................................................................................................................................

....................................................................................................................................................



*ელენა მეფარიშვილი, 8 წლის*

# რა არ არის პარგი

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. დააკავშირე სიტყვა შესაბამის სურათთან:**







თარო

ქოთანი

ოქრო

ძირი

ხის კოვზი

თხა

მდინარე

ხიდი

რქა

წყალი







## 2. წაიკითხე განმარტებები, გამოიყენე პირველ სავარჯიშოში მოცემული სიტყვები და შეავსე კროსვორდი:

1) ყვითელი ფერის ძვირფასი ლითონი.
2) ძვალი ცხოველის თავზე.
3) თიხის ჭურჭელი.
4) კედელზე მიმაგრებული ან კარადაში გადებული ფიცარი  ნივთების დასაწყობად.
5) შინაური ცხოველი.
6) მდინარეზე გადასასვლელი.
7) ფაფის ან წვნიანისთვის საჭირო ხის ნივთი.
8) ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარე დიდი წყალი.
9) ქოთნის ქვედა ნაწილი.

კროსვორდი:



## 3. დააკავშირე ანტონიმები:

| | |
|---|---|
| ა) მაღალი | ფართო |
| ბ) ვიწრო | დაბალი |
| გ) ჯიუტი | დამჯერი |

## 4. ჩასვი წინადადებაში გამოტოვებული სიტყვა:

ვიწრო / ფართო / დამჯერი

ა) ძველ თბილისში ........................... ქუჩებია. გვერდს ვერ აუვლის ორი ადამიანი ერთმანეთს.

ბ) მდინარეზე ........................... ხიდია.

გ) ნანა და გიორგი დედას ყველაფერს უჯერებენ. ისინი ........................... ბავშვები არიან.

## 5. დააკავშირე სინონიმები:

| | |
|---|---|
| ა) ტრაბახა | მკვეხარა |
| ბ) ჯიუტი | ურჩი |
| გ) მატყუარა | ცრუ |

## 6. ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:

| მკვეხარა / ურჩი / მატყუარა |
|---|

ა) დათო ამბობს, რომ ის ყველაზე ძლიერია. დათო არის ............................ .

ბ) ანა დედას ხშირად არ უჯერებს. ანა არის ............................ .

გ) ლალის ბევრი კანფეტი ჰქონდა, მაგრამ ნანას უთხრა, რომ ერთიც არ ჰქონდა. ლალი არის ............................ .

## 7. რას ნიშნავს სიტყვა „თავმომწონე"?

ა) საკუთარი თავით კმაყოფილს; ბ) საკუთარი თავით უკმაყოფილოს;

**გამოიყენე სიტყვა „თავმომწონე" და შეადგინე წინადადება:**

..................................................................................................................................................

# რა ვიცით თემის შესახებ

**- გაიხსენე, როგორ ადამიანს ჰქვია ჯიუტი? ტრაბახა?**

*ნიმუში: მატყუარაა ადამიანი, რომელიც ყველას ატყუებს.*

ა) ადამიანს ჯიუტი ჰქვია, თუ ის ......................................................................

ბ) ტრაბახა ისეთ ადამიანს ჰქვია, რომელიც ....................................................

**- რომელი მდინარე მოედინება თბილისში?**

ა) მტკვარი; ბ) რიონი; გ) სუფსა.

**- რას აღნიშნავს მოცემული სიტყვები: თერგი, არაგვი, ალაზანი?**

ა) მდინარეების სახელებია; ბ) საქართველოს ქალაქების სახელებია.

**საინტერესო ფაქტი!**
**თიხა - სპეციალური მიწაა, რომლისგანაც ჭურჭელს ამზადებენ. ის განსაკუთრებულ გემოს ანიჭებს საჭმელს.**
**საქართველოში უძველესი დროიდან ამზადებდნენ თიხის ჭურჭელს.**

**8. წაიკითხე ქვევრის შესახებ და გაიგე, რითია ის გამორჩეული მსოფლიოში. დაასრულე აზრი:**



ეს ქვევრია - ღვინის შესანახი თიხის დიდი ჭურჭელი, რომელიც მიწაშია ჩაფლული. 2013 წელს იუნესკომ „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანა.

ქვევრი არის..........................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................

## 9. რისგან აკეთებენ ქოთანს?

ა) თიხისგან;

ბ) ხისგან.

**დააკვირდი სურათს. რა აერთიანებს ამ ჭურჭელს?**



ა) ჭურჭელი თიხისგან არის დამზადებული;

ბ) ჭურჭელი ხისგან არის დამზადებული.

**- როგორ ფიქრობ, ქოთანი რის შესახებ იტრაბახებდა?**

## 10. როგორ ფიქრობ, რის შესახებ იქნება ტექსტი „ჭიუტი თხები"?

## ვკითხულობთ ტექსტებს

### ტრაბახა ქოთანი

თაროზე რამდენიმე ქოთანი იდო. ერთი უფრო მაღალი ქოთანი შუაში იდგა და ტრაბახობდა:

- მე თქვენისთანა არ ვარ, მე ოქროს ძირი მაქვს.

უცებ თავს დაადგა ხის კოვზი:

- ერთი ამას შეხედეთ, მე მაინც ხომ ვიცი, რა ოქროს ძირიც გაქვს! - თქვა ხის კოვზმა. ტრაბახა ქოთანს შერცხვა და გაჩუმდა.

### ჯიუტი თხები

მდინარეზე ვიწრო ხიდი იყო. ამ ხიდზე ორი ჯიუტი თხა შეხვდა ერთმანეთს. ორივე ერთად ხიდზე ვერ გაივლიდა, ერთ-ერთს უკან უნდა დაეხია და გზა დაეთმო.

- უკან დაიხიე! - უთხრა ერთმა მეორეს.

- ნურას უკაცრავად! რატომ უნდა დავიხიო? მე პირველი ამოვედი ამ ხიდზე. შენ თვითონ დაიხიე!

არც ერთს არ უნდოდა უკან დახევა. იჩხუბეს, დაეჯახნენ ერთმანეთს რქებით.
ჯიუტმა თხებმა თავი ველარ შეიმაგრეს და გადაცვივდნენ წყალში.



*მარიამ ფატულლაევი, 7 წლის*

## როგორ გავიგეთ ტექსტი

### „ჯიუტი თხები“

**- სად შეხვდნენ ერთმანეთს ჯიუტი თხები?**

ა) ხიდზე; ბ) ტყეში; გ) მინდორში.

**- რატომ ვერ გაივლიდა ორივე თხა ერთად ხიდზე?**

ა) რადგან ხიდი ფართო იყო; ბ) რადგან ხიდი ვიწრო იყო; გ) რადგან ხიდი დაზიანებული იყო.

**- ტექსტის მიხედვით, როგორები არიან თხები?**

ა) ჯიუტები; ბ) მატყუარები; გ) თავმომწონეები.

**- როგორი ხიდი იყო მდინარეზე?**

ა) ფართო; ბ) ვიწრო; გ) მაღალი.

**- რას ნიშნავს სიტყვები „უკან უნდა დაეხია“?**

ა) უკან უნდა წასულიყო; ბ) უკან გზა უნდა ჩაეკეტა.

**- როგორ დასრულდა თხების ჩხუბი?**

ა) ორივე ერთად გავიდა ხიდზე; ბ) გადაცვივდნენ წყალში; გ) ერთ-ერთმა თხამ უკან დაიხია.

## დააკავშირე წინადადების ნაწილები:

| | |
|---|---|
| ა) ვიწრო ხიდზე ორი ჯიუტი თხა • | • შეხვდა ერთმანეთს |
| ბ) ერთ-ერთ თხას უკან უნდა დაეხია • | • და გზა დაეთმო |
| გ) ჯიუტი თხები დაეჯახნენ ერთმანეთს • | • რქებით |
| დ) ჯიუტმა თხებმა თავი ველარ შეიმაგრეს • | • და გადაცვივდნენ წყალში |

**„ტრაბახა ქოთანი“**

**- სად იდო ქოთანი?**

ა) მაგიდაზე; ბ) თაროზე; გ) ყუთში.

**- როგორია  ქოთანი?**

ა) ფართო და პატარა; ბ) დიდი და წვრილი; გ) ტრაბახა და თავმომწონე.

**- „თაროზე რამდენიმე ქოთანი იდო“ - მოცემულ წინადადებაში რომელი სიტყვა გამოხატავს სიმრავლეს?**

ა) თაროზე; ბ) რამდენიმე; გ) ქოთანი; დ) იდო.

**- რით ტრაბახობდა ქოთანი?**

ა) ოქროს ძირით; ბ) ოქროს სახელურით; გ) ოქროს კოვზით.

**- „შერცხვა და გაჩუმდა“ - ვის შესახებაა ეს სიტყვები ნათქვამი?**

ა) ხის კოვზის; ბ) ტრაბახა ქოთნის.

**- რომელი ანდაზა შეესაბამება ტექსტს?**

ა) კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო; ბ) ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო;

## ენა და ტექსტი

### 12. დააკვირდი და ჩასვი სიტყვა სწორი ფორმით:

**უთხრა** მან (დედა**მ**) მას (ბავშვს) ის (სიმართლე)
**უკან დაიხია** მან (ბავშვ**მა**)

ა) .................................. უკან დაიხია და გზა ბებიას დაუთმო (ბავშვი).

ბ) - ლამაზ კაბას გიყიდი, - უთხრა .................................. შვილს (მამა).

გ) - ლამაზი კაბა გაქვს, - უთხრა .................................. დას (დავითი).

### 13. ჩასვი წინადადებაში შესაბამისი ზმნა:

| |
|---|
| ~~შერცხვა~~ / გაჩუმდა / უკან დაიხია / უთხრა / იდგა / იდო / აქვს |

*ნიმუში: ყველა გიორგის უყურებდა. გიორგის .........შერცხვა......... და გაჩუმდა.*

ა) საბა ფანჯარასთან .......................... და უყურებდა, როგორ თამაშობდნენ ეზოში ბავშვები.

ბ) ტასოს ბევრი სათამაშო .......................... .

გ) - საქართველო ძალიან ლამაზი ქვეყანაა, - .......................... მასწავლებელმა ჩემს კლასელებს.

დ) დედამ ნანას ბევრი ზღაპარი უამბო. ბოლოს დაიღალა და .......................... .

ე) - სად არის ჩემი წიგნი? გუშინ მაგიდაზე .......................... .

ვ) მამამ .......................... და ოთახიდან ჩუმად გავიდა, პატარა ნანას რომ არ დაენახა.

## 14. შეადგინე წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

ა) (თქვა) ...............................................................................................................

ბ) (დგას) ...............................................................................................................

გ) (შერცხვა) ...........................................................................................................

დ) (გაჩუმდა) ...........................................................................................................

ე) (არის) ................................................................................................................

ვ) (იყო) .................................................................................................................

## 15. დააკვირდი და ჩასვი ზმნა სწორი ფორმით:

**ზოგიერთ ზმნას მრავლობით რიცხვში სხვა ფორმა აქვს. აი ისინიც:**

| | |
|---|---|
| ბავშვი ზის | ბავშვები სხედან |
| წიგნი დევს | წიგნები აწყვია |
| ჭიქა გატყდა | ჭიქები დაიმტვრა |
| ფოთოლი ჩამოვარდა | ფოთლები ჩამოცვივდა |

ა) მაგიდიდან ფურცლები ............................................... გადავარდა / გადაცვივდა.

ბ) თხები ხიდიდან ............................................... გადავარდნენ / გადაცვივდნენ წყალში.

გ) ჩემს ჩანთაში ბევრი წიგნი ............................................... დევს / აწყვია.

დ) ბავშვი იატაკზე ............................................... ზის / სხედან და თამაშობს, ხოლო მშობლები მაგიდასთან ............................................... ზის / სხედან.

## 16. შეადგინე რამდენიმე წინადადება და გამოიყენე სიტყვა „უნდა“:

**უნდა** - გამოხატავს რაიმე მოქმედების შესრულების აუცილებლობას.

*მაგალითად: დავალება უნდა დავწერო.*
*გვიანია. სახლში უნდა წავიდე.*

..............................................................................................................................................

..............................................................................................................................................

..............................................................................................................................................

..............................................................................................................................................

..............................................................................................................................................

..............................................................................................................................................



*მარიამ ფატულაევი, 7 წლის*

## ვმსჯელობთ ტექსტის შესახებ

**ა) მოცემული სიტყვები შეუსაბამე ტრაბახა ქოთანსა და ჯიუტ თხებს:**

თხები ქოთანი

თავმომწონე ურჩი ჯიუტი მატყუარა ტრაბახა მაღალი

**ბ) დაახასიათე თხები:**

გამოიყენე ფრაზები: მე ვფიქრობ, თხები არიან...
ჩემი აზრით, თხები არიან...

.....................................................................................

.....................................................................................

.....................................................................................

.....................................................................................

.....................................................................................



*ანანო გოგუა, 12 წლის*

**გ) დაახასიათე ქოთანი:**

გამოიყენე სიტყვები: ჩემი აზრით, ქოთანი არის...
მე ვფიქრობ, ქოთანი...

.....................................................................................

.....................................................................................

.....................................................................................

.....................................................................................

.....................................................................................

## წერითი დავალება

**დაახასიათე ქოთანი და თხები:**

ა) ვფიქრობ, ქოთანი არის ..........................................................................................

..........................................................................................................................

ბ) ჩემი აზრით, თხები არიან ......................................................................................

..........................................................................................................................

**უყურე ვიდეოს „Bridge“ by Ting Chian Tey | Disney Favorite და შეადგინე პატარა ტექსტი:**

ვინ რას იტყოდა?



..........................................................................................................................



..........................................................................................................................



..........................................................................................................................



..........................................................................................................................



..........................................................................................................................



..........................................................................................................................



*ელა ლამპე, 11 წლის*

# სიკეთე გადამდებია

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. დააკავშირე სურათი შესაბამის სიტყვასთან:**



## 2. დააკავშირე სიტყვა შესაბამის განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| საგზალი | ერთად შეკრული ყვავილები |
| ხელცარიელი | ნივთების ჩასალაგებელი |
| თაიგული | აქ: ვისაც არაფერი აქვს |
| ჩანთა | თან წასაღები საჭმელი |

## 3. შეადგინე წინადადებები მოცემული სიტყვების გამოყენებით:

ხელცარიელი / საგზალი / თაიგული / ჩანთა

ა)..........................................................................................

ბ) ..........................................................................................

გ) ..........................................................................................

დ)..........................................................................................



*გვანცა აბაშიშვილი, 12 წლის*

## 4. შემოხაზე სურათის აღმნიშვნელი სიტყვა:

*ნიმუში:*

| | | | |
|---|---|---|---|
|  | მინდორი | ჩანთა | წიგნი |

| | | | |
|---|---|---|---|
|  | თოჯინა | ყუთი | ვარდების თაიგული |
|  | ყუთი | თარო | სკამი |
|  | ყვავილი | მინდორი | ხე |
|  | ჩანთა | წიგნი | თოჯინა |
|  | ყველი | პური | ვაშლი |
|  | კარაქი | წყალი | პური |
|  | საქანელა | მაგიდა | ყუთი |
|  | სკოლა | ქართული ანბანი | ყუთი |

## 5. რომელია სიტყვა „კეთილის" ანტონიმი?

ა) მოწყენილი; ბ) ბოროტი;
გ) მზრუნველი; დ) მეგობრული.



კესარია ლოსაბერიძე, 13 წლის.

გამოიყენე სიტყვა „კეთილი" და შეადგინე წინადადება:

..............................................................................

..............................................................................

## 6. რომელია სიტყვა „კეთილის" სინონიმი?

ა) გახარებული; ბ) მხიარული; გ) მზრუნველი.

გამოიყენე სიტყვა „მზრუნველი" და შეადგინე წინადადება:

..............................................................................

..............................................................................

## 7. რომელი ფრაზა რას ნიშნავს? შეაერთე ხაზებით:

| | |
|---|---|
| ჭამას შეუდგა | ხატვა დაიწყო |
| ხატვას შეუდგა | ჭამა დაიწყო |
| საქმეს შეუდგა | საქმე დაიწყო |
| სწავლას შეუდგა | სწავლა დაიწყო |

## 8. რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში - "ნიკო მთელი დღე შინ იყო"?

ა) სახლში; ბ) სკოლაში.

გამოიყენე სიტყვა „შინ“ და შეადგინე წინადადება:

........................................................................................................................................................

## 9. დააკვირდი და გამოიცანი სიტყვის მნიშვნელობა:

ქუდი 



ვისაც ქუდი **არ აქვს,** ის არის უქუდო.



ანანო ხურცია, 11 წლის

**როგორ ფიქრობ, რას ნიშნავს „უსუნო ყვავილი"?**

ა) ყვავილს, რომელიც ძალიან ლამაზია;
გ) ყვავილს, რომელსაც სუნი არ აქვს.

რომელია სიტყვა **„უსუნოს“** ანტონიმი?

ა) მხიარული; ბ) სურნელოვანი; გ) ლამაზი.

გამოიყენე სიტყვა „სურნელოვანი“ და შეადგინე წინადადება:

........................................................................................................

........................................................................................................

## 10. დააკვირდი სურათს. სიტყვათა ჩამონათვალიდან შეარჩიე დახასიათებისთვის საჭირო სიტყვები:

დიდი, პატარა, ლამაზი, მოწყენილი, მხიარული, მომღიმარი, რბილი, ფუმფულა, ძლიერი, შავთმიანი, ქერათმიანი, შავთვალება, ცისფერთვალება.

ა) თოჯინა არის ........................................................................................................

ბ) დაახასიათე შენი სათამაშო:

ჩემი სათამაშო არის ...................................................................................................

## 11. გამოიცანი, ვინ რომორია. გამოიყენე მოცემული სიტყვები:

კეთილი / ზარმაცი / მხიარული / მშიერი / მოწყენილი

ა) სანდრომ მეგობარს საჭმელი მიუტანა. - ის არის .......................................

ბ) ნუცას არ უყვარს მეცადინეობა. - ის არის ..................................................

გ) ნიკოს არ აქვს საჭმელი. - ის არის ............................................................

დ) ანას საყვარელი სათამაშო გაუტყდა. - ის არის ..........................................

ე) გიორგი ხშირად იცინის და ხუმრობს. - ის არის ..........................................



*ნოდარ მეტრეველი, 9 წლის*

## 12. რომელი სურათი შეესაბამება წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვებს?

„ნიკომ თავისი ვაშლი შუაზე გაყო და მისცა მეგობარს“

ა) 

ბ) 

ერთ ადამიანზე ვამბობთ - **დასვა;**
ერთზე მეტ ადამიანზე ვამბობთ - **დასხა.**

## 13. დააკვირდი; დააკავშირე:

დასვა • • 

დასხა • • 

**ჩაწერე სწორად - დასვა / დასხა**

ა) მასწავლებელმა მოსწავლეები სკამებზე .......................................................

ბ) მასწავლებელმა მოსწავლე სკამზე .................................................................

## რა ვიცით თემის შესახებ



მარიამ ლიკლიკაძე, 16 წლის

### 14. დღის რომელ მონაკვეთში რას ვაკეთებთ? შემოხაზე:

ა) ვსაუზმობთ დილით / შუადღეს / საღამოს.

ბ) ვსადილობთ დილით / შუადღეს / საღამოს.

გ) ვვახშმობთ დილით / შუადღეს / საღამოს.

### 15. ვინ სად მუშაობს? ფრჩხილებში მოცემული სიტყვები დაწერე სწორი ფორმით:

ა) მასწავლებელი მუშაობს ............................................................... (სკოლა);

ბ) ექიმი მუშაობს .................................................................. (საავადმყოფო);

გ) პოლიციელი მუშაობს ............................................................... (პოლიცია).

### 16. როგორი შეიძლება იყოს ბავშვი? შემოხაზე ყველა შესაძლო ვარიანტი:

მზრუნველი / გაშლილი / კეთილი / პატარა / ზარმაცი / მეგობრული / მხიარული / მოწყენილი / მშიერი / ჭკვიანი.

### 17. როგორ ფიქრობ, რის შესახებ იქნება „კეთილი სანდალა“?

ა) მე ვფიქრობ, „კეთილი სანდალა“ იქნება სიკეთეზე;
ბ) ჩემი აზრით, „კეთილი სანდალა“ იქნება ყვავილებზე.

## 18. რის შესახებ იქნება „უსუნო ყვავილი“? „ნუცას სკოლა“?

გამოიყენე ფრაზები: „მე ვფიქრობ...“, „ჩემი აზრით...“.

## ვკითხულობთ ტექსტებს

### 1) კეთილი სანდალა

სკოლაში მოსწავლეების საუზმის დრო დადგა.

ყველა ჭამას შეუდგა. მხოლოდ ერთი ბავშვი არ საუზმობდა, საგზალი შინ დარჩა და ხელცარიელი მოვიდა.

იდგა ჩუმად და თავის მეგობრებს უყურებდა. კეთილმა სანდალამ დაინახა ეს, მაშინვე შუაზე გაყო თავისი ყველი და პური და მეგობარს მისცა.



*ლილი მურვანიძე-სამსონიძე, 9 წლის*

### 2) უსუნო ყვავილი

მინდორში მშვენიერი უსუნო ყვავილი იყო გაშლილი. ბიჭს ძალიან მოეწონა, მოწყვიტა და ვარდების თაიგულში ჩადო.

ცოტა ხნის შემდეგ ამოიღო ვარდების თაიგულიდან, უსუნა და იგრძნო, რომ იმ უსუნო ყვავილს ვარდის სასიამოვნო სუნი ჰქონდა.

ბიჭი დაფიქრდა და თქვა:
-ჰო, ახლა კი მივხვდი, რატომ მირჩევს დედაჩემი კარგ მეგობრებში ყოფნას.

### 3) ნუცას სკოლა

პატარა ნუცამ თქვა: ჩემს თოჯინებს კითხვა უნდა ვასწავლოო.

დასხა თოჯინები, დაუდო წინ წიგნი, გადაშალა და ეუბნებოდა:
- ეს არის „ანი“, ეს არის „ბანი“; ისწავლეთ, გენაცვალეთ!

## 19. უპასუხე კითხვებს წაკითხული მოთხრობების მიხედვით:

### 1) კეთილი სანდალა

**რა ჰქონდა სანდალას საგზლად წამოღებული? შემოხაზე:**






**რატომ ვერ საუზმობდა ერთი ბავშვი?**

ა) საჭმელი არ მოეწონა; ბ) საჭმელი შინ დარჩა.

**ვინ დაინახა მშიერი ბავშვი?**

ა) სანდალამ; ბ) მასწავლებელმა; გ) დედამ.

**რა ქნა კეთილმა სანდალამ?**

ა) არ ჭამა თავისი საჭმელი; ბ) გაყო თავისი საჭმელი და მისცა მშიერ მეგობარს.

**ტექსტის მიხედვით, როგორია სანდალა?**

ა) მხიარული; ბ) ზარმაცი; გ) მშიერი; დ) კეთილი.

**რას ნიშნავს ანდაზა: „ყველი და პურიო, კეთილი გულიო“?**

ა) ყველი და პური ყველაზე კარგი და სასარგებლო საჭმელია;
ბ) მთავარია იყოს კეთილი გული და ყველი და პურიც საკმარისია.

### 2) უსუნო ყვავილი

**სად იპოვა ბიჭმა უსუნო ყვავილი?**

ა) მინდორში; ბ) ვარდების თაიგულში

**რა ჩადო ბიჭმა ვარდების თაიგულში?**

ა) ყვავილი, რომელსაც სუნი არ ჰქონდა;

ბ) ყვავილი, რომელსაც სასიამოვნო სურნელი ჰქონდა.

**შემოხაზე - კი თუ არა**

ა) ყვავილს თავიდან კარგი სურნელი ჰქონდა. კი / არა

ბ) ბიჭმა უსუნო ყვავილი ვარდების თაიგულში ჩადო. კი / არა

გ) ბიჭს თავიდანვე არ მოეწონა ყვავილი. კი / არა

**რა მოხდა მას შემდეგ, რაც ყვავილი ვარდების თაიგულში ჩადო?**

ა) ყვავილმა სილამაზე დაკარგა;

ბ) ყვავილმა სასიამოვნო სურნელი მიიღო.

**რა დასკვნა გამოიტანა ბიჭმა, როცა ყვავილმა ვარდების სურნელი მიიღო?**

ა) ბიჭი მიხვდა, რომ კეთილ მეგობრებს შეუძლიათ კარგი თვისებები შესძინონ ერთმანეთს, როგორც ვარდებმა მოახერხეს ეს.
ბ) ბიჭი მიხვდა, რომ ყვავილის მოწყვეტა არ შეიძლება;
გ) ბიჭი მიხვდა, რომ უსუნო ყვავილმა ვარდებს სურნელი დაუკარგა.

## 3) ნუცას სკოლა

**რა უნდა პატარა ნუცას?**

ა) თოჯინებს კითხვა ასწავლოს;

ბ) თოჯინები ბაღში წაიყვანოს.

**რა დაუდო ნუცამ თოჯინებს წინ?**

ა) წიგნი;

ბ) საჭმელი;

გ) კაბა.

**შენი აზრით, როგორია ნუცა?**

ა) მოწყენილი;

ბ) მხიარული;

გ) ზარმაცი.

**ნუცა თოჯინებს ეუბნება: - ეს არის „ანი“, ეს არის „ბანი“.**

**რა არის „ანი“ და ”ბანი“?**

ა) ქართული ასო-ბგერების სახელები; ბ) ქართული საჭმელების სახელები.

დააკვირდი სურათს. რომელია ასო გ-ს სახელი?

ა ბ გ დ

ა) ან; ბ) ბან; გ) გან.

**20. ქართული ანბანის შესახებ**

ქართულში 33 ასო-ბგერაა და ყველას თავისი სახელი აქვს.
დააკვირდი და ამოიწერე 3 ასო-ბგერის სახელი, რომლებიც ძალიან მოგეწონა.

ან ბან გან დონ ენ ვინ ზენ თან

ინ კან ლას მან ნარ ონ პარ ჟან

რაე სან ტარ უნ ფარ ქან ღან ყარ

შინ ჩინ ცან ძილ წილ ჭარ ხან ჯან ჰაე

***ნიმუში:*** *მე მომწონს „ნარი“, ასო-ბგერა ნ-ს სახელი.*

ა) მე მომწონს ...........................................................................................

ბ) მე ........................................................................................................

გ) ..........................................................................................................

## ენა და ტექსტი

დააკვირდი სიტყვას **„მეგობარი“** და ჩაწერე ქვემოთ მოცემული სიტყვები სწორი ფორმით:

ა) ბიჭი ბედნიერი იყო კეთილი **მეგობრით**.
ბ) ბიჭი **მეგობრის** დახმარებით გადარჩა.
გ) ბიჭი თავის **მეგობრად** თვლიდა სანდალას.

> ზოგიერთი არსებითი სახელი **იკუმშება** ანუ სიტყვიდან ასო ვარდება. ეს ხდება, თუ არსებითი სახელი მთავრდება **-ის**, **-ით**, **-ად**, **-ებ** ნიშნებზე:
>
> მეგობ~~ა~~რის, მეგობ~~ა~~რით, მეგობ~~ა~~რად, მეგობ~~ა~~რები - შუაში ასო ამოვარდა, შეიკუმშა.

| არსებითი სახელი | რის? ვის? | რით? | რად? | მრავლობითი -ებ |
|---|---|---|---|---|
| ქოთანი | ქოთნის ძირი. | ანა თავისი გაკეთებული ქოთნით ამაყობდა. | ქოთნად გადაიქცა. | თაროზე ქოთნები აწყვია. |
| მგელი | ბიჭს ................. შეეშინდა. | ნანა ................ აშინებედა გიორგის. | ბიჭი ვითომ ................ იქცა. | ბავშვებმა .................... დაინახეს. |
| ცხვარი | ...................... ფარა მგელმა შეაშინა. | ანა სათამაშო ...................... თამაშობდა. | ანამ ფუმფულა ქუდი დაიხურა და ვითომ ...................... გადაიქცა. | ბიჭმა ......................... დაინახა. |
| წყალი | დედამ შვილს ......................... მოტანა სთხოვა. | ანამ ......................... დაიბანა ხელები. | თოვლის გუნდა ......................... იქცა. | ბორჯომი და ნაბეღლავი არის ქართული მინერალური ...................... . |
| მეზობელი | ნინოს ......................... წიგნი აქვს. | კატო ......................... ამაყობდა. | ბებიას ......................... ცხოვრობდა კეთილი სანდალა. | კეთილი ......................... ერთმანეთს მუდამ ეხმარებოდნენ. |

## 22. დააკვირდი სიტყვებს „თოჯინა“ და „ხე“ და შეავსე ცხრილი:

ა) ნუცა **თოჯინით** თამაშობდა;
ბ) **ხის** ტოტზე ჩიტი ზის.

ა და ე ხმოვნებზე დასრულებული ზოგიერთი არსებითი სახელი ბოლოში ა-ს და ე-ს კარგავს, ანუ **იკვეცება**.

**ეს ხდება, თუ არსებითი სახელი მთავრდება -ის, -ით ნიშნებზე:**
თოჯინა - თოჯინ~~ა~~ით
ხე - ხ~~ე~~ის

**დააკვირდი მრავლობითს და ახსენი:**
თოჯინა - თოჯინ~~ა~~**ები**
ხე - ხეები

## 23. რომელია ანტონიმური მნიშვნელობის ზმნები?



ჩადო



ამოიღო

ა) საუზმობდა - ისაუზმა
ბ) მოეწონა - ესიამოვნა
გ) ჩადო - ამოიღო

**დააკავშირე:**

*ნიმუში:*

ა) ჩადო
ბ) ამოიღო

- ვარდების თაიგულში
- ვარდების თაიგულიდან
- ყუთში
- ყუთიდან
- ჩანთაში
- ჩანთიდან



*ნინა რევიშვილი, 10 წლის*

## 24. დააკვირდი ცხრილს:

| | |
|---|---|
| დაინახა | **მან** (სანდალამ) **ის** (ბიჭი) |
| მოწყვიტა | **მან** (ბიჭმა) **ის** (ყვავილი) |
| ამოიღო | **მან** (ბიჭმა) **ის** (ყვავილი) |
| ჩადო | **მან** (ბიჭმა) **ის** (ყვავილი) |
| იგრძნო | **მან** (ბიჭმა) **ის** (სურნელი) |
| ისწავლა | **მან** (თოჯინამ) **ის** (კითხვა) |
| დადო | **მან** (ნუცამ) **ის** (წიგნი) |
| გადაშალა | **მან** (ნუცამ) **ის** (წიგნი) |
| მისცა | **მან** (სანდალამ) **მას** (ბიჭს) **ის** (პური) |
| გაყო | **მან** (სანდალამ) **ის** (პური) |

**გამოიყენე ცხრილი და ჩაწერე სიტყვები სწორი ფორმით:**

*ნიმუში: (სანდალა) ........სანდალამ........* **დაინახა** *მშიერი ბიჭი.*

ა) (ბიჭი) ........................................... **მოწყვიტა** უსუნო ყვავილი.

ბ) (ნუცა) ............................................. **ამოიღო** წიგნი ჩანთიდან.

გ) (დედა) .................... **იგრძნო** ყვავილის სასიამოვნო სურნელი.

დ) (გიორგი) .......................... **ისწავლა** ქართულად წერა-კითხვა.

ე) (მამა) ................................................. **დადო** წიგნი მაგიდაზე.

ვ) (ნუცა) ....................................... **გადაშალა** წიგნი და რვეული.

ზ) (მეგობარი) .......................... შუაზე **გაყო** თავისი საჭმელი და მისცა მშიერ ბავშვს.

თ) (ბებია) ........................... **მისცა** ჩემს დას საინტერესო წიგნი.

## 25. ჩასვი საჭირო ზმნა:



ანამარია გაბუნია, 8 წლის

ჩადო / დაფიქრდა / მოეწონა / ~~მოწყვიტა~~ / ამოიღო / მისცა / გაყო / დარჩ

*ნიმუში: ბიჭმა ყვავილი ..........მოწყვიტა......... და დედას მისცა.*

ა) ბიჭს ლამაზი ყვავილი ........................... და მოწყვიტა.

ბ) ბიჭმა უსუნო ყვავილი ვარდების კონაში .................................

გ) დედამ ვარდების თაიგულიდან .............................უსუნო ყვავილი და სასიამოვნო სურნელი იგრძნო.

დ) ბიჭი ........................... და თქვა: მივხვდი, რატომ მირჩევს დედა კარგ მეგობრებში ყოფნასო.

ე) ჩემს დას რვეული სკოლაში ............................... და დავალება ვერ დაწერა.

ვ) მამამ დედას ლამაზი თაიგული ....................................... .

ზ) თომამ თავისი დიდი შოკოლადი ................................ და მეგობარს მისცა.

## 26. შეადგინე წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

ა) (ფიქრობს) ...................................................................................................

ბ) (მოსწონს) ...................................................................................................

გ) (ხედავს) .......................................................................................................

დ) (დაინახა) ....................................................................................................

ე) (ამოიღო) .......................................................................................................

ვ) (დადო) ..........................................................................................................

## 27. დააკვირდი და ჩასვი სიტყვა სწორ ფორმაში:

*ნიმუში: შეხედა მან მას (შეხედა სანდალამ ბიჭს)*

ა) დაინახა **მან ის**
   დაინახა .....................................(სანდალა, ბავშვი)

ბ) შუაზე გაყო **მან ის**
   შუაზე გაყო ..................................(სანდალა, პური)

გ) ჭამა დაიწყო **მან**
   ჭამა დაიწყო ...........................................(სანდალა)

დ) საუზმობდა **ის**
   საუზმობდა .......................................... (მეგობარი)

ე) მისცა მან მას **ის**
   მისცა ................................ (სანდალა, მეგობარი, პური)


*სალომე რუხაძე, 10 წლის*

## 28. ფრჩხილებში მოცემული სიტყვები ჩაწერე სწორი ფორმით:

*ნიმუში: პური ამოიღო ყუთიდან (ყუთი)*

ა) წიგნი ჩადო ....................................................(ჩანთა)

ბ) წიგნი ამოიღო ................................................(ჩანთა)

გ) უსუნო ყვავილი ჩადო ...................................(წყალი)

დ) უსუნო ყვავილი ამოიღო ..............................(წყალი)

ე) თოჯინა ამოიღო .............................................. (ყუთი)

ვ) ყვავილი ჩადო ........................................ (ვარდების თაიგული)

## 29. დასვა თუ დასხა. ჩაწერე წინადადებაში შესაბამისი სიტყვა:

ა) დედამ ............................................ბავშვები და წიგნი გადაშალა.

ბ) მამამ ............................................ნუცა საქანელაზე

## ვმსჯელობთ ტექსტის შესახებ

**ა) ვინ როგორია? შეავსე ცხრილი და შემდეგ შეადგინე წინადადებები:**

| | კეთილი | ზარმაცი | ჭკვიანი | მხიარული | მზრუნველი |
|---|---|---|---|---|---|
| სანდალა | + | - | + | - | + |
| ბიჭი მოთხრობიდან „უსუნო ყვავილი“ | | | | | |
| ნუცა | | | | | |

ა) ..........................................................................................................

ბ) ..........................................................................................................

გ) ..........................................................................................................

**ბ) გაიხსენე საინტერესო ამბავი, რომელმაც გაგაკვირვა:**

გამოიყენე სიტყვები: მახსოვს, რომ ....
ერთხელ ....
მე დავინახე ....
მე გავიგონე ....

**გ) შენ თუ დახმარებიხარ ვინმეს?**

შეგიძლია ასე დაიწყო: მე ერთხელ დავეხმარე (დედას, მამას, მეგობარს, კლასელს, დას, ძმას....)

**დ) დაახასიათე ნუცა.**

შეგიძლია გამოიყენო სიტყვები: ჭკვიანი, მხიარული, პატარა.

ნუცა არის ......................................................................................................

.....................................................................................................................

## წერითი დავალება:

**1. შენი აზრით, წაკითხული მოთხრობებიდან რომელი პერსონაჟი იყო მხიარული? მეგობრული? ჭკვიანი?**

გამოიყენე ფრაზები:

ჩემი აზრით, მხიარული იყო.........................................................................................................

მე ვფიქრობ, მეგობრული იყო .....................................................................................................

მე მგონი, ჭკვიანი იყო .................................................................................................................

**2. შენ როგორი ხარ? დაახასიათე საკუთარი თავი, შენი მეგობარი:**

მე ვარ ...........................................................................................................................................

............................................................................................................................................... .

ჩემი მეგობარი არის ........................................................................................................................

...........................................................................................................................................................

## 30. უყურე და გაერთე:

უყურე და დაწერე პატარა ამბავი - Pub Fosterhjem: A child has nothing to eat at school

„ანი ბანი განი ქართული ანბანი“

„ან ბან გან“

# გართობის დრო

## აბა, ვინ გამოიცნობს:

1. გარეთ ატლასი[1],
შიგნით ათასი.

ა) წაბლი;
ბ) მსხალი;
გ) ბროწეული.

2. ერთსა ალვისა ხეზედა
თორმეტი ტოტი აბია,
სცვივა და სცვივა ფოთოლი,
ისევ იმდენი ასხია.

ა) ტყე;
ბ) წელიწადი, თვეები, დღეები;
გ) გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა,
ზამთარი.

3. თეთრი ხნული, შავი თესლი,
თესლი მთესველს[2] ეუბნება.

ა) წიგნი;
ბ) მიწა;
გ) ჩანთა.

4. ჩიტი წყალში, კუდი ცაში

ა) ღრუბელი;
ბ) ცისარტყელა;
გ) გემი.





[1] ატლასი - ჭრიალა ქსოვილი
[2] მთესველი - ვინც თესავს

ალექსანდრია ჯორჯია ლავიტ, 7 წლის

# რას გვასწავლის ანდაზა

- წაიკითხე ქვემოთ მოცემული ანდაზები;
- აირჩიე ერთი, რომელიც მოგეწონება;
- ისაუბრე, რატომ აირჩიე ეს ანდაზა;
- რას გვასწავლის ეს ანდაზა?
- მოიფიქრე რაიმე ამბავი ამ ანდაზის თემაზე.

1. ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი.
2. ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.
3. ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.
4. ტყუილის მთქმელს მართალსაც არ დაუჯერებენ.



*ანასტასია სულაბერიძე, 10 წლის*

# თამაშის დრო

**ქალაქობანა**

- თამაშში ორი ან ორზე მეტი ადამიანი მონაწილეობს;
- მოთამაშეები ერთმანეთს ცოდნის რაც შეიძლება სწრაფად გამოვლენაში ეჯიბრებიან;
- მოთამაშეებიდან ერთ-ერთი იწყებს პატარა ხაზების ჩამოსმას;
- როდესაც რომელიმე მონაწილე იტყვის ,,სტოპ“, ხაზების ჩამოსმა უნდა შეწყდეს;
- თითოეულ ხაზს ქართული ანბანის თითო ასო შეესაბამება;
- რომელ ასოზეც შეჩერდა ხაზების ჩამოსმა, მონაწილეებმა იმ ასოზე დაწყებული სიტყვები უნდა მოიფიქრონ და ჩაწერონ წინასწარ გამზადებულ ცხრილში;
- მაგალითად, თუ დასრულდა „დ“ ასოზე, მაშინ ყველა სიტყვა - ქვეყანა, ქალაქი, სახელი, გვარი... უნდა იწყებოდეს „დ“-ზე;
- ცხრილის მონაცემები სურვილის მიხედვით იქმნება; ჩამონათვალი შეიძლება გაიზარდოს შეთანხმებით;
- შეიძლება იყოს ამგვარი მონაცემები: **სახელი, გვარი, ფრინველი, ცხოველი, ქალაქი, ქვეყანა, მდინარე, გამოჩენილი ადამიანი, წიგნი, ფილმი** ... და ა.შ.;
- ცხრილის ბოლოს იწერება „ჯამი“;
- თითოეულ განსხვავებულ მონაცემზე იწერება 10 ქულა;
- თუ თამაშის მონაწილეებს ექნებათ ერთი და იგივე სიტყვა, მაშინ იწერება 5 ქულა;
- თუ ცხრილის რომელიმე მონაცემი არაა შევსებული, იწერება 0 ქულა;
- თუ მხოლოდ ერთს უწერია სიტყვა და სხვას არავის, მაშინ მას ეწერება 15 ქულა;
- ვინც პირველი დაასრულებს ყველა მონაცემის შევსებას, ამბობს „სტოპ“ და ყველამ უნდა შეწყვიტოს წერა;
- ბოლოს დაჯამდება ქულები;
- იგებს ის, ვისაც მეტი ქულა აქვს.

| ქვეყანა | ქალაქი | სახელი | გვარი | მცენარე | ცხოველი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

# 2

# ხალხური შემოქმედება



*ნინა რევიშვილი, 10 წლის*

„მზეო, ამოდი, ამოდი...“

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. დააკავშირე სურათი და სიტყვა ერთმანეთთან:**







ჭექა-ქუხილი
ქარი
წვიმა
თოვლი
ვარსკვლავი
მთვარე
ღრუბელი
მზე
მინდორი
ყანა
გორა








**2. დაწერე ასო-ბგერები ისე, რომ მიიღო სიტყვა:**



*ნიმუში: ლგეხი - გლეხი*



ოგრა - ................................



აყან - ................................



იმინრდო - ................................

**3. დააკვირდი სურათებს, იპოვე მათი გამაერთიანებელი სიტყვა და დააკავშირე:**



მინდორი



ყანა



გორა



მზე



ძმა



მთვარე

- ოჯახი
- გარემო
- ციური სხეულები
- ამინდი



მამა



ვარსკვლავები



დედა



თოვლი



წვიმა



ქარი

## 4. ზემოთ მოცემული სიტყვების გამოყენებით, შეადგინე სამი წინადადება:

*ნიმუში: თოვლი - ამ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა.*

1. ..........................................................................................................................................

2. ..........................................................................................................................................

3. ..........................................................................................................................................

## 5. დააკვირდი სურათებს და შეავსე კროსვორდი:

ფოლკლორი - ხალხური ლექსი, ზღაპარი, სიმღერა..., რომელიც ზეპირად ვრცელდება და თაობიდან თაობას გადაეცემა.









| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ფ | | | | | |
| | | | | | ო | | | | | |
| | | | | | ლ | | | | | |
| | | | | | კ | | | | | |
| | | | | | ლ | | | | | |
| | | | | | ო | | | | | |
| | | | | | რ | | | | | |
| | | | | | ი | | | | | |









## 6. დააკავშირე სიტყვა და მისი განმარტება:

| | |
|---|---|
| ნამი | საცოდავი |
| გორა | თბილი წვიმა |
| აგერ | შუაზე გაყოს |
| საწყალი | ადამიანი, რომელიც მიწაზე მუშაობს |
| გორავს | ბალახზე გაჩენილი წვრილი წვეთები |
| ყანა | ადგილი, სადაც ხორბალი არის დათესილი |
| გააპოს | აი |
| გლეხი | ხშირი ნათება |
| ციმციმი | დაბალი მთა |
| ჟუჟუნა წვიმა | ბრუნავს |

## რა ვიცით თემის შესახებ

## 7. ქართულ ენაში წვიმას ბევრი სახელი აქვს. წაიკითხე ზოგიერთი მათგანი და დაიმახსოვრე:

**თავსხმა** - შეუჩერებელი ძლიერი წვიმა

**კოკისპირული** - ძლიერი წვიმა



**ჟუჟუნა წვიმა** - ნელი, თბილი წვიმა

**შხაპუნა** - წვიმა, რომელიც ჩქარა და ხმაურით მოდის

## ვკითხულობთ ლექსებს

***

მზე - დედაა ჩემი,
მთვარე - მამაჩემი,
მოციმციმე ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

***

მზეო, ამოდი, ამოდი!
ნუ ეფარები გორასა,
სიცივეს კაცი მოუკლავს,
საწყალი აგერ გორავსა.

***

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,
დიდი მინდორი დანამა,
ყვავილმა მუხლი იყარა,
ფერი იცვალა ყანამა.
მალე პურებიც შემოვა,
იხაროს გლეხის ძალამა,
ბნელი გააპოს ნათელმა,
ბოროტი გული - დანამა.



*ელა ლამპე, 11 წლის*



*ლილი მურვანიძე-სამსონიძე, 9 წლის*

**მოციმციმე** - რაც ციმციმებს, ხშირად ანათებს
**მინდორი დანამა** - მინდორში ნამი გაჩნდა
**ყვავილმა მუხლი იყარა** - ყვავილს კვირტები გამოუვიდა
**ბნელი გააპოს ნათელმა** - სიკეთემ ბოროტება დაამარცხოს

# როგორ გავიგეთ ტექსტი

## 8. უპასუხე შეკითხვებს:

**1. ლექსის მიხედვით, ვინ არის დედა, მამა, და და ძმა?**

**2. ლექსის მიხედვით, ვარსკვლავები არის ... .**

ა) ყვითელი ბ) მოციმციმე გ) ნათელი

**3. რას აკეთებს მზე?**

ა) ეფარება გორას ბ) ანათებს გ) კაშკაშებს

**4. რამ მოკლა კაცი?**

ა) მზემ ბ) წვიმამ გ) სიცივემ

**5. როგორი არის კაცი?**

ა) ცივი ბ) საწყალი გ) კეთილი

**6. რა მოსდის კაცს მზის გარეშე?**

ა) ცივდება ბ) გორას ეფარება გ) კვდება

**7. როგორი წვიმაა „ჟუჟუნა წვიმა“?**

ა) ნელი და თბილი წვიმა ბ) თავსხმა წვიმა გ) კოკისპირული წვიმა

**8. რას ნიშნავს ფრაზა „ბნელი გააპოს ნათელმა“?**

ა) ბოროტებამ სიკეთე დაამარცხოს ბ) სიკეთემ ბოროტება დაამარცხოს

## ენა და ტექსტი

### 9. დააკავშირე ერთმანეთთან:

| | |
|---|---|
| მშრომელი • | • დღე |
| დიდი • | • წვიმა |
| ბნელი • | • მზე |
| ნათელი • | • კაცი |
| კაშკაშა • | • ვარსკვლავები |
| მოციმციმე • | • ღამე |
| ჟუჟუნა • | • მინდორი |
| საწყალი • | • გლეხი |

### 10. წინა სავარჯიშოდან ამოარჩიე სამი ფრაზა და შეადგინე წინადადებები:

*ნიმუში: მოციმციმე ვარსკვლავები - ცაზე მოციმციმე ვარსკვლავები გამოჩნდა.*

1. ...........................................................................................................................

2. ...........................................................................................................................

3. ...........................................................................................................................



*დავით ქიჭვეიშვილი, 13 წლის*

## 11. წაიკითხე განმარტებები. დაუმატე სიტყვას -იან დაბოლოება და მიიღე ახალი ლექსიკური ერთეული:

სიტყვის ბოლოდან ხმოვნის დაკარგვას **კვეცა** ჰქვია.
სიტყვის შუიდან ხმოვნის დაკარგვას **კუმშვა** ჰქვია.

მზე - მზ-იან-ი
ღრუბელი - ღრუბლ-იან-ი

*ნიმუში: მზე - მზ-იან-ი;*
*ღრუბელი - ღრუბლ-იან-ი*

მთვარე - ...............................................

წვიმა - ..................................................

თოვლი - ...............................................

ქარი - ....................................................

## 12. ნიმუშის მიხედვით შეასრულე სავარჯიშო:

დედა არის = დედაა;
ჩემი არის = ჩემია...

*ნიმუში: მზე დედა არის ჩემი = მზე დედაა ჩემი.*

1. ეს გოგო ჩემი მეგობარი არის.
2. ეს ბიჭი ჩემი ძმა არის.
3. ის ყვავილები ჩემი არის, არ აიღო!
4. მოციმციმე ვარსკვლავები ძალიან ლამაზი არის.
5. ორჯერ ორი ოთხი არის.

## 13. დააკვირდი პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელებს და დაიმახსოვრე:

| პირის ნაცვალსახელები | | |
|---|---|---|
| | მხოლობითი რიცხვი | მრავლობითი რიცხვი |
| I | მე | ჩვენ |
| II | შენ | თქვენ |
| III | ის | ისინი |

| კუთვნილებითი ნაცვალსახელები | | |
|---|---|---|
| | მხოლობითი რიცხვი | მრავლობითი რიცხვი |
| I | ჩემი | ჩვენი |
| II | შენი | თქვენი |
| III | მისი | მათი |

## 14. ჩასვი გამოტოვებული ნაცვალსახელები: მე, შენ, ის, ჩვენ, ისინი, ჩემი, ჩვენი.

*ნიმუში: გაიცანი, ეს ...................... ძმა, ლუკაა. / გაიცანი, ეს ჩემი ძმა, ლუკაა.*

1. .................................. თეატრში მიდიან.
2. ............................ ახალი წიგნი ვიყიდე.
3. ......................... 9 საათზე წავიდა.
4. მხოლოდ ..................... გაჩუქებ ამ ყვავილს.
5. ......................... ხვალ მივემგზავრებით საქართველოში.
6. .........................სამშობლო საქართველოა.

## 15. ნიმუშის მიხედვით მიიღე ნათესაობის აღმნიშვნელი კომპოზიტები:

*ნიმუში: ჩემი ბებია = ბებიაჩემი*

1. შენი ბიძა = ..........................................................
2. თქვენი მამიდა = ..................................................
3. ჩემი დედა = ........................................................
4. ჩემი დეიდა = ......................................................
5. შენი პაპა = ..........................................................
6. თქვენი მამა = .....................................................



ანნამარია თურქაძე, 10 წლის

## 16. ხაზგასმული სიტყვები შეცვალე ნათესაობის აღმნიშვნელი კომპოზიტებით:

*ნიმუში: მზე ჩემი დედა არის. / მზე დედაჩემი არის.*

1. გუშინ შენი ბიძა გავიცანი.
2. ჩემი ბებია 60 წლის არის.
3. მე და ჩემი პაპა ბაღში ვსეირნობდით.
4. თქვენი მამა კეთილი ადამიანია.
5. შენი დეიდა ძალიან ახალგაზრდაა.
6. თქვენი მამიდა გემრიელ ნამცხვრებს აცხობს.

**17. დააკვირდი და ნიმუშის მიხედვით შეასრულე სავარჯიშო:**

*ნიმუში:*



*ვარსკვლავი*



*ვარსკვლავ-ებ-ი*



ყვავილი ..............................................



ბიჭი ..............................................



გოგო ..............................................



ძმა ..............................................



და ..............................................

## 18. წაიკითხე განმარტება და ჩასვი სწორი ფორმა:

- წოდებით ბრუნვაში დასმულ სახელს მიმართვა ეწოდება.
- წოდებითი ბრუნვის ნიშანია **-ო** ან **-ვ** (მაგ.: მზეო, მთვარევ...).
- მიმართვა წინადადების სხვა წევრებისგან სასვენი ნიშნით, მძიმით, უნდა გამოვყოთ.

*ნიმუში:*

*........................................... , ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა! (მზეო, მზე)*

*მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა!*

*........................................... ყოველ დილით ამოდის და გვათბობს. (მზეო, მზე)*

*მზე ყოველ დილით ამოდის და გვათბობს.*

1. ................................, ყველას ჩემს დაბადების დღეზე გეპატიჟებით! (მეგობრები, მეგობრებო)
2. მე ბევრი .........................................მყავს. (მეგობარი, მეგობარო)
3. ბნელი გზა გამინათე, ............................................ ! (მთვარე, მთვარევ)
4. ცაზე .................................... გამოჩნდა და გზა გაანათა. (მთვარე, მთვარევ)
5. ........................................... , შენი სიყვარულით გული როგორ შემიღონე! (გოგო, გოგოვ)
6. ქუჩაში ლამაზი .................................................... დავინახე. (გოგო, გოგოვ)

## 19. დააკვირდი ცხრილს და წინადადებებში ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:

  

| სიხარული | მოწონება | სიყვარული |
|---|---|---|
| I. მე მიხარია | I. მე მომწონს | I. მე მიყვარს |
| II. შენ გიხარია | II. შენ მოგწონს | II. შენ გიყვარს |
| III. მას უხარია | III. მას მოსწონს | III. მას უყვარს |
| I. ჩვენ გვიხარია | I. ჩვენ მოგვწონს | I. ჩვენ გვიყვარს |
| II. თქვენ გიხარიათ | II. თქვენ მოგწონთ | II. თქვენ გიყვართ |
| III. მათ უხარიათ | III. მათ მოსწონთ | III. მათ უყვართ |

1. თეკლას ....................................მეგობრების დანახვა. (მიხარია / გიხარია / უხარია)
2. მე ძალიან .................................... ეს წიგნი. (მომწონს / მოგწონს / მოსწონს)
3. ლუკას ................................................... ლიკა. (მიყვარს / გიყვარს / უყვარს)
4. მე ძალიან ........................................ საქართველოს ნახვა. (მიხარია / გიხარია / უხარია)
5. როგორ .............................. ქართულის გაკვეთილები? (მომწონს / მოგწონს / მოსწონს)
5. თეატრში სიარული ........................................? (მიყვარს / გიყვარს / უყვარს)
6. ჩვენ ......................... საქართველოში ჩამოსვლა. (გვიყვარს / გიყვართ / უყვართ)
7. თქვენ ................................... ქართული ცეკვა? (მომწონს / მოგწონთ / მოსწონთ)
8. მათ .................................................... თქვენი ნახვა. (გვიხარია / გიხარიათ / უხარიათ)
9. ლუკას და ანას ძალიან ................................ ხინკალი. (გვიყვარს / გიყვართ / უყვართ)

## 20. შეადგინე წინადადებები მოცემული სიტყვების გამოყენებით:

| |
|---|
| მიყვარს, გვიყვარს, უხარიათ, მოგწონთ, ~~მიხარია~~, უყვარს, გიხარია. |

*ნიმუში:*
*მიხარია თქვენი გაცნობა.*

1. ..........................................................................................................................

2. ..........................................................................................................................

3. ..........................................................................................................................

4. ..........................................................................................................................

5. ..........................................................................................................................

6. ..........................................................................................................................



*სალომე რუხაძე, 10 წლის*

## ვმსჯელობთ ტექსტის შესახებ

**21. ა) შეარჩიე სიტყვები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ დედის დასახასიათებლად და დააკავშირე:**



- კაშკაშა
- ერთგული
- მხიარული
- თბილი
- მოციმციმე
- ლამაზი
- ჟუჟუნა
- მზრუნველი
- კეთილი
- ნათელი
- მოსიყვარულე

**ბ) ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელს აირჩევდი დედაშენის დასახასიათებლად?**

.................................................................................................................................

.................................................................................................................................

.................................................................................................................................

.................................................................................................................................

.................................................................................................................................

.................................................................................................................................

.................................................................................................................................

## წერითი დავალება

**22. დაწერე, როგორია დედაშენი. წერის დროს შეგიძლია გამოიყენო დამხმარე კითხვები და წინა სავარჯიშოში მოცემული სიტყვები (მოსიყვარულე, თბილი, ლამაზი, კეთილი...):**

| რა ჰქვია დედაშენს? / რამდენი წლის არის? / რას საქმიანობს? / როგორ გამოიყურება? |
|---|

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

## ინტერნეტის სამყაროში

**23. მოუსმინე და გაიმეორე:**

„მზე დედაა ჩემიო“

„ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“

„მზეო, ამოდი, ამოდი“




*ლუი შინდელ, 9 წლის*

## „თხა და ვენახი“

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. დააკავშირე სურათი და სიტყვა ერთმანეთთან:**






თაგვი

თოფი

კატა

მგელი

ვენახი

მიწა

თხა

ქანგი






## 2. წაიკითხე წინადადებები და ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:

მგელი / თოფი / თაგვი / კატა / ვენახი

1. მონადირემ ახალი ................................ იყიდა.
2. ტყეში ............................................. დავინახე.
3. კატამ ............................................... დაიჭირა.
4. თხამ .................................................. შეჭამა.
5. ........................................................ კნავის.

# რა ვიცით თემის შესახებ

## 3. დააკვირდი ილუსტრაციას და გამოთქვი ვარაუდი, რის შესახებ იქნება ტექსტი?

*ნიმუში: მე ვფიქრობ, ეს ტექსტი იქნება თხაზე.*
*მე ვფიქრობ, ეს ტექსტი იქნება თხის შესახებ.*

მე ვფიქრობ, ეს ტექსტი იქნება...

მგონია, რომ ...



ჩემი აზრით, ეს ტექსტი იქნება ...

ალბათ, ეს ტექსტი იქნება ...

## ვკითხულობთ ტექსტს

### თხა და ვენახი

**ვენახი** - ადგილი, სადაც ვაზია გაშენებული.
**ჟანგი** - ლითონზე გაჩენილი მოყავისფრო-მოწითალო ფერის ნადები.
**მიველ** - მივედი.

მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი;
მიველ ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი.
მოდი, ვნახოთ თხა, რამ შეჭამა თხა;
მიველ ვნახე თხა, მგელმა ჭამა თხა.
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახოთ მგელი, რამ შეჭამა მგელი;
მიველ ვნახე მგელი, თოფმა ჭამა მგელი.
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახოთ თოფი, რამ შეჭამა თოფი;
მიველ ვნახე თოფი, ჟანგმა ჭამა თოფი.
ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახოთ ჟანგი, რამ შეჭამა ჟანგი,
მიველ ვნახე ჟანგი, მიწამ ჭამა ჟანგი.
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ მიწა, რამ შეჭამა მიწა,
მიველ ვნახე მიწა, თაგვმა ჭამა მიწა.
თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი,
ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ თაგვი, რამ შეჭამა თაგვი;
მიველ ვნახე თაგვი, კატამ ჭამა თაგვი.
კატამ თაგვი, თაგვმა მიწა,
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.



*გიორგი ნანავა, 10 წლის*

# როგორ გავიგეთ ტექსტი

## 4. შემოხაზე სწორი პასუხი:

**1. რამ შეჭამა ვენახი?**

ა) კატამ ბ) თხამ გ) მგელმა

**2. რამ შეჭამა თოფი?**

ა) ჟანგმა ბ) მიწამ გ) მგელმა

**3. რამ შეჭამა მიწა?**

ა) ჟანგმა ბ) თოფმა გ) თაგვმა

**4. რამ შეჭამა მგელი?**

ა) თოფმა ბ) თხამ გ) მიწამ

**5. რამ შეჭამა თაგვი?**

ა) მგელმა ბ) ჟანგმა გ) კატამ



*მარიამ ფატულაევი, 7 წლის*

## 5. დააკავშირე ილუსტრაცია და წინადადება:







მგელმა თხა შეჭამა.

კატამ თაგვი შეჭამა.

თოფმა მგელი შეჭამა.

ჟანგმა თოფი შეჭამა.

თხამ ვენახი შეჭამა.

თაგვმა მიწა შეჭამა.

მიწამ ჟანგი შეჭამა.









## 6. აღნიშნე, რომელია სწორი და არასწორი:

| | სწორი | არასწორი |
|---|---|---|
| მგელმა ვენახი შეჭამა. | | |
| კატამ თაგვი შეჭამა. | | |
| თოფმა მგელი შეჭამა. | | |
| თაგვმა ვენახი შეჭამა. | | |
| თხამ ვენახი შეჭამა. | | |
| თაგვმა მიწა შეჭამა. | | |

## 7. დააკვირდი და დაალაგე წინადადებები სწორი თანმიმდევრობით:

თხამ / მგელმა / თოფმა / ჟანგმა / მიწამ / თაგვმა / კატამ

კატამ ჭამა თაგვი / მგელმა ჭამა თხა / თხამ შეჭამა ვენახი / მიწამ ჭამა ჟანგი / თოფმა ჭამა მგელი / ჟანგმა ჭამა თოფი / თაგვმა ჭამა მიწა.

..................................................................................................................................

..................................................................................................................................

..................................................................................................................................

..................................................................................................................................

..................................................................................................................................

..................................................................................................................................

..................................................................................................................................

..................................................................................................................................

..................................................................................................................................

## ენა და ტექსტი

### 8. ჩასვი გამოტოვებული პირის ნიშანი:

*ნიმუში:*

| მე | შენ | მან |
|---|---|---|
| *ვნახე* | *ნახე* | *ნახა* |

| | | |
|---|---|---|
| წავიკითხე | წაიკითხე | წაიკითხ...... |
| შე......ჭამე | შეჭამე | შეჭამა |
| დავლიე | დალიე | დალი...... |
| და......წერე | დაწერე | დაწერა |

### 9. ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:

*ნიმუში: გუშინ ტყეში მგელი ................................ (ვნახე, ნახე, ნახა)*
*გუშინ ტყეში მგელი ვნახე.*

თხამ ვენახი ................................ . (შევჭამე, შეჭამე, შეჭამა)

დედა, დავალება ................................ . (დავწერე, დაწერე, დაწერა)

ეფემია, ეს წიგნი უკვე ................................ ? (წავიკითხე, წაიკითხე, წაიკითხა)

კატომ რძე ................................ . (დავლიე, დალიე, დალია)

კატამ თაგვი ................................ . (დავიჭირე, დაიჭირე, დაიჭირა)

ვენახში თხა  ................................ . (დავინახე, დაინახე, დაინახა)

## 10. ა) წაიკითხე და დაიმახსოვრე:

ზმნის დრო გვიჩვენებს თუ როდის ხდება მოქმედება. მოქმედება შეიძლება ხდებოდეს თქმის მომენტში **(ახლანდელი დრო)**, უსწრებდეს თქმის მომენტს **(წარსული დრო)** ან მოხდეს თქმის შემდეგ **(მომავალი დრო)**.

| ახლანდელი დრო | წარსული დრო |
|---|---|
| ჭამს (ის მას) გოგო ნაყინს | შეჭამა (მან ის) გოგომ ნაყინი |
| ნახულობს (ის მას) ბიჭი ბებიას | ნახა (მან ის) ბიჭმა ბებია |
| წერს (ის მას) ბავშვი დავალებას | დაწერა (მან ის) ბავშვმა დავალება |
| კითხულობს (ის მას) გოგო წიგნს | წაიკითხა (მან ის) გოგომ წიგნი |
| მიდის (ის) მგელი | მივიდა (ის) მგელი |

| მომავალი დრო |
|---|
| შეჭამს (ის მას) გოგო ნაყინს |
| ნახავს (ის მას) ბიჭი ბებიას |
| დაწერს (ის მას) ბავშვი დავალებას |
| წაიკითხავს (ის მას) გოგო წიგნს |
| მივა (ის) მგელი |

## ბ) ჩასვი სიტყვები: ჭამს, ჭამა, შეჭამს, წერს, დაწერა, დაწერს.


ბიჭი .........................


გოგომ .........................


გოგო .........................



ბიჭი .........................



ბიჭმა .........................



ბიჭი .........................

**11. ა) დააკვირდი და გამოიცანი, რით განსხვავდება მოცემული სიტყვები ერთმანეთისგან?**

| | | | |
|---|---|---|---|
| მგელი<br>მგელმა | თაგვი<br>თაგვმა | კატა<br>კატამ | მიწა<br>მიწამ |

**ბ) ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:**

*ნიმუში: ............................... ვენახი შეჭამა. (თხა, თხამ)* *<u>თხამ</u> ვენახი შეჭამა.*
*............................... ვენახს ჭამს. (თხა, თხამ)* *<u>თხა</u> ვენახს ჭამს.*

1. ..................................................... თაგვს ჭამს. (კატა, კატამ)
2. .................................................. თაგვი შეჭამა. (კატა, კატამ)
3. ............................................. დავალებას წერს. (ბიჭი, ბიჭმა)
4. ........................................... დავალება დაწერა. (ბიჭი, ბიჭმა)
5. ............................................... კარს ალებს. (ბავშვი, ბავშვმა)
6. .............................................. კარი გაალო. (ბავშვი, ბავშვმა)

## ვმსჯელობთ ტექსტის შესახებ

**12. ა) მოუსმინეთ ვიდეოებს.**

„რამ შეჭამა ვენახი“ „თხა და ვენახი“

**ბ) შეადარე ვიდეო/ვიდეოები და ლექსი ერთმანეთს; იმსჯელე, რა მსგავსება და განსხვავებაა ლექსსა და ვიდეოს/ვიდეოებს შორის.**

**მსჯელობის დროს შეგიძლია დაიხმარო ფრაზები:**
*ვიდეოსა და ლექსში ერთი და იგივეა... / ვიდეო ლექსს ჰგავს... / ვიდეო და ლექსი ერთმანეთისგან განსხვავდება... / ვიდეოში არის... / ლექსში არ არის...*



## წერითი დავალება

**13. შეავსე სქემა; დაწერე, რა მსგავსება და განსხვავებაა ლექსსა და ვიდეოს შორის:**

განსხვავება / მსგავსება / განსხვავება




*(წერის დროს შეგიძლია გამოიყენო წინა სავარჯიშოში მოცემული დამხმარე ფრაზები)*

.....................................................................................................................

.....................................................................................................................

.....................................................................................................................

.....................................................................................................................

.....................................................................................................................



*მათე ვარდოსანიძე, 10 წლის*

# „ათასად კაცი დაფასდა...“

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. დააკავშირე სურათი და სიტყვა ერთმანეთთან:**






ლუდი

ღვინო

მტკვარი

ზღვა

კევი (საღეჭი რეზინა)

კოვზი

ალვის ხე

ბაყბაყდევი

ჭიანჭველა







## 2. დააკავშირე სიტყვა და განმარტება:

| | |
|---|---|
| დაფასება • | • კარგი ქცევის წესები |
| ზრდილობა • | • მოცულობის საზომი ერთეული |
| გვარიშვილობა • | • მდინარის წყლის მომატება |
| ლიტრა(ი) • | • შრომის, დამსახურების აღნიშვნა |
| მძლეთამძლე • | • საკუთარი უპირატესობის რწმენის მქონე; თავმომწონე |
| ადიდებული • | • თავის ქება |
| ამაყი • | • ძალიან ძლიერი |
| ტრაბახი • | • წარჩინებული, კარგი გვარის ქონა |

## 3. ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:

~~დააფასა~~ / ზრდილობა / გვარიშვილობა / ლიტრი / ადიდებული / მძლეთამძლეა

*ნიმუში: ნინომ მშობლების შრომა ............................ .*
*ნინომ მშობლების შრომა* *<u>დააფასა.</u>*

1. ლუკამ ............................... გამოიჩინა და თავისი სკამი დამითმო.

2. ბიჭმა ............................... მდინარე გადაცურა.

3. სულხან-საბა ორბელიანს კარგი ............................... ჰქონდა.

4. ერთი ............................... რძე მომეცით, თუ შეიძლება.

5. ეს სპორტსმენი ..............................., ვერავინ შეძლო მისი დამარცხება.

## 4. დააკავშირე სიტყვა / ფრაზა და განმარტება:

| | |
|---|---|
| წიხლსა ვკრავ | კბილებით დავანაწევრებ |
| ყლაპს ვუზამ | გადავაადგილებ, ადგილს შევუცვლი |
| ძვრას ვუზამ | ფეხს ვკრავ, ფეხს დავარტყამ |
| დავლეჭავ | გაუნადგურებია, დაუნგრევია |
| დაუქცევია | გადავყლაპავ |

## რა ვიცით თემის შესახებ

## 5. წაიკითხე ინფორმაცია:



მტკვარი არის სამხრეთ კავკასიის უდიდესი მდინარე. მტკვარზე გაშენებულია საქართველოს დედაქალაქი - თბილისი.



ბაყბაყდევი ქართულ მითოლოგიაში ტყის კაცს ნიშნავს. ბაყბაყდევი მრავალთავიანი და ბოროტი არსება და ყოველთვის მარცხდება სიკეთესთან ბრძოლაში.

## ვკითხულობთ ლექსებს

***

ათასად გვარი დაფასდა,
ათი ათასად - ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ ვარგა,
რას არგებს  გვარიშვილობა.

***

შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა
განა სუყველას სმა უნდა?
ენაზე მოსულ სიტყვასა
განა სუყველას თქმა უნდა?

***

აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ,
იქით გორასა ძვრას ვუზამ,
ადიდებულსა დიდს მტკვარსა
დავაყენებ და ყლაპს ვუზამ,
ას ლიტრა რკინას დავლეჭავ
კევივითა და ყლაპს ვუზამ.

***

ნუ იამაყებ, თუნდ იყო
ცხრა თავი ბაყბაყდევია,
ნუ იტყვი, ის რას დამაკლებს,
მე ვარო მძლეთა მძლევია.
გახსოვდეს, კოვზსა პაწიას
დიდი ზღვა დაულევია,
ალვის ხე, ცამდე ასული,
ჭინჭველას წაუქცევია.





*ანზორ კოზაევი, 9 წლის*

## როგორ გავიგეთ ტექსტი

**6. შემოხაზე სწორი პასუხი:**

**1. წაიკითხე ნაწყვეტი და უპასუხე, რა უფრო მნიშვნელოვანია?**
*„ათასად გვარი დაფასდა,*
*ათი ათასად - ზრდილობა“ .*

ა) უფრო მნიშვნელოვანია გვარი
ბ) უფრო მნიშვნელოვანია ზრდილობა

**2. წაიკითხე ნაწყვეტი და შემოხაზე სწორი პასუხი:**
*„ენაზე მოსულ სიტყვასა*
*განა სუყველას თქმა უნდა?“*

ა) ყველაფრის თქმა არ შეიძლება
ბ) შეგვიძლია ყველაფერი ვთქვათ

**3. რას გამოხატავს სიტყვები:**
*„აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ,*
*იქით გორასა ძვრას ვუზამ...“*

ა) მთქმელის ტრაბახს
ბ) მთქმელის სიძლიერეს

**4. რას ნიშნავს ხაზგასმული ფრაზა?**
*„ას ლიტრა <u>რკინას დავღეჭავ</u>*
*<u>კევივითა</u> და ყლაპს ვუზამ“.*

ა) კევს დავღეჭავ
ბ) რკინას დავღეჭავ კევის მსგავსად

**5. რას ნიშნავს ხაზგასმული ფრაზა?**
*„ნუ იტყვი, ის რას დამაკლებს,*
*მე ვარო <u>მძლეთა მძლევია</u>“.*

ა) ძალიან ძლიერი
ბ) ძალიან სუსტი

**6. ლექსის „ნუ იამაყებ“ მიხედვით, ადამიანი:**
ა) უნდა იყოს ამაყი
ბ) არ უნდა იყოს ამაყი

## ენა და ტექსტი

### 7. დააკავშირე ერთმანეთთან:

| | |
|---|---|
| ადიდებული • | • ზღვა |
| წითელი • | • კოვზი |
| პაწია • | • ლუდი |
| დიდი • | • ღვინო |
| შავი • | • მტკვარი |

### 8. წაიკითხე განმარტება და ჩაწერე რიცხვები სიტყვიერად:

- ერთად იწერება ,,და“-თი დაკავშირებული რაოდენობითი რიცხვითი სახელები (მაგ.: ოცდახუთი, ორმოცდაცხრა...);
- ერთად იწერება ასეულთა სახელები (ასი, სამასი, რვაასი...);
- ცალ-ცალკე იწერება შედგენილი რიცხვითი სახელები (სამას ორმოცდაჩვიდმეტი, ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი...).

*ნიმუში:* **1678** - *ათას~~ი~~ ექვსას~~ი~~ სამოცდათვრამეტი* = *ათას ექვსას სამოცდათვრამეტი*

| | |
|---|---|
| **57** | |
| **38** | |
| **102** | |
| **500** | |
| **1677** | |
| **2400** | |
| **1000** | |

## 9. დააკვირდი ცხრილს და წინადადებებში ჩასვი გამოტოვებული ზმნები:

| | |
|---|---|
| **I .** მე მინდა<br>**II .** შენ გინდა<br>**III .** მას უნდა | **I .** ჩვენ გვინდა<br>**II .** თქვენ გინდათ<br>**III .** მათ უნდათ |

1. ნინოს ახალი კაბის ყიდვა .................................. .  (მინდა, გინდა, უნდა)

2. - გამარჯობა, დახმარება ხომ არ .................................. ? (უნდა, გინდათ, მინდა)

   - არა, გმადლობთ, არ .................................. . (უნდათ, გინდა, მინდა)

3. ორი ცალი მარწყვის ნაყინი .................................. , თუ შეიძლება. (გვინდა, გინდათ, უნდათ)

4. მე ქართული ენის სწავლა .................................. . (უნდა, გვინდა, მინდა)

5. .................................. ხვალ კინოში წავიდეთ? (უნდათ, გინდა, უნდა)

6. ბავშვებს მეგობრებთან ერთად თამაში .................................. . (უნდათ, გინდათ, უნდა)

## 10. ნიმუშის მიხედვით მიიღე ახალი სიტყვა:

*ნიმუში: ზრდილ~~ი~~ + ობა → ზრდილობა*

გვარიშვილი + ობა ......................................................................................

მეგობარი + ობა ..........................................................................................

ბავშვი + ობა ...............................................................................................

დედა + ობა .................................................................................................

## 11. ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:

გვარიშვილობა / მეგობრობა / ~~ზრდილობა~~ / ბავშვობა / დედობა

*ნიმუში: ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად - ზრდილობა.*

1. შენთან ............................................ ძალიან მახარებს.
2. თუ კაცი თვითონ არ ვარგა, რას არგებს ............................................ .
3. ............................................ ზრუნვასა და სიყვარულს ნიშნავს.
4. მართას ლამაზი ............................................ ჰქონდა.

## 12. წაიკითხე განმარტება და ჩასვი ნუ და ვერ ნაწილაკები:

ნუ ნაწილაკი ნიშნავს მოქმედების აკრძალვას ან თხოვნას *(ნუ წახვალ! ნუ დაწერ!).*
ვერ ნაწილაკი ნიშნავს შესაძლებლობის უარყოფას *(ვერ წახვალ! ვერ დაწერ!).*

1. გარეთ თოვს და ცივა, კარს ............... გააღებთ! (ვერ, ნუ)
2. ავად ვარ, სკოლაში ............... მივდივარ. *(ვერ, ნუ)*
3. ჩუმად, დედას სძინავს, ხმამაღლა ............... ლაპარაკობ. *(ნუ, ვერ)*
4. ქართულად კარგად ............... ვლაპარაკობ. *(ნუ, ვერ)*
5. ეს წიგნი მაიასია, ............... აიღებ! *(ვერ, ნუ)*
6. ეს კაბა ძალიან ძვირია, ახლა ............... ვიყიდი. *(ვერ, ნუ)*

## ვმსჯელობთ ტექსტის შესახებ

**13. როგორ ფიქრობ, ზრდილობა უფრო მნიშვნელოვანია თუ გვარიშვილობა?**

შეგიძლია დაიხმარო ფრაზები:

ჩემი აზრით / მე ვფიქრობ, უფრო მნიშვნელოვანია ............., რადგან ............. .
მგონია, რომ უფრო მნიშვნელოვანია ............. იმიტომ, რომ ............. .

## წერითი დავალება

**14. დააკვირდი სურათებს, შეარჩიე დიალოგისთვის სწორი სიტყვა:**

*ნიმუში:*



*უკაცრავად / გმადლობთ*

*- ფეხი ხომ არ იტკინე?*
*- არა, კარგად ვარ; <u>გმადლობთ</u> დახმარებისთვის!*



***გამარჯობა / თუ შეიძლება***

- ..........................., მაია მასწავლებელო, როგორ ხართ?
- გამარჯობა, ნიკა, კარგად ვარ, შენ როგორ ხარ?



***თუ შეიძლება, გნებავთ / გნებავთ, უკაცრავად***

- ................................................. ორი ყავა მოგვიტანეთ.

კიდევ ხომ არ ................................ რამე?



***უკაცრავად / მობრძანდით***

- შეიძლება შემოვიდე, ქალბატონო თამარ?
- დიახ, ...................................... .



***დაბრძანდით / უკაცრავად***

- ............................................, გთხოვთ.
- გმადლობ, ძალიან ზრდილობიანი ხარ!



***უკაცრავად / დაბრძანდით***

- ..................................... *შეგიძლიათ მითხრათ, რომელი საათია?*
- ხუთის ნახევარია.

**15. აირჩიე სურათი, შეადგინე დიალოგი და გაითამაშე მეწყვილესთან ერთად. შეგიძლია გამოიყენო მოცემული სიტყვები:**

გმადლობთ, თუ შეიძლება, გამარჯობა, მობრძანდით, დაბრძანდით, უკაცრავად, გნებავთ (გინდათ).









*მარიამ ლიკლიკაძე, 16 წლის*

# ლექსები მეფეებზე

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. დააკავშირე სურათი და სიტყვა ერთმანეთთან:**



- იალბუზი



- ჯაჭვის პერანგი



- ამომავალი მზე



- გელათის მონასტერი

## 2. დააკავშირე სიტყვა/ფრაზა და განმარტება:

| | |
|---|---|
| იალბუზი | მოლუნვა |
| დრეკა | მონასტერი |
| რეკა | მწვერვალი კავკასიონზე |
| საყდარი | საბრძოლო ტანსაცმელი |
| ჯაჭვის პერანგი | კახელი (აქ ერეკლე მეფის მეტსახელი) |
| კახი | ზარის ახმიანება |

## 3. ჩასვი გამოტოვებული სიტყვები/ფრაზები:

იალბუზი / მონასტერი / ჯაჭვის პერანგი / კახი

1. გელათის ...................................... დავით აღმაშენებელმა ააშენა.

2. ...................................... ერთ-ერთი მწვერვალია კავკასიონზე.

3. ერეკლე მეფე არის პატარა ...................................... .

4. მებრძოლს ...................................... აცვია.

## რა ვიცით თემის შესახებ

**4. წაიკითხე ინფორმაცია საქართველოს მეფეების შესახებ:**

| | |
|---|---|
|  | ვახტანგ I (ვახტანგ გორგასალი) იყო ქართლის მეფე მეხუთე საუკუნეში. ვახტანგ გორგასალმა ააშენა არაერთი ეკლესია და ციხე-ქალაქი; მან დააარსა საქართველოს ახლანდელი დედაქალაქი - თბილისი. |
|  | თამარ მეფე საქართველოს მეთორმეტე საუკუნეში მართავდა. თამარის დროს საქართველო უძლიერესი სახელმწიფო იყო. მისი მეფობის პერიოდს ისტორიაში „ოქროს ხანას“ უწოდებენ.<br><br>გელათის მონასტერში არის თამარის ერთ-ერთი ფრესკა (ნახატი კედელზე). |
|  | ერეკლე II (პატარა კახი) იყო ქართლ-კახეთის მეფე მეთვრამეტე საუკუნეში. ის იბრძოდა სპარსელების წინააღმდეგ და სურდა საქართველოს გაერთიანება. ერეკლე მეფე ქართველი ხალხის საყვარელი მეფეა. ხალხმა მას სიყვარულით „პატარა კახი“ შეარქვა. |

## ვკითხულობთ ტექსტებს

***

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

***

თამარ ქალო, ქვეყნის თვალო,
რა ლამაზი რამე ხარო,
ნეტავ რა არის მისთანა?
ამომავალი მზისთანა,
ნეტავ რა არის მისთანა?
მეფისა თამარისთანა,
ნეტავ რა არის მისთანა?
საყდარი გელათისთანა.

***

ეს ჩვენი მეფე ერეკლე,
ერთი პატარა კახია;
ჭაჯვის პერანგი ჩააცვეს,
გაჰკრა ხელი და გახია.

**ჩამოესმა** - ზევიდან მოესმა

**იწყეს** - დაიწყეს

**ქვეყნის თვალი** - ყველას მოსაწონი, ხალხის რჩეული

**მისთანა** - მისი მსგავსი

**ამომავალი მზისთანა** - ამომავალი მზის მსგავსი

**გელათისთანა** - გელათის მსგავსი



ალექსანდრია ჯორჯია ლავიტ, 7 წლის



გიორგი ნანავა, 10 წლის

## როგორ გავიგოთ ტექსტები

### 5. შემოხაზე სწორი პასუხი:

**1. ლექსის მიხედვით, ვის უყვარდა ვახტანგ მეფე?**
ა) ხალხს ბ) ღმერთს

**2. რა მოესმა ციდან ვახტანგ მეფეს?**
ა) ზარების ხმა ბ) ღმერთის ხმა

**3. სად შედგა ფეხი ვახტანგ მეფემ?**
ა) მთებზე ბ) იალბუზზე

**4. რას ნიშნავს ფრაზა „თამარ ქალო, ქვეყნის თვალო"?**
ა) ყველას მოსაწონს ბ) ლამაზთვალებიანს

**5. რა შეარქვა ქართველმა ხალხმა ერეკლე მეფეს?**
ა) პატარა კახი ბ) აღმაშენებელი

**6. ლექსის მიხედვით, როგორია ერეკლე მეფე?**
ა) საყვარელი ბ) ძლიერი

### 6. ჩასვი გამოტოვებული სიტყვები: <u>ოქროს ხანა, პატარა კახი, თბილისი</u>

1. ვახტანგ გორგასალმა დააარსა ქალაქი ................................... .

2. თამარ მეფის მეფობის პერიოდს ისტორიაში ................................... უწოდებენ.

3. ერეკლე მეფეს ქართველმა ხალხმა სიყვარულით „ ................................... " შეარქვა.

## ენა და ტექსტი

### 7. წაიკითხე განმარტება და აარჩიე სწორი ფორმა:

- თანდებული ჰქვია დამხმარე სიტყვას ან ბგერათა ჯგუფს, რომელიც დაერთვის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას და აღნიშნავს საგნის მდებარეობას, მიმართულებას, მსგავსებას და სხვ.
- მდებარეობას აღნიშნავს თანდებული **-ზე.**
- მიმართულებას აღნიშნავს თანდებული **-დან.**

*ნიმუში: ვახტანგ მეფემ ................................ შედგა ფეხი. (იალბუზიდან / იალბუზზე)*
*ვახტანგ მეფემ <u>იალბუზზე</u> შედგა ფეხი.*

1.............................................დევს წიგნი. (მაგიდაზე / მაგიდიდან)

2. ......................................... წიგნი ავიღე. (მაგიდაზე / მაგიდიდან)

3. ...................................... ჭექა-ქუხილის ხმა ისმის. (ცაზე / ციდან)

4. ........................................ ვარსკვლავები ანათებს. (ცაზე / ციდან)

5. ........................................ ფრთხილად გადადი! (გზაზე / გზიდან)

6. მანქანა მოდის, ......................... გადადი! (გზაზე / გზიდან)

## 8. დააკვირდი ნიმუშს და შეავსე ცხრილი:

*ნიმუში:*

| | |
|---|---|
| *სახელობითი* | *დიდ-ი მთებ-ი* |
| *მოთხრობითი* | *დიდ-მა მთებ-მა* |
| *მიცემითი* | *დიდ მთებ-ს* |
| *ნათესაობითი* | *დიდ-ი მთებ-ის* |
| *მოქმედებითი* | *დიდ-ი მთებ-ით* |
| *ვითარებითი* | *დიდ მთებ-ად* |
| *წოდებითი* | *დიდ-ო მთებ-ო* |

| | |
|---|---|
| სახელობითი | ლამაზ-ი ყვავილ-ი |
| მოთხრობითი | ...................... ................................ |
| მიცემითი | ლამაზ .......................................... |
| ნათესაობითი | ............................. ყვავილ-ის |
| მოქმედებითი | ლამაზ-ი ....................................... |
| ვითარებითი | ................................. ყვავილ-ად |
| წოდებითი | .......................... .......................... |



*ანანო გოგუა, 12 წლის*



*დავით ქიქველიშვილი, 13 წლის*

## 9. ჩასვი გამოტოვებული ფრაზა:

ლამაზი ბავშვი, ლამაზმა ბავშვმა, ~~ლამაზ ბავშვს,~~ ლამაზი ბავშვის, ლამაზი ბავშვით, ლამაზ ბავშვად, ლამაზო ბავშვო

*ნიმუში: ქუჩაში .................................... შევხვდი.*
*ქუჩაში ლამაზ ბავშვს შევხვდი.*

1. ავტობუსში ......................................... გამიღიმა.
2. ჩემს მეგობარს ძალიან ......................................... ჰყავს.
3. ნინო ......................................... დაიბადა.
4. ......................................... ღიმილი ძალიან სასიამოვნოა.
5. გამარჯობა, ......................................... .
6. ნინო თავისი ......................................... ამაყობს.

## 10. ჩასვი სწორი ფორმა:

*ნიმუში: ......................................... , რა ლამაზი ხარ! (თამარ ქალო / თამარ ქალმა)*
*თამარ ქალო, რა ლამაზი ხარ!*

1. როგორ ხარ, ......................................... ? (ჩემმა მეგობარმა / ჩემო მეგობარო)
2. ჩემი ფანჯრიდან ......................................... მოჩანს. (დიდი მთები / დიდო მთებო)
3. ......................................... , რატომ ტირი? (ლამაზო ბავშვო / ლამაზმა ბავშვმა)
4. ......................................... ვაშლი მომცა. (კეთილო ბიჭო / კეთილმა ბიჭმა)
5. ქუჩაში ......................................... დავინახე. (წითელი ავტობუსი / წითელო ავტობუსო)
6. ......................................................................... , მინდა საქართველოში ჩამოხვიდე! (ჩემი კარგი მეგობარი / ჩემო კარგო მეგობარო)

## 11. ჩასვი გამოტოვებული ნაცვალსახელი:

1. ეს .................. მეფე ერეკლე, ერთი პატარა კახია. (ჩვენი / ჩვენ)

2. დილით .................. სკოლაში წავედით. (ჩვენი / ჩვენ)

3. რამდენი წლის არის .................. ძმა? (შენ / შენი)

4. .................. რამდენი წლის ხარ? (შენ / შენი)

5. .................. ვცხოვრობ საქართველოში. (ჩემი / მე)

6. .................. სამშობლო საქართველოა. (ჩემი / მე)

7. .................. გერმანიიდან ჩამოვიდა. (ის / მისი)

8. .................. ჩანთა მე მაქვს. (ის / მისი)

9. .................. ნახვა ძალიან მიხარია. (მათი / ისინი)

10. .................. ძალიან ბედნიერები არიან. (მათი / ისინი)

11. .................. მატარებელი 9 საათზე გავა. (თქვენ / თქვენი)

12. .................. საიდან ხართ? (თქვენ / თქვენი)

## 12. წაიკითხე განმარტება და მონიშნე, სურვილს გამოხატავს თუ ინტერესს სიტყვა <u>ნეტავ (ნეტავი)</u>:

- ნეტავ (ნეტავი) გამოხატავს ნატვრას *(მაგ.:* **ნეტავი** დედამ ახალი კაბა მიყიდოს);
- გამოხატავს ინტერესს, გაგების სურვილს კითხვის დასმის დროს *(მაგ.:* **ნეტავ** რომელი საათია?).

**1. ნეტავ როგორ არის ჩემი მეგობარი?**

☐ ინტერესი ☐ სურვილი

**2. ნეტავი ახალი წელი მალე მოვიდეს!**

☐ ინტერესი ☐ სურვილი

**3. ნეტავ  ქართული ცეკვა შემეძლოს.**

☐ ინტერესი ☐ სურვილი

**4. ნეტავი სად წავიდა თეკლა?**

☐ ინტერესი ☐ სურვილი

**5. ნეტავ რომელი საათია?**

☐ ინტერესი ☐ სურვილი

**6. ნეტავ ახლა საქართველოში იყო.**

☐ ინტერესი ☐ სურვილი

**13. შეადგინე ოთხი წინადადება ნეტავ//ნეტავი სიტყვის გამოყენებით:**

გამოხატე სურვილი:

.................................................................................................................................

.................................................................................................................................

გამოხატე ინტერესი:

.................................................................................................................................

.................................................................................................................................

## ვმსჯელობთ ტექსტის შესახებ

**14. ვისმჯელოთ, როგორი მეფე იყო ვახტანგ გორგასალი?**

- კიდევ ერთხელ წაიკითხე ლექსი და წიგნში მოცემული ინფორმაცია ვახტანგ გორგასალზე;
- მოუსმინე და უყურე ვიდეოს თბილისის დაარსების შესახებ:

- იმსჯელე, რა გააკეთა და როგორი მეფე იყო ვახტანგ გორგასალი:

**მსჯელობისას შეგიძლია გამოიყენო შემდეგი ფრაზები:**

*როგორც ტექსტიდან ვიგებთ,... ლექსის მიხედვით,... ვიდეოდან ჩანს, რომ...*
*ჩემი აზრით,... ვფიქრობ, მას უყვარდა...*

## წერითი დავალება

**15. უყურე ვიდეოს და დაწერე, როგორ დაარსდა თბილისი:**

......................................................................................................................................................

......................................................................................................................................................

......................................................................................................................................................

......................................................................................................................................................

......................................................................................................................................................

......................................................................................................................................................

თბილისის დაარსება

# გართობის დრო

## აბა, ვინ გამოიცნობს:



1. გამოცანას მოგახსენებ,
დიდი არაფერია,
ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ,
ზოგან ალისფერია[1].

ა) ყვავილი;
ბ) ხალიჩა;
გ) ქვა.

2. ხმას არ იღებს – ლაპარაკობს,
წინ გვიყენებს ცოცხალ-მკვდრებსა,
არ იცინის და არ ტირის,
ჩვენ კი გვაცინ-გვატირებსა

ა) ტელევიზორი;
ბ) რვეული;
გ) წიგნი.



3. ერთი ხე მიდგას ეზოსა,
წითელ და თეთრი ფერისა.

ა) ვაშლი;
ბ) ვარდი;
გ) ძაღლი.

4. დაკეცილია,
არც კარები აქვს, არც ფანჯრები,
შიგ მრავალი[2] ხალხია.

ა) კვერცხი;
ბ) ბურთი;
გ) გოგრა.

[1]ალისფერი – წითელი
[2]მრავალი – ბევრი





## რას გვასწავლის ანდაზა

- წაიკითხე ქვემოთ მოცემული ანდაზები;
- აირჩიე ერთი, რომელიც მოგეწონება;
- ისაუბრე, რატომ აირჩიე ეს ანდაზა;
- რას გვასწავლის ეს ანდაზა?
- მოიფიქრე რაიმე ამბავი ამ ანდაზის თემაზე.

1. ადრე ამდგარსა კურდღელსა, ვერ დაეწევა მწევარი.
2. ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო.
3. დედის წინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს, ან მგლისფერი ცურაო.
4. ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო.
5. აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო.

o ____________________
o ____________________
o ____________________
o ____________________



*ამალი გალდავაძე, 11 წლის*

## თამაშის დრო

### გაფუჭებული ტელეფონი

- ჯგუფში აირჩიეთ ერთი მონაწილე, რომელიც იქნება „დედა“;
- დანარჩენები ერთმანეთს რიგრიგობით ეუბნებიან სხვადასხვა სიტყვას ისე, რომ „დედამ“ ვერ გაიგოს;
- როცა სიტყვების გადაცემა დამთავრდება, „დედა“ შეკითხვებს უსვამს სათითაოდ ყველას;
- მაგალითად: „რა გაქვს თავზე?“, „რა ჭამე?“, „რა გიყვარს?“ ... - ჯგუფის წევრი პასუხს გასცემს იმ სიტყვით, რომელიც მას ჩუმად, ჩურჩულით უთხრეს;
- ხშირად პასუხი უცნაური და სასაცილოა, მაგალითად: „რა გაქვს თავზე? - ვაშლი.“
- რომელი მოთამაშის პასუხიც ლოგიკური იქნება, ის გაიმარჯვებს და შემდეგ თამაშში გახდება „დედა“.



*გიორგი ნანავა, 10 წლის*



*ალექსანდრია ჯორჯია ლავიტ, 7 წლის*

# 3

# საყვარელი ტექსტები




*თამარ ბირკაძე, 13 წლის*

# წელიწადის დროები

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. დააკავშირე სურათი და სიტყვა:**







ვენახი
მტევანი
ვაზი
კალათი
რთველი
გოდორი







## 2. მიუწერე თითოეულ ნახატს შესაბამისი სიტყვა: მდელო, მთები, ტყე.







............................................ ............................................ ............................................

## 3. დააწყვილე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები:

| | |
|---|---|
| კამათი • | • მინდორი |
| მამული • | • დავა |
| მდელო • | • სამშობლო |

## 4. რომელია „მწიფეს“ საპირისპირო სიტყვა:

ა) გემრიელი ბ) მკვახე გ) მაგარი

## 5. დააკავშირე განმარტებასთან: სიო

სიო

სუსტი ნიავი ძლიერი ქარი

## რა ვიცით თემის შესახებ

**6. გამოიცანი წელიწადის დრო ხეების მიხედვით. დააკავშირე სეზონის სახელწოდება და განმარტება შესაბამის ხესთან:**

ა) გაზაფხული    ბ) ზაფხული    გ) შემოდგომა    დ) ზამთარი






ხეს მწვანე ფოთლები აქვს.    ხე აყვავებულია.    ხეს ფოთლები არ აქვს.    ხეს ყვითელი ფოთლები სცვივა.

**7. სიტყვები და ფრაზები დააჯგუფე და გაანაწილე ცხრილში სწორად:**

ცხელა / თბილა / ცივა / გრილა / მერცხალი მოფრინდა / ციდან ფიფქები ცვივა / ყურძენი დამწიფდა / ბალახი ამოვიდა.

| გაზაფხული | ზაფხული | შემოდგომა | ზამთარი |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |

**8. გამოიცანი წელიწადის დრო და მიუწერე:**

ა) ზამთარში ბ) ზაფხულში

... ღამე მოკლეა, დღე - გრძელი.

... ღამე გრძელია, დღე - მოკლე.

ა) შემოდგომაზე ბ) გაზაფხულზე

... ფრინველები თბილ ქვეყნებში მიფრინავენ.

... ფრინველები თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებიან.

**9. ისაუბრე, წელიწადის რომელი დრო გიყვარს ყველაზე მეტად და რატომ. გამოიყენე ფრაზები:**

.... მიყვარს იმიტომ, რომ ბევრი ხილია; ... მივდივარ დასასვენებლად; ... თბილა; ... ძალიან ლამაზია ფოთლები; ... ახალი წელია; ... მომწონს აყვავებული ხეები; ... თოვლია; ... ჩემი დაბადების დღეა; ... მზიანი ამინდებია; ... ჩიტები ჭიკჭიკებენ; ... სიმწვანეა.

**10. იპოვე დაკარგული თვე და ჩაწერე:**

გაზაფხული | ზაფხული | შემოდგომა | ზამთარი

- მარტი
- ............
- მაისი

- ივნისი
- ივლისი
- ............

- სექტემბერი
- ............
- ნოემბერი

- ............
- იანვარი
- თებერვალი

ივნისი | აპრილი | ოქტომბერი | აგვისტო

## 11. დაწყვილდით და გამოჰკითხეთ ერთმანეთს, სად და როდის მიდიხართ დასასვენებლად:

შეავსეთ ცხრილი:

| | მე მივდივარ დასასვენებლად | ჩემი მეწყვილე მიდის დასასვენებლად |
|---|---|---|
| სად | | |
| როდის | | |

## ეს საინტერესოა:



**ბორჯომი -** საკურორტო ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში.

ბორჯომში არის ულამაზესი პარკი, საბავშვო გასართობები, კეთილმოწყობილი სასტუმროები.




**მინერალური წყალი „ბორჯომი“**
ბორჯომის მინერალური წყალი ცნობილია მთელ მსოფლიოში.

მას აქვს სამკურნალო თვისებები.

**ჩაწერე google-ის საძიებო ველში და ნახე ვიდეო:**
„ბორჯომი, მაცოცხლებელი წყალი, ჩვენი ლეგენდა“

## ვკითხულობთ ლექსებს:

**გაზაფხული**

ტყემ **მოისხა** ფოთოლი,
აგერ მერცხალიც **ჭყივის**,
ბაღში **ვაზი ობოლი**
მეტის **ლხენითა** სტირის.
აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო, საყვარელო,
შენ **როსლა** აყვავდები?

*ილია ჭავჭავაძე*

**ლხენით** - სიხარულით
**როსლა** - როდისლა
**ობოლი** - აქ: მარტოდმარტო

**შეჯიბრი**

ნოდარიკოს და მაიკოს აქვთ **კამათი** და **დავა.**
ამ ზაფხულს დასასვენებლად
ვინ სად და როდის წავა.
მაიკომ უთხრა: - **ბორჯომში**
წავალ ივლისის ათში.
ნოდარმა უთხრა: - შენს **ჯიბრზე**
მე წავალ ლიმონათში.

*ნოდარ დუმბაძე*

**შენს ჯიბრზე** -
შენ რომ გაჯობო

**რთველი**

**ადე**, პირი დაიბანე,
**გამოფხიზლდი,** ჩემო თინა!
**რახანია** ცელქმა **სიომ**
ვენახები **დაირბინა.**
ვაზებს **ჩხები** შეურხია
ისე, რომ არ შეაშინა;
**ქარვა-მტევნებს** გადაჰკოცნა,
რთველიაო, აგრძნობინა.
დღეს ჩვენც მისთვის ვემზადებით
**გოდრებით** და **კალათითა,**
რადგან მეტი სიმწიფისგან
**ზედ ადნება** ვაზებს **თითა.**

*შიო მღვიმელი*

**ადე** - ადექი
**გამოფხიზლდი** - გაიღვიძე
**ჩხა** - მტევნებიანი ვაზის რტო (ტოტი)
**რახანია** - რამდენი ხანია
**თითა** - თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში.
ისხამს მსხვილ, მოგრძომარცვლებიან
მტევანს.
**ქარვა** -აქ: აღნიშნავს ღია მოყვითალო
ფერს.

**საახალწლო სიმღერა**

თეთრი ციდან ფიფქი ცვივა,
**გვირილების ხელაო...**
ჩქარა ტაში,
ჩქარა ტაში,
აბა, დელი-დელაო!
ჩვენს ნაძვის ხეს **შემოევლოს**
**წიფელა** და **თელაო.**
ეს რა კარგი,
რა ლამაზი
დილა გაგვითენდაო.
თეთრი ციდან ფიფქი ცვივა,
გვირილების ხელაო...
ჩქარა ტაში,
ჩქარა ტაში,
აბა, დელი-დელაო!

*ჯანსუღ ჩარკვიანი*

**შემოევლოს** - ენაცვალოს, მიმართვის ალერსიანი ფორმა



*ლილი მურვანიძე-სამსონიძე, 9 წლის*

## როგორ გავიგეთ ტექსტი

**12. მოძებნე, რომელ ლექსში გვხვდება ცხრილში მოცემული სტრიქონები და მონიშნე შესაბამისი უჯრა:**

| | „გაზაფხული“ | „შეჯიბრი“ | „რთველი“ | „საახალწლო სიმღერა“ |
|---|---|---|---|---|
| აყვავებულა მდელო,<br>აყვავებულან მთები | ✓ | | | |
| რახანია ცელქმა სიომ<br>ვენახები დაირბინა. | | | | |
| ეს რა კარგი,<br>რა ლამაზი<br>დილა გაგვითენდაო. | | | | |
| მაიკომ უთხრა: - ბორჯომში<br>წავალ ივლისის ათში. | | | | |

**13. მოიფიქრე ოთხი წინადადება. გამოიყენე სიტყვები: <u>დამწიფდა, ცვივა, მოისხა, კამათი.</u>**

1. ..........................................................................................................................................

2. ..........................................................................................................................................

3. ..........................................................................................................................................

4. ..........................................................................................................................................

## 14. უპასუხე კითხვებს ილია ჭავჭავაძის ლექსის მიხედვით („გაზაფხული“):

1. **რომელი ფრინველი გვაგრძნობინებს პირველად გაზაფხულის შემოსვლას?**
   ა) მტრედი ბ) მერცხალი გ) არწივი

2. **რას აღნიშნავს მოცემულ სტრიქონში ხაზგასმული სიტყვა?**
   *„ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა სტირის“*
   ა) უდედმამო ბ) საწყალი გ) მარტოდმარტო

3. **როგორ გესმის - „მეტის ლხენითა სტირის“?**
   ა) სიხარულისგან ტირის ბ) მწუხარებისგან ტირის

4. **ლექსის მიხედვით, რა არის აყვავებული?**
   ა) ეზო და ქუჩები ბ) ბაღი და ვენახები ბ) მდელო და მთები

5. **რას ნატრობს პოეტი ლექსის ბოლოს?**
   ა) საკუთარ ბედნიერებას ბ) სამშობლოს ბედნიერებას

## 15. უპასუხე კითხვებს ნოდარ დუმბაძის ლექსის მიხედვით („შეჯიბრი“):

1. **რაზე კამათობენ ნოდარიკო და მაიკო?**
   ა) ბორჯომი უფრო კარგია თუ ლიმონათი ბ) სად წავლენ ამ ზაფხულს დასასვენებლად

2. **ჩაწერე, სად და როდის აპირებს მაიკო დასასვენებლად წასვლას:**

   სად?.................................................................................

   როდის?.................................................................................

3. **როგორ პასუხობს მაიკოს ნოდარიკო:**
   ა) ჯიბრით ბ) მეგობრულად

4. **გადახაზე ზედმეტი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ა) | ლიმონათი | ბორჯომი | ბათუმი | კოკა-კოლა |
| ბ) | ბათუმი | ბორჯომი | ბაკურიანი | ფანტა |

**ჩაწერე, რომელი სიტყვები აღნიშნავს სასმელსაც და კურორტსაც:**

..................................................................................................

5. **ისაუბრე: რა არის ამ ლექსში უცნაური?**

## 16. უპასუხე კითხვებს შიო მღვიმელის ლექსის მიხედვით („რთველი“):

1. **რას ნიშნავს ფრაზა - „სიომ ვენახები დაირბინა“?**
 ა) ვენახში ქარია; ბ) ვენახში ნიავია.

2. **რა არის „ქარვა-მტევნები“ ლექსში?**
 ა) ყვითელი და მწიფე ყურძნის მტევნები; ბ) მწვანე და მკვახე ყურძენი.

3. **იპოვე ლექსში და ამოიწერე - როგორ ემზადებიან ადამიანები რთველისთვის:**

..................................................................................................................................................

4. **რას ნიშნავს „ზედ ადნება ვაზებს თითა“?**
 ა) თითა ძალიან მკვახეა ბ) თითა ძალიან მწიფეა

5. **როგორ ფიქრობ, რატომ უნდა ავტორს თინას გაღვიძება?**
 ა) იმიტომ, რომ რთველია. ბ) იმიტომ, რომ თოვლი მოვიდა.

## 17. უპასუხე კითხვებს ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსის მიხედვით („საახალწლო სიმღერა“):

1. **რა ჩანს ლექსში?**
 ა) სიხარული და მოლოდინი ბ) სევდა და მოწყენილობა

2. **ლექსის მიხედვით რამხელაა ფიფქი?**
 ა) გვირილების ხელა ბ) გვირილებზე პატარა გ) გვირილებზე დიდი

3. **რომელი ხეა მარადმწვანე (ყველა სეზონზე მწვანე)?**



თელა



წიფელი



ნაძვი

4. **როგორია დილა ლექსის მიხედვით?**

ა) ცივი და ღრუბლიანი ბ) კარგი და ლამაზი

5. მოისმინე სიმღერა: „თეთრი ციდან ფიფქი ცვივა“

„თეთრი ციდან ფიფქი ცვივა“

## ენა და ტექსტი

**18. მოძებნე ლექსებში მიმართვის ფორმები. დააკვირდი, რა სასვენი ნიშნები იწერება მიმართვასთან. შეადგინე 3 წინადადება, რომლებშიც იქნება მიმართვა.**

1. ..........................................................................................................................................

2. ..........................................................................................................................................

3. ..........................................................................................................................................

## 19. ჩაწერე სწორი ფორმა:

1. ...................................... (ტყე/ტყემ) მოისხა ფოთოლი.
2. ......................................(მაიკო/მაიკომ ) უთხრა ნოდარს.
3. ......................................(ნოდარი/ნოდარმა) უპასუხა მაიკოს.
4. ცელქმა ......................................(სიო/სიომ) ვენახები დაირბინა.
5. ზედ ადნება ...................................... (ვაზები/ვაზებს) თითა.

## 20. შეარჩიე სწორი ფორმა:

1. (სიმწიფისგან/სიმწიფიდან) ...................................... ზედ ადნება ვაზებს თითა.
2. (ციდან/ცისგან) ...................................... ფიფქები ცვივა.
3. ბებომ (კალათიდან/კალათისგან) ...................................... ხილი ამოიღო.
4. ყურძნის (წვენისგან/წვენიდან) ...................................... ღვინოს ამზადებენ.
5. (ეზოდან/ეზოსგან) ...................................... მერცხლის ჭიკჭიკი ისმის.
6. (მიწიდან/მიწისგან) ...................................... მწვანე ბალახი ამოვიდა.
7. ჩიტი (სიცივისგან/სიცივიდან) ...................................... კანკალებს.
8. ფრინველები (თბილი ქვეყნებისგან/თბილი ქვეყნებიდან) ................................. დაბრუნდნენ.
9. (მეგობრისგან/მეგობრიდან) ...................................... წერილი მივიღე.
10. (ხიდან/ხისგან) ...................................... ვაშლი ჩამოვარდა.

## 21. დააკვირდი ცხრილს და ჩასვი ზმნები სწორ ფორმაში:

| მხოლობითი რიცხვი | მრავლობითი რიცხვი |
|---|---|
| მოიბა | მოისხა |
| ვარდება | ცვივა |
| გდია | ყრია |
| დევს | აწყვია |
| მოწყვიტა | დაკრიფა |

1. ციდან ფიფქები ...................................... (ვარდება/ცვივა).
2. ხიდან ვაშლი ...................................... (ვარდება/ცვივა).
3. ეზოში ყვითელი ფოთლები ...................................... (გდია/ყრია).
4. იატაკზე ფურცელი ...................................... (გდია/ყრია).
5. მაგიდაზე ხილი ...................................... (დევს/აწყვია).
6. კარადაში პური ...................................... (დევს/აწყვია).
7. თინამ ბაღში მწიფე მსხალი ...................................... (მოწყვიტა/დაკრიფა).
8. წელს რთველში პაპამ ბევრი ყურძენი ...................................... (მოწყვიტა /დაკრიფა).
9. ვაშლის ხემ წელს ბევრი ნაყოფი ...................................... (მოიბა/მოისხა).
10. პატარა ატმის ხემ ერთი ატამი ...................................... (მოიბა/მოისხა).

## 22. დააკვირდი:

| ზამთარში | ზაფხულში | შემოდგომაზე | გაზაფხულზე |
|---|---|---|---|

- ოცდაორი აპრილი - ოცდაორ აპრილს
- თორმეტი სექტემბერი - თორმეტ სექტემბერს
- ხუთი აგვისტო - ხუთ აგვისტოს

- ხუთი მაისი - ხუთ მაისს
- ოცი ივნისი - ოც ივნისს
- შვიდი ივლისი - შვიდ ივლისს

## 23. როდის მაქვს დაბადების დღე? უპასუხე ნიმუშის მიხედვით და ჩაწერე:

***ნიმუში:*** *დაბადების დღე მაქვს გაზაფხულზე, აპრილში. დაბადების დღე მაქვს ათ აპრილს.*

........................................................................................................................................

## 24. დაალაგე არეული სიტყვები და შეადგინე წინადადებები სწორი ფორმით:

- ნოდარიკო, დაბადების დღე, ზამთარი, აქვს

........................................................................................................

- მაიკო, დაბადების დღე, ოცდასამი, ჰქონდა, მაისი

........................................................................................................

- თინა, გახდა, შემოდგომა, ცხრა, წელი

........................................................................................................

- ბებია, ივნისი, დაბადების დღე, იყო, ოცი

........................................................................................................

- ჩემი, არის, დაბადების დღე, აგვისტო

........................................................................................................



*დავით ქიქველიშვილი, 13 წლის*



*ელა ლამპე, 11 წლის*

## წერითი დავალება:

**25. შეარჩიე სურათი, დაასათაურე და აღწერე. გამოიყენე მოცემული სიტყვები და ფრაზები:**

თოვლი, ქვიშა, ციგა, ზღვის სანაპირო, კალათა, ყურძნის მტევანი, მერცხალი, ნიჟარა, ნიჩაბი, ყვავილები, რთავენ, კრეფენ, საახალწლო ნაძვის ხე, ძაღლი, მოწმენდილი ცა, მთები, აყვავებული ხეები, მზიანი დღე, თბილი ტანსაცმელი, ზაფხულის ტანსაცმელი.











*თომა კლდიაშვილი, 9 წლის*
,

## „ყველას თავისი დედიკო უყვარს...“

# ლექსიკაზე მუშაობა

## 1. დააკავშირე მშობელი და ნაშიერი (შვილი):

| | |
|---|---|
| ვირი | ლეკვი |
| ძროხა | ჩოჩორი |
| ძაღლი | კნუტი |
| კატა | ხბო |
| ცხვარი | თიკანი |
| თხა | ბაჭია |
| ღორი | ბატკანი |
| კურდღელი | გოჭი |

## 2. შეავსე ცხრილი სიტყვებით: ლომი, კოზაკი, ღლაპი, თაგვი, ბელი.

| მშობელი | ნაშიერი |
|---|---|
| დათვი | |
| | ბოკვერი |
| აქლემი | |
| | წრუწუნა |
| ვირთხა | |

## 3. მიუწერე შესაბამისი ნომერი:




***...5...ხოხობი და ლაპი***

........ არწივი და მართვე

........ ბელურა და ბარტყი

........ კრუხი და წიწილა

........ ყვავი და ბახალა

## 4. ჩაწერე სწორად: ლეკვი/ ბოკვერი

მელიის ....................................

ლომის ....................................

მგლის ....................................

ვეფხვის ....................................

## 5. ჩაწერე სწორად:

**1. კნავის/ყეფს**

ა) ძაღლი ............................................

ბ) კატა ............................................

**2. ყრანტალებს/ჭიკჭიკებს**

ა) მერცხალი ............................................

ბ) ყვავი ............................................

## 6. რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები?

ა) მსუქანი - გამხდარი    ბ) ფუმფულა - ფაფუკი    გ) ზანტი - სწრაფი

## 7. რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები?

ა) დათხუპნული - სუფთა    ბ) საძაგელი - საზიზღარი    გ) ლაღად - თავისუფლად

## 8. რომელია ფუმფულა? მსუქანა? ზანტი?







.............................. გოჭი    .............................. კოზაკი    .............................. ბატკანი

## 9. მოძებნე ლექსიკონში (ganmarteba.ge) და მიუწერე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები:

ბოჩოლა - ..................................................................................................................................

ბეკეკა - ....................................................................................................................................

## 10. ნახე ვიდეოები:

[გარეული ცხოველები და მათი შვილები](#)

[შინაური ცხოველები და მათი შვილები](#)

## 11. გამოიყენე შენი ცოდნა და შეავსე კროსვორდი ცხოველების ნაშიერთა სახელებით:




↓

1. ლომის ნაშიერი
2. თხის ნაშიერი
3. კატის ნაშიერი
4. ღორის ნაშიერი
6. კურდღლის ნაშიერი
8. მგლის ნაშიერი

→

1. ცხვრის ნაშიერი
5. ვირის ნაშიერი
6. დათვის ნაშიერი
7. არწივის ნაშიერი

## 12. როგორ ფიქრობ, რა აქვს საერთო ამ სურათებს?



## 13. ლექსის სათაურია - „ყველას თავისი დედიკო უყვარს...“. შენი აზრით, რა იქნება გადმოცემული ტექსტში?

ა) შვილების სიყვარული დედების მიმართ
ბ) დედების სიყვარული შვილების მიმართ

1. **ვკითხულობთ ლექსს**

**ყველას თავისი დედიკო უყვარს...**

ყველას თავისი დედიკო უყვარს,
წიწილას - კრუხი, ბელურა - ბარტყებს,
კნუტს - კატა, კოზაკს - **ზანტი** აქლემი,
დედა არწივზე **გიჟდება** მართვე.
ბახალებს უყვართ დედიკო ყვავი,
მერე რა მოხდა, თუკი ყრანტალებს,
**სამაგიეროდ** კარგი დედაა,
შვილებს სულ **ფრთებისგულზე ატარებს.**
ბოჩოლას უყვარს დედიკო ძროხა,
ლეკვებს - მელია, ძაღლი და მგელი,
თან ისე უყვართ, ისე ძალიან,
ხანდახან **თვალზე ადგებათ ცრემლი.**
ფუმფულა ცხვარი უყვარს ბეკეკას,
თხა - თიკანს, ხოხობს თან **დასდევს** ლაპი,
ყურში გეტყვით და იმ **უსაძაგლეს**
დედა ვირთხაზეც გიჟდება ღლაპი.
ბოკვრებს დედიკო ლომები უყვართ,

**ზანტი** - ნელი
**გიჟდება** - აქ: ძალიან უყვარს
**ფრთებისგულზე ატარებს** - ხელისგულზე ატარებს; ყველაფერს უსრულებს; ზრუნავს
**თვალზე ადგებათ ცრემლი** - აქ: ძლიერი გრძნობისგან ეტირებათ.
**დასდევს** - უკან დაჰყვება
**უსაძაგლესი** - ძალიან ცუდი; საზიზღარი
**დათხუპნული** - დასვრილი
**ღიპი** - დიდი მუცელი
**დანდალა** - აქ: მსუქანა

გოჭებს - მსუქანა დედიკო ღორი,
**დიდი ამბავი, თუკი** ყოველდღე
**დათხუპნულია** ტალახში გორვით.
ბაჭიას უყვარს დედა კურდღელი,
მის თათზე უდევს ძილის დროს თათი,
სულ **ღიპზე** ჰკოცნის სიყვარულისგან
ბელს ისე უყვარს **დანდალა** დათვი.
ყველას თავისი დედიკო უყვარს,
ჩოჩორს - ვირი და წრუწუნას - თაგვი,
მე ჩემი ტკბილი დედიკო მიყვარს,
ის არის ქვეყნად ყველაზე კარგი.

*ლელა ცუცქირიძე*



*ელენა მეფარიშვილი, 8 წლის*

**2. წაკითხვის შემდეგ**

## 14. მონიშნე სწორი და არასწორი ინფორმაცია:

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| წიწილას უყვარს კრუხი. | ✓ | |
| ბელურა უყვართ ლაპებს. | | |
| კნუტს უყვარს კატა. | | |
| კოზაკს უყვარს ცხვარი. | | |
| თხა უყვარს თიკანს. | | |

## 15. შეარჩიე სწორი პასუხები:

1. **მართვეს ძალიან უყვარს:**
ა) დედა არწივი ბ) დედა ხოხობი

2. **ბახალებს უყვართ:**
ა) დედიკო კრუხი ბ) დედიკო ყვავი

3. **დედიკო ძროხა უყვარს:**
ა) ბოჩოლას ბ) ჩოჩორს

4. **მელია, ძაღლი და მგელი უყვართ:**
ა) ლეკვებს ბ) ბოკვრებს

5. **ხოხობს დასდევს:**
ა) ლაპი ბ) ღლაპი

6. **ყრანტალებს:**
ა) მერცხალი ბ) ყვავი

7. **ტალახში გორავს:**
ა) ღორი ბ) ვირი

## 16. დააკავშირე, რა რომორია ლექსის მიხედვით:

| | |
|---|---|
| ღორი | დანდალა |
| დათვი | ფუმფულა |
| ცხვარი | ზანტი |
| ვირთხა | მსუქანა |
| აქლემი | უსაძაგლესი |

## 17. იპოვე ლექსში და ამოიწერე, რომორ გამოხატავს:

1. ბელი დათვის სიყვარულს -

.....................................................................................................................

2. ბაჭია კურდღლის სიყვარულს -

.....................................................................................................................

3. ლეკვები მელიის, მგლისა და ძაღლის სიყვარულს -

.....................................................................................................................

# ენა და ტექსტი

## 18. დააკავშირე:

| | |
|---|---|
| მე | გიყვარს |
| შენ | უყვარს |
| მას | მიყვარს |
| ჩვენ | გიყვართ |
| თქვენ | უყვართ |
| მათ | გვიყვარს |

## 19. დააკვირდი და ჩასვი სწორი ფორმა:

**მას (შვილს) უყვარს ის (დედა)**

*ნიმუში: შვილს უყვარს დედა.*

წიწილა/წიწილას

............................................ უყვარს კრუხი.

კოზაკი/კოზაკს

............................................ უყვარს აქლემი.

თიკანი/თიკანს

............................................ უყვარს თხა.



*ანნამარია თურქაძე, 10 წლის*

## 20. შეადგინე წინადადებები და ჩაწერე:

***ნიმუში:*** *დედიკო, ბოჩოლა, სიყვარული, ძროხა*
*ბოჩოლას უყვარს დედიკო ძროხა.*

1. დედიკო, ბახალები, ყვავი, სიყვარული

...........................................................................................................................

2. ცხვარი, სიყვარული, ბეკეკა, ფუმფულა

...........................................................................................................................

3. ტკბილი, ჩემი, მე, დედიკო, სიყვარული

...........................................................................................................................

## 21. დააკვირდი და შეცვალე ნიმუშის მიხედვით:

*შვილს ძალიან უყვარს დედა - შვილი გიჟდება დედაზე.*
*მართვეს ძალიან უყვარს არწივი - მართვე გიჟდება არწივზე.*

1. ღლაპს ძალიან უყვარს ვირთხა .................................................................
2. ჩოჩორს ძალიან უყვარს ვირი .................................................................
3. წრუწუნას ძალიან უყვარს თაგვი .................................................................

## 22. შემოხაზე, რომელია სწორი:

| | |
|---|---|
| ა) ბოკვერები | ბ) ბოკვრები |
| ა) ცხვრები | ბ) ცხვარები |
| ა) კურდღელები | ბ) კურდღლები |
| ა) მერცხალები | ბ) მერცხლები |
| ა) თიკნები | ბ) თიკანები |
| ა) მართვები | ბ) მართვეები |

## 23. რა კითხვა დაესმის სიტყვებს:

ფუმფულა, საძაგელი, ზანტი, მსუქანი, დანდალა

ა) რამდენი? ბ) როგორი?

## 24. შეადარე:

1. დედამ **ლამაზი კაბა** მიყიდა.
2. დედამ **ულამაზესი კაბა** მიყიდა.

რას გამოხატავს **„ულამაზესი“?**
ა) ძალიან ლამაზს ბ) ოდნავ ლამაზს

## 25. აწარმოე ნიმუშის მიხედვით:

***ნიმუში:***

| | |
|---|---|
| *საძაგელი* | *უსაძაგლესი* |
| საყვარელი | |
| მსუქანი | |
| ფუმფულა | |
| ერთგული | |
| ძვირფასი | |
| ზანტი | |
| ჭკვიანი | |
| ძლიერი | |

## 26. გამოიყენე წინა სავარჯიშო და ხაზგასმული სიტყვა შეცვალე ერთი სიტყვით:

ვირთხა **ყველაზე საძაგელია.**
ვირთხა **უსაძაგლესია.**

1. აქლემი **ყველაზე ზანტი** ცხოველია.

..........................................................................................................................

2. ლომი **ყველაზე ძლიერია.**

..........................................................................................................................

3. ბაჭია **ყველაზე საყვარელია.**

..........................................................................................................................

4. სპილო **ყველაზე ჭკვიანია.**

..........................................................................................................................

5. დედა **ყველაზე ძვირფასია.**

..........................................................................................................................

## 27. დაიმახსოვრე:

| არასწორია | სწორია |
|---|---|
| უტკბილესი | უტკბესი |
| უგრძელესი | უგრძესი |

| არასწორია | სწორია |
|---|---|
| ყველაზე ულამაზესი | ულამაზესი/ძალიან ლამაზი |
| ყველაზე უჭკვიანესი | უჭკვიანესი/ძალიან ჭკვიანი |

## 28. დააკვირდი ნიმუშებს და შეადგინე მსგავსი წინადადებები:

<u>*ნიმუში:*</u>

- ***„მერე რა მოხდა, თუკი*** *ყრანტალებს,*
  ***სამაგიეროდ*** *კარგი დედაა,“*

- ***დიდი ამბავი, თუკი*** *დათხუპნულია,*
  ***სამაგიეროდ*** *ძალიან საყვარელია.*

**(შეგიძლია გამოიყენო სიტყვები: ზარმაცი/ჭკვიანი, სულელი/ლამაზი, მკაცრი/სამართლიანი, ჯიუტი/კეთილი...)**

მერე რა, თუკი ........................................ , სამაგიეროდ ........................................ .

დიდი ამბავი, თუკი .................................. , სამაგიეროდ ........................................ .

## 29. ყველას <u>თავისი</u> დედიკო უყვარს. რას ნიშნავს „თავისი“?

ა) საკუთარი          ბ) სხვისი

**შეადგინე წინადადებები, გამოიყენე:**

- თავისი ჩანთა
- თავისი წიგნი
- თავისი ეზო
- თავისი ქალაქი
- თავისი სკოლა



*სესილია ბანცაძე, 9 წლის*

## ვმსჯელობთ

**- შენ თუ გყავს სახლში შინაური  ცხოველი?**

**- ზოოპარკში რომელი ცხოველი და მისი ნაშიერი გინახავს?**

**- ისაუბრე: თუ გინახავს, როგორ გამოხატავს ცხოველი სიყვარულს შვილის/მშობლის მიმართ?**

## წერითი დავალება

**დაწერე თხზულება: „მე ჩემი ტკბილი დედიკო მიყვარს“.**

- როგორია შენთვის შენი დედიკო?
- როგორ გამოხატავ მის მიმართ სიყვარულს?

**გამოიყენე სიტყვები:**

ყველაზე კარგი, ყველაზე ლამაზი (ულამაზესი), ყველაზე ჭკვიანი (უჭკვიანესი), ყველაზე ტკბილი (უტკბესი) ... როცა ვუყურებ... როცა ჩემთან არის... როცა ჩემთან არ არის... ძილის დროს... ვეხუტები, ვეფერები, ვეხმარები, ვკოცნი, ვზრუნავ, მენატრება... მერე რა, თუკი... სამაგიეროდ... .



*ნია პაპიძე, 10 წლის*

# ლექსიკაზე მუშაობა

## 1. გამოიცანი სიტყვა (წაიკითხე მარჯვნიდან მარცხნივ) და ჩაწერე:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ა | ნ | ი | ჯ | ო | თ | ................................................... |
| ი | ნ | გ | ი | წ | ................................................... | |
| ი | ლ | შ | ა | ვ | ................................................... | |

## 2. დააკავშირე:

| | |
|---|---|
| თოჯინის • | • წიგნი |
| ლექსების • | • წვენი |
| ვაშლის • | • კაბა |

## 3. მიუწერე სურათს შესაბამისი სიტყვა:

**ა) ბაფთები/კანფეტები**



.............................................



.............................................

## 4. დააკავშირე სურათი და სიტყვა:









- ნემსი
- ექიმი
- სურდო
- ლოყა

## 5. დააკავშირე სიტყვები:

| | |
|---|---|
| ნემსი | მაქვს |
| სურდო | გამოვიძახე |
| ექიმი | ვაკოცე |
| ლოყაზე | გავიკეთე |

## 6. ჩასვი სიტყვა სწორი ფორმით:

**ცივი, გაცივდა, გაციებული, ცივა**

- .................................... წყალი მომიტანეთ, თუ შეიძლება!
- გარეთ ...................................., თბილად ჩაიცვი.
- ჩემი შვილი .................................... და სურდო აქვს.
- პირბადე მიკეთია, რადგან .................................... ვარ.



## რა ვიცით თემის შესახებ

**7.** **დაასახელე სამი კარგი რამ, რაც გაუკეთე შენს მეგობარს (მაგალითად: მე ჩემს მეგობარს წიგნი ვაჩუქე...)**

**8.** **დაასახელე სამი კარგი რამ, რაც შენმა მეგობარმა გაგიკეთა (მაგალითად: ჩემმა მეგობარმა სურათი დამიხატა; ჩემი მეგობარი დამეხმარა ჩანთის ჩალაგებაში...)**

**9.** **შემოხაზე, რომელ პასუხს ეთანხმები:**

მე და ჩემი მეგობარი ვკამათობთ/ვჩხუბობთ

ა) ზოგჯერ ბ) არასდროს გ) ხანდახან

**10.** **დააკვირდი ილუსტრაციას, როგორ ფიქრობ, გოგონები მეგობრულად საუბრობენ თუ კამათობენ?**



## 11. დააკავშირე სიტყვა განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| გამოგატანა • | • რას ამბობ |
| რას ბრძანებ • | • მოგცა ჩემთვის წამოსაღებად |
| არ გათხოვებ • | • მაბრაზებ |
| მაჯავრებ • | • აღარ გელაპარაკები |
| გაგებუტე • | • არ მოგცემ (დროებით) |

## 12. ჩაწერე შესაბამისი სიტყვა:

**მადლიერი/უმადური**

ვინც სიკეთეს აფასებს ...............................................

ვინც სიკეთეს არ აფასებს ...............................................

## 13. დაალაგე სიტყვები თანმიმდევრობით: დღეს, ხვალ, გუშინ, ზეგ, გუშინწინ, მაზეგ

გუშინწინ, ........................................................................................................................

**შეადგინე წინდადებები ამ სიტყვების გამოყენებით.**

## 14. გაინაწილეთ როლები და წაიკითხეთ ლექსი ერთად:

**მანანა და ლალი**

მ ა ნ ა ნ ა - ლალი, ლალი, ჩემო ლალი!
ლ ა ლ ი - რაო, ჩემო მანანა?
მ ა ნ ა ნ ა - ეს თოჯინა დედაშენმა
ჩემთან გამოგატანა?
ლ ა ლ ი - რასა ბრძანებ, ქალბატონო!
არ გათხოვებ არასდროს,

გინდა ისევ **გააცივო,**
ისევ ს**ურდო დამართო?**
მ ა ნ ა ნ ა - რადგან ასე მეუბნები,
რადგან ასე **მაჯავრებ,**
დამიბრუნე ჩემი ვაშლი,
მე რომ გუშინ გაჭამე.
ლ ა ლ ი - **არაფერიც**, არაფერიც,
არაფერსაც არ მოგცემ,
იმ ვაშლისთვის, აღარ გახსოვს,
ლოყაზე რომ გაკოცე?
მ ა ნ ა ნ ა - მე რომ წიგნი მოგიტანე
კარგი **წასაკითხავი?..**
ლ ა ლ ი - მერე მე რომ მოგარჩინე,
ექიმი რომ ვიყავი?
მ ა ნ ა ნ ა - ჰო-ჰო-ჰო-ჰო, **დიდი საქმე,**
სულ არ იცი თამაში,
გახსოვს, მე რომ მოგეხმარე
კანფეტების ჭამაში?
ლ ა ლ ი - მერე მე რომ შენს თოჯინას
გავუკეთე ნემსები?!
მ ა ნ ა ნ ა - მერე მე რომ წაგიკითხე
დიდი, გრძელი ლექსები?!
ლ ა ლ ი - როგორც ვხედავ, ქალბატონო,
**უმადური** ბრძანდები,
დაგავიწყდა, გუშინწინ რომ
გამომართვი **ბაბთები?**
მ ა ნ ა ნ ა - არც თოჯინა მინდა შენი,
აღარც შენი ვაშლები,
ბუტე, ბუტე, **გაგებუტე,**
აღარ გეთამაშები!

*ნოდარ დუმბაძე*



*ალექსანდრია ჯორჯია ლავიტ, 7 წლის*



*ბარბარე რაზმაძე, 8 წლის*



*ელენა მეფარიშვილი, 8 წლის*

## როგორ გავიგეთ ტექსტი

### 15. უპასუხე კითხვებს:

1. **ვის ეკუთვნის თოჯინა?**

ა) მანანას ბ) ლალის

2. **რატომ არ უნდა ლალის თოჯინის თხოვება?**
ა) ფიქრობს, რომ მანანა კარგად არ მოუვლის;
ბ) დედამ უთხრა, რომ არ ათხოვოს.

## 16. შეცვალე ხაზგასმული ფრაზა მსგავსი გამოთქმით:

ჰო-ჰო-ჰო-ჰო, **დიდი საქმე**, სულ არ იცი თამაში,

ა) დიდი ამბავი    ბ) ძნელი ამბავი

## 17. დააჯგუფე ცხრილში, ვინ რა გააკეთა მეგობრისთვის:

~~ვაშლი მოუტანა~~, წიგნი მოუტანა, ექიმი იყო და მოარჩინა, კანფეტების ჭამაში დაეხმარა, მეგობრის თოჯინას ნემსები გაუკეთა, ~~ლოყაზე აკოცა~~, ლექსები წაუკითხა, ბაფთები მისცა.

| რა გააკეთა მანანამ : | რა გააკეთა ლალიმ: |
|---|---|
| *ვაშლი მოუტანა* | *ლოყაზე აკოცა* |
| | |
| | |
| | |
| | |

## 18. ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:

**ვაშლი/ვაშლისთვის**

- დამიბრუნე ჩემი ................................, მე რომ გუშინ გაჭამე.
- იმ ................................ აღარ გახსოვს, ლოყაზე რომ გაკოცე?

**თოჯინა/თოჯინას**

- მერე მე რომ შენს ................................ გავუკეთე ნემსები?!
- ეს ................................ დედაშენმა ჩემთან გამოგატანა?

## ენა და ტექსტი

### 19. დააკვირდი ზმნებს და შეავსე ცხრილი ნიმუშის მიხედვით:

| *გაჭამე მე შენ ის* | *მაჭამე შენ მე ის* |
|---|---|
| გაკოცე მე შენ .................................. | |
| | მომარჩინე შენ მე |
| მოგიტანე მე შენ ის | |
| | წამიკითხე შენ მე ის |
| დაგიბრუნე მე შენ ის | |
| | გამებუტე შენ მე |
| გამოგართვი მე შენ ის | |

**შეადგინე წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:**

..........................................................................................................................

..........................................................................................................................

### 20. შეარჩიე და ჩასვი კონტექსტის მიხედვით:

წაკითხვა, წასაკითხი, წაკითხული, წაუკითხა.

- ამ წიგნის ................................ ვერ მოვასწარი.
- ამ წიგნში კარგი ................................ ლექსებია.
- ეს წიგნი ................................ გაქვს?
- დედამ შვილს წიგნი ................................ .

## 21. შეცვალე ნიმუშის მიხედვით:

**გააცივე - გინდა გააცივო?**

- დამართე ................................
- გაუკეთე ................................
- მოარჩინე ................................
- აჭამე ................................
- წაუკითხე ................................
- აკოცე ................................



*ელენა მეფარიშვილი, 8 წლის*

## 22. დააკვირდი და აწარმოე ნიმუშის მიხედვით:

| | |
|---|---|
| ***წიგნ-ი*** | ***წიგნ-მა*** |
| ***ექიმ-ი*** | ***ექიმ-მა*** |
| ვაშლ-ი | |
| ლომ-ი | |
| ნემს-ი | |
| გემ-ი | |

| | |
|---|---|
| ***ვაშლ-ი*** | ***ვაშლ-ს*** |
| ***ნემს-ი*** | ***ნემს-ს*** |
| კანფეტ-ი | |
| ლექს-ი | |
| სახლ-ი | |
| თბილის-ი | |

## 23. ჩასვი სიტყვა სწორი ფორმით:

ა) გემმა/გემა ................................ ნაპირისკენ გაცურა.

ბ) ლომმა/ლომა ................................ გაიღვიძა.

გ) ქათამმა/ქათამა ................................ წყალი დალია.

დ) ტურისტი თბილის/თბილისს ................................ ეწვია.

ე) მე ლექს/ლექსს ................................ ვკითხულობ.

ვ) ამ თოჯინის ფასს/ფას ................................ მეტყვით?

## 24. ჩასვი: არც...აღარც, აღარ, არ...არასდროს

ა) ჩემს თოჯინას .................გათხოვებ .................!

ბ) .................თოჯინა მინდა შენი , .................... შენი ვაშლები.

გ) ბუტე,ბუტე, გაგებუტე .................... გეთამაშები.

**- შეადგინე მსგავსი წინადადებები.**

## ვიმსჯელოთ ტექსტის შესახებ

1. როგორ ფიქრობ, შერიგდებიან თუ არა მეგობრები?
   (გამოიყენე: მე ვფიქრობ, ... / ჩემი აზრით, ... / ალბათ ... / იმიტომ, რომ ... / რადგან ...)

2. მოისმინე:

„ლალი ლალი ჩემო ლალი“

## წერითი დავალება:

1. **დაწერე დიალოგის გაგრძელება (როგორ შერიგდებიან მეგობრები).**
2. **დაწერე მსგავსი შინაარსის საკუთარი მოკლე დიალოგი მეგობართან.**

გამოიყენე წინადადებები „რომ“ კავშირით:
მე რომ წიგნი წაგიკითხე...; შენ რომ სათამაშო არ მათხოვე... .



*ლევან ღლონტი, 12 წლის*

## ლექსიკაზე მუშაობა

### 1. რა არის გამოხატული სურათებზე?



ა) ჩანჩქერი
ბ) მდინარე
გ) ტბა



ა) ტყე
ბ) მთა
გ) ყანა

### 2. გაეცანი სიტყვების მნიშვნელობას:



**დედაციხე** - მთავარი ციხესიმაგრე

**სალოცავი** - ვისზეც, რაზეც ან სადაც ლოცულობენ.



**დედაბოძი** - ძველი ქართული სახლის, დარბაზის დიდი სვეტი, რომელსაც ეყრდნობა სახურავი.

**საფიცარი** - ვისაც, რასაც იფიცებენ.

## 3. ჩასვი სიტყვები სწორი ფორმით (კონტექსტის მიხედვით):

- **ლოცვა, სალოცავი, ლოცულობს, დალოცა.**

1. ქალმა ................................. წაიკითხა.
2. ეკლესიაში ხალხი ................................. .
3. სამშობლო ჩვენი ................................. ხატია.
4. მღვდელმა ბავშვები ................................. .

- **ფიცი, საფიცარი, დაიფიცა, დაფიცებული.**

1. მეომრებმა ბრძოლის წინ ................................. დადეს.
2. დედის ................................. მისი შვილია.
3. ბიჭმა ................................. , რომ სიმართლეს იტყოდა.
4. ................................. მაქვს, ამას არასდროს გავაკეთებ.

## 4. მიუწერე განმარტებებს შესაბამისი სიტყვები:

დედაციხე, დედაენა, დედაქალაქი, დედაბოძი, დედამიწა.

| | |
|---|---|
| მშობლიური ენა, რომელზეც ლაპარაკს იწყებს ბავშვი | |
| ქვეყნის მთავარი ქალაქი | |
| სახლის მთავარი ბოძი | |
| მთავარი ციხესიმაგრე | |
| ჩვენი პლანეტა | |

## რა ვიცით თემის შესახებ

**5. გაიხსენე საინტერესო ადგილები, რომლებიც საქართველოში გინახავს. რა ემოცია გაგიჩნდა? (გაოცება, სიყვარული, სიხარული, სიამაყე...)**

**6. წაიკითხე:**

**ეს საინტერესოა:**



**ქართლის დედა** - ქანდაკება თბილისში. „ქართლის დედა“ არის ქართული ეროვნული ხასიათის სიმბოლო: ქანდაკებას ერთ ხელში ღვინის თასი უჭირავს მოყვარეთათვის, მეორეში კი ხმალი მტერთათვის.
ქანდაკების სიმაღლე: 20 მეტრი
ქანდაკების ავტორი: ელგუჯა ამაშუკელი
ავტორმა ქანდაკებას „დედაქალაქი“ უწოდა, ხოლო მოგვიანებით ხალხმა მას „ქართლის დედა“ დაარქვა.



**ნარიყალა - თბილისის დედაციხე.**
ნარიყალა უძველესი დროის ციხესიმაგრეა, რომელიც თითქმის თბილისის ყველა მხრიდან ჩანს და განსაკუთრებით მშვენიერია ღამით. ის გადაჰყურებს მტკვარს. ნარიყალას ხშირად მოიხსენიებდნენ აგრეთვე „დედა ციხესიმაგრედ“. დედაციხე, როგორც დედაქალაქის უპირველესი, თავდაცვითი ნაგებობა, მრავალჯერ დაინგრა, ასევე მრავალჯერ აღადგინეს და გადააკეთეს...

„ნარიყალას ციხესიმაგრე“

## ვკითხულობთ ლექსებს

**ანა-ბანა, ანა-ბანა**

ანა-ბანა, ანა-ბანა,
სიხარულმა ამიტანა;
ჩემი ქვეყნის სიყვარულმა
სადღა აღარ წამიყვანა.

მთაში **ჩანჩქერები** ვნახე,
ბარში ია-ვარდის **ყანა -**
ეს პატარა საქართველო
რა ყოფილა ამისთანა!

*მორის ფოცხიშვილი*



*ლუი შინდელ, 9 წლის*

**დედა**

დედა ჰქვია დედაციხეს,
დედაქალაქს, დედამიწას,
დედაბოძს თუ დედაენას
დედის ძალა დედამ მისცა!
დედა უძღვის წინ ყველაფერს,
ჩვენს სალოცავს, ჩვენს საფიცარს...
რადგან ძალა დედამ მისცა,
დედა იცავს დედამიწას!

*გიორგი წერეთელი*



*ლუი შინდელ, 9 წლის*

## როგორ გავიგეთ ტექსტი

**7. უპასუხე კითხვებს:**

**ლექსი ანა-ბანა**

1. **ლექსის მიხედვით, რა გრძნობამ მოატარა საქართველოს მთა-ბარი ავტორს?**

ა) თავისი ქვეყნის სიყვარულმა    ბ) მოგზაურობის სიყვარულმა

2. **იპოვე ლექსში და ამოიწერე, რა ნახა ავტორმა:**

ა) მთაში.............................

ბ) ბარში...........................

3. **როგორია საქართველო ლექსის მიხედვით?**

ა) პატარა და საოცარი ბ) დიდი და მდიდარი

4. **იპოვე და ამოიწერე, რომელ სტრიქონში გამოხატავს ავტორი ძლიერი სიხარულის ემოციას:**

.......................................................................................................................................................

**ლექსი „დედა“**

1. **რას ჰქვია „დედა“ ლექსის მიხედვით? ამოიწერე ყველა სიტყვა:**

...................................................................................................................

- **რა აქვს საერთო ამ სიტყვებს:**

ა) დედა უძლევის წინ ბ) დედა აძლევს ძალას გ) ორივე პასუხი სწორია

2. **რას იცავს დედა ლექსის მიხედვით?**

ა) სახლს ბ) ქალაქს გ) დედამიწას

## ენა და ტექსტი

### 8. შეარჩიე სწორი ფორმა:

| დედა/დედამ | სიხარული/სიხარულმა |
|---|---|
| ........................ წინ უძლევის ყველაფერს | ........................ ამიტანა |
| ........................ მისცა ძალა | ........................ ვიგრძენი |

## 9. ჩაწერე ნიმუშის მიხედვით:

**სალოცავი - ლოცვა**

საფიცარი - ............................................ საზრუნავი - ............................................

საფიქრალი - ............................................ სანატრელი - ............................................

სადარდელი - ............................................ საოცნებო - ............................................

## 10. ჩასვი სიტყვა დედაქალაქი საჭირო ფორმით:

(დედაქალაქი, დედაქალაქმა, დედაქალაქს, დედაქალაქის, დედაქალაქით, დედაქალაქად, დედაქალაქო)

1. ................................ ვესტუმრე.
2. ................................ ქვეყნის მთავარი ქალაქია.
3. ამ ქვეყნის ................................ გამაოცა.
4. მეფემ თბილისი ................................ გამოაცხადა.
5. ................................ ამაყობენ ადამიანები.
6. ................................ ქუჩები ფეხით მოვიარე.
7. ................................, ჩვენთვის ძალიან ძვირფასი ხარ!

## 11. მოიფიქრე წინადადებები, გამოიყენე სიტყვა „დედა“ შვიდივე ფორმაში:

დედა ....................................... დედით .......................................

დედამ ....................................... დედად .......................................

დედას ....................................... დედა .......................................

დედის .......................................

## 12. დააკვირდი, რამდენ ცნებას გამოხატავს და გაანაწილე ცხრილში:

დედამიწა, ია-ვარდი, დედაქალაქი, ~~დედაბოძი~~, დედაციხე, მთა-ბარი, ~~და-ძმა~~, დედა-შვილი.

| ერთცნებიანი | ორცნებიანი |
|---|---|
| *დედაბოძი* | *და-ძმა* |
| | |
| | |
| | |

## 13. ჩაწერე, როგორ იწერება - ერთად/დეფისით:

ა) ერთცნებიანი კომპოზიტები შედგება ორი ან მეტი ფუძისგან, მაგრამ გამოხატავს ერთ ცნებას. ერთცნებიან კომპოზიტებს შორის არ შეიძლება „და“ კავშირის ჩასმა;
ისინი იწერება ........................................... .

ბ) ორცნებიანი კომპოზიტები ორ ცნებას გამოხატავს. ორცნებიან კომპოზიტებს შორის შეიძლება „და“ კავშირის ჩასმა;
ისინი იწერება ........................................... .

## 14. დააკვირდი: არის, იყო, არ ყოფილა, იქნება.

| პირი | ახლანდელი დრო | წარსული დრო | წარსული დრო (შედეგობითი) | მომავალი დრო |
|---|---|---|---|---|
| მე | ვარ | ვიყავი | (არ) ვყოფილვარ | ვიქნები |
| შენ | ხარ | იყავი | (არ) ყოფილხარ | იქნები |
| ის | არის | იყო | (არ) ყოფილა | იქნება |
| ჩვენ | ვართ | ვიყავით | (არ) ვყოფილვართ | ვიქნებით |
| თქვენ | ხართ | იყავით | (არ) ყოფილხართ | იქნებით |
| ისინი | არიან | იყვნენ | (არ) ყოფილან | იქნებიან |

**ჩასვი ზემოთ მოცემული ზმნა შესაბამისი ფორმით:**

- ანა, სად ................................. არდადეგებზე?

- საქართველოში ................................. .

- მომიყევი, რა ნახე. მე არასდროს ................................. საქართველოში.

- მე პირველად ................................. და ძალიან საინტერესო ................................. ყველაფერი, განსაკუთრებით ჩანჩქერები. გირჩევ, შენც ნახო. გაოცებული დავრჩი.
რა ლამაზი ................................. ეს პატარა საქართველო!

- მომავალ წელს  მეც ................................. არდადეგებზე საქართველოში და აუცილებლად ვნახავ.

- შენი მშობლებიც ................................. .

- არა, მეგობრებთან ერთად ................................. .

## ვმსჯელობთ ტექსტის შესახებ

**15. შენი აზრით, რა შეიძლება იყოს ადამიანის სალოცავი, საფიცარი:**
**<u>სამშობლო, ტანსაცმელი, ოჯახი, საჭმელი, ხატი, ეკლესია, ახლობლები...</u>**

**16. შეავსე ასოციაციური რუკა და ისაუბრე, რას ნიშნავს შენთვის სიტყვა „დედა“**




ყველაზე
ძვირფასი

## 17. ნახე ვიდეო: ციდან დანახული საქართველო

„ციდან დანახული საქართველო“

**ისაუბრე:** რა მოგწონს საქართველოში ყველაზე მეტად: მთები, ზღვა, ციხეები, ეკლესიები, ტყეები, ქალაქები, ჩანჩქერები...

# წერითი დავალება

## 18. დაათვალიერე ფოტოები:

„10 ადგილი რომელიც უნდა ნახო საქართველოში მოგზაურობისას“

წარმოიდგინე, რომ მოიარე საინტერესო ადგილები საქართველოში. მისწერე მეგობარს წერილი, რომელშიც მოუყვები, სად რა ნახე, რა მოგეწონა ყველაზე მეტად, რა გრძნობა დაგეუფლა, რამ მოახდინა შენზე შთაბეჭდილება, რის ნახვას ურჩევდი მასაც.

შეგიძლია გამოიყენო სიტყვები: ვიყავი, ... ჯერ არ ვყოფილვარ, ... საოცარი იყო, ... ვნახე, ... გირჩევ,... ყველაზე მეტად მომეწონა, ... კიდევ რამდენიმე დღე ვიქნები, ... შენ როდის იქნები? ... რამდენიმე დღეში ვიქნები, ... კარგი იქნება, ... .

**წერილი საქართველოდან**

ძვირფასო ....................................................

ამ წერილს გწერ საქართველოდან. ..........................................................................................

...................................................................................................................................................

...................................................................................................................................................

...................................................................................................................................................

...................................................................................................................................................

შენი მეგობარი საქართველოდან
2025 წ. 1 ივნისი

# გართობის დრო

## აბა, ვინ გამოიცნობს:

1. გამოცანას მოგახსენებ,
გამოიცან – სიბრძნე[1] გაქვსო:
ერთ სოფელში[2] ორთა ძმათა[3]
ერთმანეთის ფერი აქვთო.
ერთს ჯარი ჰყავს უთვალავი,
ერთსა მარტო ტახტი[4] აქვსო.

ა) მზე და მთვარე;
ბ) წვიმა და ღრუბელი;
გ) ტყე და მინდორი.

2. გრძელსა ქვიშიან გზაზედა,
ლომი მირბის ღრიალითა,
რაც კი გზაში რამ შეხვდება,
თან წაიღებს გრიალითა.

ა) ქარი;
ბ) მდინარე;
გ) წვიმა.

3. აბა, რა მქვია სახელად?
მეც ყვავილი ვარ ველისა[5],
მიყვარს წითელი სამოსი,
კოხტად დაჭერა ყელისა.

ა) ვარდი;
ბ) გვირილა;
გ) ყაყაჩო.

4. თავით ჰგავს სავსე მთვარესო,
მარცვლები[6] აქვს მეტად ხშირი,
დგას ამაყად და მთელი დღე,
მიუპყრია მზისკენ პირი.

ა) მზე;
ბ) მზესუმზირა;
გ) სიმინდი.

[1] სიბრძნე – ჭკუა, გონება
[2] სოფელში – აქ: ამ სამყაროში
[3] ორთა ძმათა – ორ ძმას
[4] ტახტი – აქ: სამეფო ტახტი
[5] ველი – მინდორი
[6] მარცვალი – აქ: მცენარის თესლი

## რას გვასწავლის ანდაზა

- წაიკითხე ქვემოთ მოცემული ანდაზები;
- აირჩიე ერთი, რომელიც მოგეწონება;
- ისაუბრე, რატომ აირჩიე ეს ანდაზა;
- რას გვასწავლის ეს ანდაზა?
- მოიფიქრე რაიმე ამბავი ამ ანდაზის შესახებ.

1. ბუზი ბევრი ბზუისო, ფუტკართან ყველა ტყუისო.
2. დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე.
3. დღევანდელი კვერცხი გერჩიოს ხვალინდელ ქათამსო.
4. ზარმაცისათვის ყოველი დღე უქმეაო.



*ელენა ჯაჭვაძე, 9 წლის*

# თამაშის დრო

**გამოიცანი ჩაფიქრებული სიტყვა:**

- ერთი მოთამაშე ჩაიფიქრებს სიტყვას;
- სხვა მოთამაშეები რიგრიგობით უსვამენ შეკითხვებს, რათა გამოიცნონ ჩაფიქრებული სიტყვა;
- მოთამაშეს, რომელმაც სიტყვა ჩაიფიქრა, უფლება აქვს შეკითხვაზე უპასუხოს მხოლოდ „კი“ და „არა“;
- მაგალითად: ჩაფიქრებული სიტყვაა „სტაფილო“.

კითხვა: სულიერია?

პასუხი: – არა.

კითხვა: – საკვებია?

პასუხი: – კი.

კითხვა: – ცხელია?

პასუხი: – არა.

კითხვა: – კურდღელს უყვარს?

პასუხი: – დიახ

- კითხვების დასმა გრძელდება სიტყვის გამოცნობამდე.



*მათე ვარდოსანიძე, 10 წლის*



# 4

# ქართული
# იგავ-არაკები




*ნინა რევიშვილი, 10 წლის*

## ჭკუის სასწავლი

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. დააკავშირე ილუსტრაცია მნიშვნელობასთან:**





ოქრო
ქილა
ერბო
მიწა
ლოდი
ჯოხი
კუდი






## 2. დააკავშირე სიტყვა განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| ლოდი • | • ჭურჭელი. გამოიყენება პროდუქტის შესანახად. |
| ერბო • | • ყვითელი ფერის ძვირფასი მეტალი. |
| ოქრო • | • დედამიწის მყარი ზედაპირი. |
| მიწა • | • დიდი ზომის ქვა. |
| ქილა • | • კარაქის გადნობით მიღებული საკვები. |

## 3. ჩასვი წინადადებაში შესაბამისი სიტყვა:

მიწა / ლოდი / ქილა / ოქრო / ერბო / კუდი.

1. ბებიამ შვილიშვილებისათვის ............................ მოამზადა.
2. მიწაზე დიდი ............................ იდო.
3. გუშინ იწვიმა და ............................ სველია.
4. ............................ ძვირფასი ლითონია.
5. ერთი ............................ ერბო ვიყიდე.
6. მელიას გრძელი და ლამაზი ............................ აქვს.

## 4. შეადგინე სამი წინადადება მოცემული სიტყვების გამოყენებით:

ერბო, ქილა, მიწა, ~~ლოდი~~. (მხოლობითში უნდა იყოს სიტყვები თუ მრავლობითში)

***ნიმუში:*** *მამამ ეზოდან ლოდი გაიტანა.*

1. ..........................................................................................................................

2. ..........................................................................................................................

3. ..........................................................................................................................

## 5. დააკავშირე სიტყვა შესაბამის განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| გაზომვა • | • გონება; აზროვნების უნარი. |
| აშენება • | • ვისაც ჭკუა არ აქვს; სულელი. |
| გლახაკი • | • ღარიბი, უქონელი ადამიანი. |
| ჭკუა • | • ზომის, სიდიდის გარკვევა, დადგენა. |
| უჭკუო • | • ნაგებობის, დასახლების შექმნა. |

## 6. თავისუფალ ხაზებზე დაწერე ცხოველების/ფრინველების სახელები და დაიმახსოვრე, რა ჰქვია მათ ხმიანობას:



<u>ღორი</u> ღრუტუნებს.





...................................... ყივის.

...................................... ბღავის.





...................................... კაკანებს.

...................................... წკავის / ხავის.

**7. შეავსე ცარიელი უჯრები ნიმუშის მიხედვით:**



***ნიმუში:*** *ეს არის მელა.*
*მელა გარეული ცხოველია.*
*მელა წკავის / ხავის.*



..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................







**8. ცხოველების სახელები დააკავშირე შესაბამის ნახატებთან:**

ღორი ქათამი ძროხა ძაღლი






## 9. გაიცანი ცხოველი:



ეს ხარია. ხარი შინაური ცხოველია. სოფელში ხარს ურემში აბამდნენ და მძიმე ნივთები გადაჰქონდათ. ხარის დახმარებით ამუშავებდნენ მიწას. მიწის დამუშავების პროცესებია: ხვნა, თესვა, მკა...



ურემი



ურემში შებმული ხარები



მიწის დამუშავება ხარების დახმარებით

## 10. მიუწერე ილუსტრაციას შესაბამისი სიტყვა:

აშენება / გაზომვა / ჭამა / ფიქრი / ყიდვა / დაღვრა / გაყიდვა / დანგრევა / შებმა / ჩამოკიდება



.................................



.................................



.................................



.................................



.................................



.................................



.................................



.................................



.................................



.................................

**წაიკითხე და დაიმახსოვრე:**

საპირისპირო
მნიშვნელობის სიტყვები
(ანტონიმები)

**მდიდარი - ღარიბი**

## 11. მოძებნე მე-8 დავალებაში ანტონიმები და ამოწერე:

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

## 12. ჩასვი წინადადებაში შესაბამისი სიტყვა:

აშენება / ფიქრი / ყიდვა / გაყიდვა / დანგრევა / ჩამოკიდება.

1. ჩემი ლეკვისთვის საკვების ................................ მინდა.
2. მამამ ჩვენი ძველი მანქანის ................................ გადაწყვიტა.
3. ძველი სახლის ................................ დიდმა თოვლმა გამოიწვია.
4. ბევრი ................................ არ უნდა ამ დავალების შესრულებას.
5. დიდი ხანია სახლის ................................ მინდა.
6. მაიმუნებს ხის ტოტებზე ................................ უყვართ.

## ვკითხულობთ ტექსტს

### სოფლის მაშენებელნი

ძაღლი და მამალი დამეგობრდნენ: სოფელი ავაშენოთო!

ძაღლმა უთხრა: როგორ ავაშენოთო?

მამალმა უთხრა: შენ იყეფე, მე ვიყივლებ და აშენდებაო.

წავიდნენ ტყეში. ძაღლმა ყეფა დაიწყო და დაეძინა. მამალი ხეზე შეჯდა და ყივილი დაიწყო.

მელას ხმა მოესმა, მივიდა და მამალს ჰკითხა: მანდ რას აკეთებო?

მამალმა უპასუხა: სოფელს ვაშენებთო.

მელამ უთხრა: ჩამოდი, სახლის  ადგილი მომიზომეო!

მამალმა უთხრა: ძაღლი მანდ წევს, გააღვიძე, ეგ მოგიზომავსო!

მელას იმდენად უნდოდა მამლის დაჭერა, ძაღლთან მივიდა და უთხრა: ადექი, სახლის ადგილი მომიზომეო.

ადგა ძაღლი, მელას გამოეკიდა  და კუდი მოსწყვიტა. წავიდა მელა, გორაზე გადმოდგა და დაუძახა: მე ხომ უჭკუოდ მოვიქეცი, მაგრამ თუ თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, თქვენც ნახავთო!

*სულხან-საბა ორბელიანი*

### გლახაკი და ქილა ერბო

ერთი გლახაკი კაცი გზაზე მიდიოდა და ერთი ქილა ერბო იპოვა. აიღო ქილა და განაგრძო სიარული, თან ფიქრობდა: ღმერთმა ჩემი გამდიდრება მოინდომა. ჩავალ ქალაქში და ერბოს გავყიდი; იმით წიწილებს ვიყიდი, მოვიყვან, გავზრდი, გავასუქებ და გავყიდი. მერე იმით გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ და გავყიდი. მერე იმით სახარე ხბოებს ვიყიდი, დავზრდი, მოვხნავ, დავთესავ და ავშენდებიო.

ამ ფიქრებით  ერბოს ქილა ჯოხზე ჩამოკიდა  და ქალაქში გასაყიდად წაიღო.

გზად ერთი ხიდი დახვდა და იფიქრა: აქ ხარი არ გაივლის თუ არ შევუძახეო და შესძახა: ჰარიო!

მოუქნია ჯოხი და ერბოს ქილა ხიდზე  ჩამოაგდო; ქილა გატყდა, ერბო  დაიღვარა და მისი ფიქრები გამდიდრებაზე წუთში დასრულდა.

*სულხან-საბა ორბელიანი*

# როგორ გავიგეთ ტექსტი:

## 13. უპასუხე კითხვებს იმავიდან „სოფლის მაშენებელნი“:

1. როგორ აპირებდნენ მამალი და ძაღლი სოფლის აშენებას?
2. რა სთხოვა მელამ ძაღლს?
3. რატომ ვერ ააშენებდნენ ძაღლი და მამალი სოფელს?

## 14. უპასუხე კითხვებს იმავიდან „გლახაკი და ქილა ერბო“:

4. როგორ აპირებდა გლახაკი გამდიდრებას?
5. როგორ დასრულდა გლახაკის ფიქრები გამდიდრებაზე?
6. რა გააკეთა გლახაკმა არასწორად?

## 15. მონიშნე სწორი პასუხები:

**1. სად აპირებდნენ სოფლის აშენებას მამალი და ძაღლი?**
ა) მდელოზე ბ) ტყეში გ) მთაზე

**2. რა უთხრა მელამ ძაღლს?**
ა) სახლის ადგილი მომიზომეო ბ) სახლის აშენებაში მომეხმარეო

**3. „უჭკუოდ მოვიქეცი“ ნიშნავს:**
ა) სწორად მოვიქეცი ბ) სულელურად მოვიქეცი

**4. გლახაკის აზრით, სად ვერ გაივლიდა ხარი?**
ა) გორაზე ბ) მდელოზე გ) ხიდზე

**5. „შესძახა“ ნიშნავს:**
ა) ხმამაღლა თქვა, დაუძახა გამხნევების მიზნით. ბ) თავისთან დაიბარა, მოიყვანა.

## 16. შექმენი მლახაკის გამდიდრების სქემა. თავისუფალ უჯრებში თანმიმდევრობით ჩაწერე, რის ყიდვა-გაყიდვას აპირებდა იგი:

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იპოვა ქილა ერბო | → | გაყიდა ერბო და იყიდა წიწილები. | → | | → | | → | |

**ზმნა: ვფიქრობ - ფიქრობს**

| | |
|---|---|
| ახლანდელი დრო | ვფიქრობ მე<br>ფიქრობ შენ<br>ფიქრობს ის<br>ფიქრობენ ისინი |
| წარსული დრო | ვფიქრობდი მე<br>ფიქრობდი შენ<br>ფიქრობდა ის<br>ფიქრობდნენ ისინი |
| მომავალი დრო | ვიფიქრებ მე<br>იფიქრებ შენ<br>იფიქრებს ის<br>იფიქრებენ ისინი |



*ალექსანდრე ჩუკინი, 12 წლის*

## 17. შეავსე ცხრილი:

| | ახლანდელი | წარსული | მომავალი |
|---|---|---|---|
| *მე* | *ვფიქრობ* | *ვფიქრობდი* | *ვიფიქრებ* |
| შენ | ფიქრობ | | |
| ის/მას | | ფიქრობდა | |
| ჩვენ | | | ვიფიქრებთ |
| თქვენ | | ფიქრობდით | |
| ისინი/მათ | ფიქრობენ | | |

## 18. შეადგინე წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

*ვფიქრობდით / ვფიქრობდი / ფიქრობდა / ფიქრობდნენ / ფიქრობ / ვფიქრობთ.*

1. *ჩვენ ვფიქრობდით, რომ ტყეში ცხენებით ვისეირნებდით.*
2. ..........................................................................................................
3. ..........................................................................................................
4. ..........................................................................................................
5. ..........................................................................................................
6. ..........................................................................................................

## 19. შეარჩიე სიტყვის (ზმნის) სწორი ფორმა და ჩასვი წინადადებაში:

**1. ძაღლმა თქვა, მე ............................, შენ იყივლე და სოფელი აშენდებაო.**
ა) ვიყეფებ ბ) ვყეფდი

**2. ერბოს გავყიდი და წიწილებს ............................ .**
ა) ვიყიდე ბ) ვიყიდი

**3. ქარმა ხიდან ვაშლი ............................ .**
ა) აგდებს ბ) ჩამოაგდო

**4. ადგილს რომ ............................, შემდეგ დავიწყებ სახლის აშენებას.**
ა) გავზომავ ბ) გავზომე

**5. ძაღლს ეზოში სათამაშოდ ............................ .**
ა) წავიყვანე ბ) წავიყვან

ვინმეს/სხვისი ნათქვამი შეიძლება გადმოიცეს სიტყვასიტყვით, ფორმის შეცვლით, ფორმის შეუცვლელად.

სიტყვასიტყვით გამეორებულ ნათქვამს პირდაპირი ნათქვამი ჰქვია.
პირდაპირ ნათქვამს ხშირად დაერთვის ნაწილაკი -ო. მას სხვათა სიტყვის „ო“-საც უწოდებენ.

**მაგალითი** :
მამალი: - შენ იყეფე, მე ვიყივლებ და სოფელი აშენდება.
მამალმა უთხრა: შენ იყეფე, მე ვიყივლებ და სოფელი აშენდებაო.

## 20. მოძებნე ტექსტში „სოფლის მაშენებლები“ სხვათა სიტყვის ო-ნაწილაკიანი წინადადებები და ამოწერე:

1. ........................................................................................................................

2. ........................................................................................................................

3. ........................................................................................................................

4. ........................................................................................................................

5. ........................................................................................................................

## 21. დაწერე ნიმუშის მიხედვით: (წინადადებებში გამოიყენე სხვათა სიტყვის ნაწილაკი „-ო“):

*ნიმუში: მამამ თქვა, დღეს კნუტისთვის ახალი საჭმელი ვიყიდეო.*



დედამ თქვა ..........................................................................................................

ბავშვმა თქვა ........................................................................................................

**22. შექმენი თავად. ჩაწერე ცარიელ გრაფებში წინადადებები დავალება N21-ის მიხედვით. არ დაგავიწყდეს, გამოიყენო სხვათა სიტყვის ნაწილაკი „-ო“.**




1. ..........................................................................................................................
2. ..........................................................................................................................
3. ..........................................................................................................................

## ვმსჯელობთ ტექსტის შესახებ

**23. მონიშნე, რა გვასწავლა იგავმა და დაასაბუთე შენი მოსაზრება:**

**სოფლის მაშენებლები**

1. მელას ქცევიდან ჩანს, რომ უნდა დაფიქრდე, სანამ რაიმეს იტყვი ან გააკეთებ.
2. მელა რომ დახმარებოდა ძაღლსა და მამალს, სოფელი აშენდებოდა.

3. მამლისა და ძაღლის მაგალითიდან ჩანს, რომ კარგად უნდა დაგეგმო, სანამ რაიმე საქმის გაკეთებას გადაწყვეტ.
4. ძაღლს რომ მეტი ეყეფა და მამალს მეტი ეყივლა, სოფელი აშენდებოდა.

**გლახაკი და ქილა ერბო**

1. გლახაკის ქცევიდან ვიგებთ, რომ მნიშვნელოვან ნივთებს უნდა მოვუფრთხილდეთ.
2. გლახაკს დამჯერი ხარები რომ ჰყოლოდა, გამდიდრდებოდა.
3. გლახაკი შეიძლება მართლაც გამდიდრებულიყო, ერბოს ქილა რომ არ გაეტეხა.
4. მხოლოდ ფიქრებით ვერაფერს შეცვლი.

## წერითი დავალება

**24. დაწერე, შენ რა გასწავლა იგავებმა ყველაზე მნიშვნელოვანი. დაასაბუთე მოსაზრება:**

წერის დროს შეგიძლია გამოიყენო შემდეგი ფრაზები:

- იგავიდან (იგავის სახელი) ვისწავლე, რომ .....
- ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო .....
- ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანია, რადგან .....
- მომავალში დამეხმარება .....
- როცა რაიმეს გაკეთებას გადავწყვეტ, .....

**დამატებითი ვიდეორესურსი:**

1. სოფლის მაშენებლები:

2. გლახაკი და ქილა ერბო:




*ანზორ კოზაევი, 9 წლის*

მოხერხებული

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. დააკავშირე სიტყვა ილუსტრაციასთან:**











ბრმა
ცალთვალა
თოფი
ბოკვერი
მონადირე
მხატვარი
ლომი
ნადირი
ნადირობა
მეფე
ირემი
ნახატი
ხატვა






## 2. დააკავშირე სიტყვა განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| მოკვლა | ის, ვინც გაზარდა ვინმე/რამე |
| გამზრდელი | ხელის მოკიდება და გაჩერება, დაკავება |
| წამოწოლა | ცოტა ხნით დაწოლა |
| დაჭერა | ჯანმრთელი, კარგი |
| ჩანაფიქრი | სიცოცხლის წართმევა |
| სამიზნე | ის, ვინც სხვა გადაარჩინა |
| გადამრჩენელი | სროლის ობიექტი |
| გადარჩენილი | ის, ვინც გადარჩა |
| მსგავსი | ვილაცას/რაღაცას ჰგავს |
| გაბედვა | ის, რაც იფიქრე, ჩაიფიქრე |
| საღი | რაიმეს გაკეთების გზა, საშუალება |
| ხერხი | წასვლისას ვინმეს გაყოლიება |
| შენახვა | რამის გაკეთება  თამამად, მოურიდებლად |
| მოხერხებულობა | დამნაშავის მიმართ შესაბამისი ქმედება |
| დასჯა | რაიმეს დადება დაცულ ადგილას |
| წაყვანა | რაიმეს გაკეთების, მიღწევის, გამოსავლის პოვნის უნარი |

## 3. ჩასვი წინადადებაში შესაბამისი სიტყვა:

<u>დაჭერა</u> / დასჯა / მსგავსი / გამზრდელი / შენახვა / წამოწოლა / ხატვა / ჩანაფიქრი / წაყვანა.

*ნიმუში: კატამ თაგვის <u>დაჭერა</u> გადაწყვიტა.*

1. მასწავლებელმა გამოიცნო ბავშვის .................................... .
2. მე და ჩემს მეგობარს ერთმანეთის .................................... ჩანთები გვაქვს.
3. ლომმა ხის ქვეშ .................................... მოინდომა.
4. ეს ჩემი .................................... ბებიაა.
5. მიყვარს ცხოველების .................................... .
6. საჩუქრის .................................... არ დაგავიწყდეს!
7. ბავშვების .................................... მინდა სასეირნოდ.
8. ცხოველთა მეფე გაბრაზდა და ნადირთა .................................... გადაწყვიტა.

## ვკითხულობთ ტექსტს

**„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“ - ქართული ანდაზა.**
**თავის გადარჩენა მოხერხებულობის წყალობით -** კარგი ხერხი მოიგონა, კარგ ხერხს მიმართა, ძველ ხერხს მიმართა, ხერხი იხმარა, მარტივი ხერხი გამოიყენა...

### კატის გაზრდილი ლომი

ერთი კატა ტყეში დადიოდა. ნახა, ერთი ლომი მომკვდარა და ერთი ბოკვერი დარჩენია. წაიყვანა და **გაზარდა.** ბოკვერი რომ გაიზარდა, ნადირობა *დაიწყო*.

ერთ დღეს ნადირი ველარ იპოვა და თავისი გამზრდელი კატის დაჭერა მოინდომა. კატა რომ მიხვდა ლომის ჩანაფიქრს, გაიქცა და ხეზე აძვრა. ლომი ძირს წამოწვა და უთხრა: ჩემო უსაყვარლესო და ჩემო გადამრჩენელო გამზრდელო, ყველა შენი ხერხი რომ მასწავლე, ხეზე ასვლა რატომ აღარ მასწავლეო?

კატამ უპასუხა: ეს ჩემთვის შევინახე, ვიცოდი, რომ დამჭირდებოდაო.

*სულხან-საბა ორბელიანი*

**მეფე და მხატვარი**

ერთ ცალთვალა მეფეს ერთი მხატვარი ჰყავდა, რომელიც არ მოსწონდა და მიზეზს ეძებდა, რომ სიკვდილით დაესაჯა.

ერთხელ მეფემ უბრძანა მხატვარს:

- მინდა დამხატოო!

მხატვარმა იფიქრა: ახლა კი მოვიდა ჩემი სიკვდილის დრო, ცალთვალა რომ დავხატო, მომკლავს, როგორ გაბედეო; თუ ორივე თვალით დავხატავ, მაინც მომკლავს: ჩემი მსგავსი არ არისო.

მხატვარმა ბევრი ფიქრის შემდეგ ეს მოიგონა: დახატა ირემი, მეფეს ხელში თოფი დააჭერინა, ბრმა თვალი დაუხუჭა და დაუზიანებელი თვალით ირემი მიზანში ამოაღებინა.

მხატვარმა ეს ნახატი მეფეს მიართვა. მეფემ დასჯის მიზეზი ველარ მოუძებნა და მხატვარი სიკვდილს გადაურჩა.

*სულხან-საბა ორბელიანი*

## როგორ გავიგეთ ტექსტი:

### 4. უპასუხე კითხვებს:

**კატის გაზრდილი ლომი**

**1. რატომ წაიყვანა კატამ ბოკვერი გასაზრდელად?**

ა) ტყეში მარტო დარჩენილი იპოვა ბ) მის შვილს ჰგავდა

**2. რატომ მოინდომა ლომმა კატის დაჭერა?**

ა) გაბრაზდა კატაზე ბ) საკვები ველარ იპოვა

**3. რა არ ასწავლა კატამ ლომს?**

ა) საკვების პოვნა ბ) ხეზე ასვლა

**მეფე და მხატვარი**

4. რატომ უნდოდა მეფეს მხატვრის დასჯა?
ა) არ მოსწონდა
ბ) ცუდად ხატავდა

5. რა დახატა მხატვარმა.
ა) მეფე თოფით ხელში
ბ) ცალთვალა ირემი

6. როგორ გადაურჩა მხატვარი სასჯელს?
ა) მეფეს შეეცოდა მხატვარი
ბ) მეფემ დასჯის მიზეზი ველარ მოუძებნა მხატვარს

## 5. იპოვე და ამოიწერე მოხერხებული გმირების სახელები იგავების მიხედვით:

.......................................................................................................................................

.......................................................................................................................................

## 6. დაალაგე ქრონოლოგიურად:

**კატის გაზრდილი ლომი**

| | |
|---|---|
| | კატა ხეზე აძვრა |
| | ლომმა ჰკითხა კატას, ხეზე ასვლა რატომ არ მასწავლეო. |
| | კატა გაიქცა |
| 1 | კატამ ლომის ბოკვერი იპოვა |
| | ლომმა კატის დაჭერა დააპირა |

**მეფე და მხატვარი**

| | |
|---|---|
| | მეფემ უთხრა მხატვარს, უნდა დამხატოო. |
| | მეფემ მხატვრის დასჯის მიზეზი ვერ იპოვა. |
| | მხატვარმა თოფით ხელში დახატა მეფე. |
| | მხატვარმა იფიქრა, ჩემი სიკვდილის დრო მოვიდაო. |
| 1 | მეფეს მხატვრის სიკვდილით დასჯა უნდოდა. |

## ენა და ტექსტი:

### 7. ნიმუშის მიხედვით შეავსე თავისუფალი გრაფები:

| ახლანდელი დრო: | წარსული დრო: |
|---|---|
| *ბავშვს მოსწონს წიგნი.* | *ბავშვს მოსწონდა წიგნი.* |
| | გოგოს ჰყავდა კატა. |
| | ბიჭს ჰქონდა დიდი ჩანთა. |
| გიგას უნდა ტყეში წასვლა. | |
| მოსწავლეს უყვარს სკოლაში სიარული. | |
| | მასწავლებელი მიდიოდა სკოლაში. |
| მელია მოდის გზაზე. | |

## 8. წაიკითხე განმარტება და ნიმუშის მიხედვით შეავსე ცხრილი:

**მიმართვა** - წოდებით ბრუნვაში დასმული სახელი
**მაგალითი**: მეგობარო, გამზრდელო, გადამრჩენელო, უსაყვარლესო.
წოდებითი ბრუნვის ნიშანია „-ო“.

| სახელობითი ბრუნვა | წოდებითი ბრუნვა |
|---|---|
| *ჩემი მეგობარი* | *ჩემო მეგობარო* |
| ჩემი გადამრჩენელი | |
| | ჩემო გამზრდელო |
| ჩემი უსაყვარლესი | |
| | ჩემო მასწავლებელო |
| ჩემი მეზობელი | |
| | ჩემო ლამაზო |

## 9. დაწერე ნიმუშის მიხედვით:

| | |
|---|---|
| ა) დედა | დედობა |
| ბ) და | ................................ |
| გ) ძმა | ................................ |
| დ) მეგობარი | ................................ |
| ე) ნადირი | ................................ |

## 10. შეადგინე წინადადებები სიტყვების გამოყენებით: <u>მეგობრობა</u>, დედა, და, დობა, ძმობა, ნადირობა, ნადირი, დედობა.

**ნიმუში:** *ჩვენი <u>მეგობრობა</u> რამდენიმე წელია, გრძელდება.*

ა)..........................................................................................................................

ბ) ..........................................................................................................................

გ) ........................................................................................................................

დ) ........................................................................................................................

ე) ..........................................................................................................................

ვ) ..........................................................................................................................

ზ) ........................................................................................................................

## 11. დაშალე სიტყვები (კომპოზიტები) ნიმუშის მიხედვით:

**კომპოზიტები -** სიტყვები, რომლებიც შედგება ერთზე მეტი ფუძისაგან.

1.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ც | ა | ლ | თ | ვ | ა | ლ | ა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ც | ა | ლ | ი | |
| თ | ვ | ა | ლ | ი |

2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ი | დ | ყ | უ | რ | ა |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |



*ლილი მურვანიძე-სამსონიძე, 9 წლის*

3.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | რ | ძ | ე | ლ | კ | უ | დ | ა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |

**12. წაიკითხე განმარტება და შეავსე გამოტოვებული ადგილები უარყოფითი ნაწილაკებით: არ, ვერ, აღარ, ვეღარ.**

**უარყოფის გამომხატველი სიტყვები (ნაწილაკები)**

**არ -** გამოიყენება მოქმედების ან მდგომარეობის უარსაყოფად.

**ვერ -** გამოიყენება ისეთი მოქმედების უარსაყოფად, რომლის შესრულება არ შეუძლიათ.

**აღარ -** მეტად არ.

**ვეღარ -** უკვე ვერ, მეტი ვერ.

1. .... **არ** .... წახვიდე სასეირნოდ. ძალიან ცივა.

2. ............................ მივდივარ სტუმრად. მოულოდნელად სამსახურის შეხვედრაზე დამიბარეს.

3. დღეს ............................ წამოვალ სასეირნოდ, ბევრი საქმე მაქვს.

4. ............................ გადადო მეზობელთან სტუმრობა. დიდი ხანია, გელოდება.

5. წიგნის კითხვა ჯერ ............................ დავასრულე.

## 13. წაიკითხე და დაიმახსოვრე:

| | | |
|---|---|---|
| რა? |  | საგნები, ცხოველები, ფრინველები |
| ვინ? |  | ადამიანები |
| როდის? |  | დრო |
| სად? |  | ადგილი |
| რატომ? |  | მიზეზი |

**შეავსე წინადადებები შესაბამისი კითხვითი სიტყვებით:**

| |
|---|
| რა? / ვინ? / როდის? / სად? / რატომ? |

***1.*** ***<u>რა</u> გააკეთე გუშინ?***
- გუშინ  სანადიროდ ვიყავი.

2. .................. წავიდა სანადიროდ?
- ჩემი მეგობარი წავიდა სანადიროდ.

3. .................. ეთამაშება კატას?
- ჩემი მეზობელი ეთამაშება კატას.

4. .................. არის ტყე?
- ტყე არის ქალაქის ბოლოს.

5. .................. ცხოვრობ?
- მე ვცხოვრობ თბილისში.

6. .................. მიდიხარ თეატრში?
- თეატრში ხვალ მივდივარ.

7. .................. წახვედი ტყეში?
- იმიტომ, რომ მიყვარს ტყეში სეირნობა.

8. .................. ადის ხეზე?
- ხეზე კატა ადის.

9. .................. დაბრუნდა შენი ძმა?
- იმიტომ დაბრუნდა, რომ გარეთ ძალიან შესცივდა.

## 14. სიტყვების დახმარებით შეადგინე კითხვითი წინადადებები:

რა? / ვინ? / როდის? / სად? / რატომ?

*რატომ არ ასწავლე შენს ძმას ხატვა?*

1. ..........................................................................................................................
2. ..........................................................................................................................
3. ..........................................................................................................................
4. ..........................................................................................................................
5. ..........................................................................................................................
6. ..........................................................................................................................
7. ..........................................................................................................................
8. ..........................................................................................................................
9. ..........................................................................................................................

# ვმსჯელობთ ტექსტის შესახებ

**15. მონიშნე და იმსჯელე, რა გვასწავლა იგავებმა:**

| იგავებმა გვასწავლა, რომ: | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| ყოველთვის შეიძლება იპოვო რთული სიტუაციიდან გამოსავალი. | | |
| რამის გაკეთებას რომ გადაწყვეტ, წინასწარ უნდა დაგეგმო. | | |
| ყველაფერი, რაც იცი, სხვებსაც უნდა ასწავლო. | | |
| მოხერხებულობით თავის გადარჩენა შესაძლებელია. | | |
| ბრძანებას აუცილებლად უნდა დაემორჩილო. | | |
| ფიზიკურად ძლიერი ყოველთვის იმარჯვებს. | | |

**16. N15 სავარჯიშოდან ამოწერე შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი წინადადება:**

**იმსჯელე, რატომ ფიქრობ, რომ ის მნიშვნელოვანია:**

........................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................

## წერითი დავალება

**17. დაახასიათე იგავების პერსონაჟები (კატა, ლომი, მეფე, მხატვარი) და დაწერე, რა ვისწავლეთ მათი ქცევებიდან.**

**მაგალითად:**

- მე ვფიქრობ, კატა იყო  კეთილი.
- რატომ ვფიქრობ ასე?
- იმიტომ, რომ გასაზრდელად წაიყვანა ლომის ბოკვერი.

კატა ასევე იყო ... ..........................................................................................................

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

**18. ნახე ვიდეორესურსი და იმსჯელე, რა განსხვავებაა წაკითხულ და ნანახ იგავებს შორის:**

1. კატის გაზრდილი ლომი:

2. მეფე და მხატვარი:



*ანანო ხურცია, 11 წლის*

## ძალა ერთობისა

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. დააკავშირე ილუსტრაცია მნიშვნელობასთან:**







ისარი

გატეხილი ისარი

ორმო

ისრების კონა

იების კონა

ხორბალი

ოჯახი

პური







## 2. დააკავშირე სიტყვა განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| თითო | მამრობითი სქესის შვილი |
| დიდებული | ერთი ცალი რამდენიმედან |
| ვაჟი | გამორჩეულად კარგი |
| მოხუცდა | დაბერდა |
| ადვილი | ასაკით ვინმეზე პატარა |
| მტერი | რასაც დიდი შრომა, ფიქრი არ სჭირდება |
| უფროსი | ადამიანი, რომელსაც ვინმესთვის ცუდის გაკეთება სურს |
| უმცროსი | ასაკით ვინმეზე დიდი |
| დაქორწინება | ოჯახის შექმნა, გათხოვება, ცოლის მოყვანა |
| ცოლი | მამაკაცი მასზე დაქორწინებული ქალისათვის |
| ქმარი | მოქმედებისთვის საჭირო ფიზიკური ენერგია |
| ერთობა | მთლიანის ცალკეულ ნაწილებად დაყოფა |
| ძალა | იგივეა, რაც ერთიანობა, ერთად ყოფნა |
| დაშლა | იმოქმედა რაიმეს გასაკეთებლად |
| სცადა | ქალი მასზე დაქორწინებული მამაკაცისთვის |
| მორევა | როცა მოწინააღმდეგე იმარჯვებს. |
| დამარცხება | ვინმეზე ან რამეზე გამარჯვება, ჯობნა (ძალით, ჭკუით, ხერხით) |

## 3. შეავსე წინადადება შესაბამისი სიტყვით:

დიდებული / ადვილი / მტერი / ძალა / ვაჟი / ისარი / დაქორწინება.

1. ქვეყანას ................................ მეფე ჰყავს.
2. მეფეს ჭკვიანი ................................ ჰყავს.
3. ზღაპრებში მეფეს ხშირად ................................ ებრძვის.
4. ................................ დავალებაა, არ გაგიჭირდება დაწერა.
5. გიორგიმ ................................ აიღო და ეზოში გავიდა.
6. მარიმ და გიორგიმ ................................ გადაწყვიტეს.
7. ბიჭი გაიზარდა და ................................ მოემატა.

## 4. მონიშნე სწორი პასუხები:

| | | | |
|---|---|---|---|
|  | ძმა | მამა | დედა |
|  | დედა | ძმა | მამა |
|  | ოჯახი | ძმა | მამა |
|  | ბებია | ძმა | მამა |
|  | დედა | და | ბებია |
|  | ოჯახი | და | დედა |

## 5. შეავსე წინადადებები:




1. ნიკო არის საბას .......................................
2. თამარი არის ნიკოს .......................................
3. ელენე არის ანას .......................................
4. ლუკა არის საბას .......................................
5. ანა არის დავითის .......................................
6. დავითი არის ანას .......................................
7. დავითი არის თამარის, საბას და ნიკოს ..............................

# რა ვიცით თემის შესახებ

## 6. დააკვირდი ილუსტრაციებს და უპასუხე კითხვებს:

1. დააკვირდი ილუსტრაციებს და აღწერე მათზე გამოსახული მოქმედებები.
2. რა საერთო აქვს ამ ილუსტრაციებს?
3. ილუსტრაციების მიხედვით იმსჯელე, რის შესახებ შეიძლება იყოს ტექსტი.





## ვკითხულობთ იგავებს

**ძალა ერთობისა**

ერთ დიდებულ მეფეს ოცდაათი ვაჟი ჰყავდა.

როცა მოხუცდა, მეფემ თავისთან დაიბარა შვილები და ოცდაათი ისარი მოატანინა. მეფემ ერთ კონად შეკრა ისრები, სცადა გაეტეხა, მაგრამ ვერ გატეხა.

მერე კონა დაშალა, თითო ისარი აიღო და ყველა ადვილად გატეხა.

მეფემ შვილებს უთხრა:

- თუ ერთად იქნებით, მტერი ვერ დაგამარცხებთ, როგორც მე ისრების კონა ვერ გავტეხე; მაგრამ თუ დაშორდებით, მტერი ისე მოგერევათ, როგორც ცალ-ცალკე ისრები დავამტვრიეო.

**ორი ძმა**

იყო ორი ძმა და ისინი ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. უფროს ძმას ცოლ-შვილი ჰყავდა და უმცროსი უცოლო იყო. ორივე ძმას თავის სახლთან ხორბლის შესანახი ორმო ჰქონდა. უფროსი ძმა თავისი ორმოდან ხორბალს იღებდა და ჩუმად ძმის ორმოში ყრიდა. ამბობდა: - მე ცოლი და შვილი მყავს, ჩემს ძმას კი არავინ ჰყავს. ეს პური მისი იყოსო.

უმცროსი ძმა კი ხორბალს თავისი ორმოდან იღებდა და უფროსი ძმის ორმოში ყრიდა. ამბობდა: - მე მარტო ვარ, ცოტა მჭირდება, უფროს ძმას კი ოჯახი ჰყავს, მეტი სჭირდება და მისი იყოსო. ასე ცხოვრობდნენ და ერთმანეთს ეხმარებოდნენ.

## როგორ გავიგეთ ტექსტი

### 8. იგავების მიხედვით შემოხაზე სწორი პასუხები:

**ძალა ერთობისა**

1. როდის დაიბარა მეფემ ვაჟები თავისთან?

ა) როცა მოხუცდა
ბ) როცა მეფობა აღარ უნდოდა
გ) როცა გაუჭირდა

2. რა შეკრა ერთ დიდ მაგარ კონად მეფემ?

ა) ქაღალდები
ბ) ყვავილები
გ) ისრები

3. რა რჩევა მიიღეს ვაჟებმა მეფისგან?

ა) ერთად ყოფილიყვნენ
ბ) მტერთან ცალ-ცალკე ებრძოლათ
გ) მტერთან არ ებრძოლათ

**ორი ძმა**

1. რომელ ძმას ჰყავდა ცოლი და შვილი?

ა) უფროს ძმას
ბ) უმცროს ძმას
გ) ორივეს

2. რას ყრიდნენ ერთმანეთის ორმოში ძმები?

ა) ხორბალს
ბ) თხილს
გ) კანფეტებს

## ენა და ტექსტი

### 9. წაიკითხე განმარტება და შეასრულე დავალება ნიმუშის მიხედვით:

**რიცხვითი სახელი** გამოხატავს საგნის **რაოდენობას.**

**პასუხობს კითხვაზე:** რამდენი?

რიცხვითი სახელი შეიძლება გამოხატავდეს გარკვეულ რაოდენობას: (ერთი, ათი, ხუთი) ან გაურკვეველ რაოდენობას: (ბევრი, უამრავი, ცოტა, რამდენიმე, უთვალავი)

რიცხვით სახელთან ერთად არსებითი სახელი და ზმნა ყოველთვის მხოლობით რიცხვში უნდა გამოვიყენოთ: ოთხი კანფეტი, რამდენიმე წიგნი, უამრავი ყვავილი, ოცდაათი ვაჟი.



*ნიმუში: რამდენი ადამიანია სურათზე გამოსახულ ოჯახში?*
*ოჯახში არის ექვსი ადამიანი.*

1. რამდენი ბიჭია სურათზე გამოსახულ ოჯახში?

..................................................................................................................................

2. რამდენი და ჰყავთ ბიჭებს?

..................................................................................................................................

3. რამდენი ყვავილია ხეზე?

..................................................................................................................................

4. რამდენი ყვავილია ტბაში?

..................................................................................................................................

5. რამდენი ფანჯარა აქვს სახლს?

..................................................................................................................................

6. რამდენი ყვავილია მინდორში?

..................................................................................................................................

7. სულ რამდენი მარწყვია სურათზე?

..................................................................................................................................

## 10. მოცემული სიტყვების დახმარებით შეადგინე წინადადებები:

ბევრი / უამრავი / ცოტა / რამდენიმე / უთვალავი / ერთი / ათი.

*ნიმუში: ორმოში ცოტა ხორბალი ყრია.*

1. ..........................................................................................................................
2. ..........................................................................................................................
3. ..........................................................................................................................
4. ..........................................................................................................................
5. ..........................................................................................................................
6. ..........................................................................................................................
7. ..........................................................................................................................

## 11. წაიკითხე განმარტება და დაშალე კომპოზიტები:

**კომპოზიტი -** ორი ან მეტი ფუძისგან შედგენილი რთული სიტყვა.
მაგალითად: დედ-მამა, ცოლ-ქმარი, დედა-შვილი, მამა-შვილი, და-ძმა.

**ორცნებიანი** ეწოდება კომპოზიტებს, რომლებიც სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებისგან არის შედგენილი.

**ორცნებიანი კომპოზიტი** წინადადების ერთი წევრია, ამიტომ ზმნა მხოლობით რიცხვში შეეწყობა.

*ნიმუში: ცოლ-ქმარი*

| | | | |
|---|---|---|---|
| ც | ო | ლ | ი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქ | მ | ა | რ | ი |

1. დედ-მამა

2. მამა-შვილი

3. სახლ-კარი



*ელენა მეფარიშვილი, 8 წლის*

## 12. კომპოზიტების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

დედ-მამა / ცოლ-ქმარი / დედა-შვილი / მამა-შვილი / ~~და-ძმა.~~

*ნიმუში: და-ძმა სასეირნოდ წავიდა.*

1. ..................................................................................................................

2. ..................................................................................................................

3. ..................................................................................................................

4. ..................................................................................................................

5. ..................................................................................................................

## 13. წაიკითხე განმარტება და შეავსე ცხრილი ნიმუშის მიხედვით:

შინაარსის მიხედვით სიტყვები შეიძლება გამოხატავდეს ქონა-ყოლას ან უქონლობას.
ქონა-ყოლა (=აქვს, ჰყავს): ფულ**იანი,** ცოლ**იანი,** ქუდ**იანი.**
უქონლობა (=არ აქვს, არ ჰყავს): **უ**ქუდ**ო, უ**ცოლ**ო, უ**ფულ**ო.**

| **სიტყვა** | **ქონა-ყოლის აღმნიშვნელი სიტყვა** ბოლოსართი **-იან.** | **უქონლობის აღმნიშვნელი სიტყვა** თავსართ-ბოლოსართი **უ - ო.** |
|---|---|---|
| ფარდა | | |
| ფანჯარა | | |
| ჩანთა | | |
| მზე | | |
| ქმარი | | |
| ყური | | |
| ცოლი | | |
| კუდი | | |
| აივანი | | |
| პური | | |
| ფერი | | |

## 14. ჩასვი უქონლობის ან ქონა-ყოლის გამომხატველი სახელები სწორი ფორმით.

*ნიმუში: მზიანი დღეა, სასეირნოდ წავიდეთ. (მზე)*

1. ................................ ქურთუკი ჩაიცვი, ცივა. (ქუდი)
2. ეს ბიჭი ................................ . ერთი წლის წინ დაოჯახდა. (ცოლი)
3. ................................ სახლები მიყვარს. აივანი კარგი ადგილია დასვენებისთვის. (აივანი)
4. ................................ სახლს ხედავ? იმ სახლთან უნდა მივიდეთ. (ფარდა)
5. წიგნები არ წამომიღია ................................ მოვედი. (ჩანთა)

## ვმსჯელობთ ტექსტის შესახებ

## 15. კიდევ ერთხელ წაიკითხე იგავები და შემდეგ უყურე მათ ვიდეოვერსიებს:

1. ძალა ერთობისა

2. ორი ძმა

3. რა განსხვავებაა ამ იგავებს შორის?
4. რას გვასწავლის იგავი „ძალა ერთობისა“?
5. რას გვასწავლის იგავი „ორი ძმა“?

მსჯელობისას შეგიძლია გამოიყენო სიტყვები/ფრაზები:

| |
|---|
| მე ვფიქრობ, ... / ჩემი აზრით, ... / როგორც ტექსტიდან ვიგებთ, ... / ვიდეოდან ჩანს, რომ ... / ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ ... |

## 16. დაფიქრდი და იმსჯელე:

1. რას ნიშნავს ოჯახი ადამიანისთვის?
2. რას ნიშნავს ოჯახი შენთვის?
3. გრძნობ თუ არა უფრო ძლიერად თავს ოჯახთან ერთად?
4. რატომ ფიქრობ, რომ ოჯახთან ერთად უფრო ძლიერი ხარ?

მსჯელობის დროს შეგიძლია გამოიყენო შემდეგი ფრაზები:

| |
|---|
| მე ვფიქრობ, უფრო ძლიერი ვარ ... / იმიტომ ვარ ძლიერი მათთან ერთად, რომ ... / ძალა მემატება, როცა ... / ყოველთვის უფრო ადვილია საქმის კეთება, როცა ... |

# წერითი დავალება

## 17. შეარჩიე თემა და დაწერე:

1. რატომ არის მნიშვნელოვანი ოჯახის წევრების ერთიანობა.
2. როგორ შეიძლება ეხმარებოდნენ ოჯახის წევრები ერთმანეთს.

**წერის დროს შეგიძლია გამოიყენო სიტყვები/ფრაზები:**

| |
|---|
| ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ ერთმანეთს ... / ყვავილების მოვლა ... / საშინაო დავალების შესრულება ... / სამზარეულო ... / ცხოველების მოვლა ... / უფროსი, უმცროსი ... / სახლის დალაგება ... |

**წერა შეგიძლია დაიწყო ფრაზით:**

ოჯახის წევრების ერთიანობა მნიშვნელოვანია, რადგან ...
ოჯახის წევრები ერთმანეთს შეიძლება ეხმარებოდნენ ...

..................................................................................................................................................

..................................................................................................................................................

..................................................................................................................................................

..................................................................................................................................................

..................................................................................................................................................

..................................................................................................................................................

..................................................................................................................................................

..................................................................................................................................................

..................................................................................................................................................

..................................................................................................................................................



*გულზამი რიაზი, 7 წლის*



გიორგი ნანავა, 10 წლის

## ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

**სიხარბე**

**1. ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ:**





იხვი

კაკაბი

ქორი

კლანჭები





## 2. დააკავშირე სიტყვა განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| სიხარბე • | • არა ეს, ეგ, ის. განსხვავებული. |
| სხვა • | • სიმდიდრე, ფასეული ნივთები. |
| დამალვა • | • ბევრის შეძენის სურვილი. |
| თავისი • | • რაიმეს შენახვა ისეთ ადგილას, რომ ვერ იპოვონ. |
| ქურდი • | • დაჭერილის გათავისუფლება. |
| გაშვება • | • საკუთრივ მისი. |
| დაჭერა • | • ის, ვინც რაიმეს იპარავს. |
| დახარჯვა • | • ხელის მოკიდება და გაჩერება, დაკავება. |
| ქონება • | • მოხმარება (ფულის, ნივთების, საკვების). |

## 3. დააკავშირე სიტყვა განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| შეამჩნია • | • გარკვეული ადგილიდან წამოღება ნივთის; ვინმესთვის მოცემა. |
| წაიღო • | • გარკვეულ ადგილამდე მიაღწია. |
| მოტანა • | • წასვლისას რაიმე თან გაიყოლა. |
| მივიდა • | • ადამიანი, რომელსაც არაფერი ენანება სხვისთვის. |
| ხელგაშლილი • | • დაინახა, შენიშნა. |

## 4. წინადადებაში ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:

| |
|---|
| ~~**სხვა**~~ / დამალვა / მივიდა / დახარჯვა / დაჭერა / ქონება / შეამჩნია / თავისი / წაიღო / ქურდი / ხელგაშლილი |

*ნიმუში: **სხვა** ადგილი იპოვე სახლის ასაშენებლად, აქ ხშირად ქარია.*

1. ქორმა ............................ იხვი და მისკენ გაფრინდა.
2. დათო ტყეში სასეირნოდ წავიდა და თან თბილი მაისური ............................
3. საჩუქრის ............................ არ დაგავიწყდეს, არ მინდა დაინახოს იუბილარმა.
4. მარიმ ............................ ძველი სათამაშოები ეზოში ჩაიტანა.
5. ჩემი მეგობარი დღეს პირველად ............................ ცურვაზე.
6. ............................ გაიქცა, როცა ძაღლებმა ყეფა დაიწყეს.
7. ფულის ............................ არ მინდა, ტელეფონის საყიდლად ვაგროვებ.
8. ქურდის ............................ პოლიციელებმა მარტივად შეძლეს.
9. ჩემი მეზობელი ............................ ადამიანია, ყველას ეხმარება.
10. გიორგი ერთი წლის წინ გაქურდეს. მთელი ............................ დაკარგა.



*ანა გორგასლიძე, 5 წლის*

## რა ვიცით თემის შესახებ

წაიკითხე ინფორმაცია:

| | |
|---|---|
| ქორი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და სწრაფი ფრინველია. მისი მხედველობა ადამიანის მხედველობაზე 8-10-ჯერ უფრო ძლიერია. ქორები ბუდეს იშენებენ მაღალ ხეებზე ან მიტოვებულ ბუდეებში სახლდებიან. |  |
| ოქრო ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ლითონია. მისი ბუნებრივი ფერი ბრწყინვალე ყვითელია. ოქროსგან ამზადებენ სამკაულებს, ზოდებს და მონეტებს. |  |

## ვკითხულობთ ტექსტებს

**ძუნწი და ოქრო**

ერთმა კაცმა უამრავი ოქრო მიწაში დამარხა. ყოველდღე მიდიოდა და ნახულობდა იმ ადგილს. ეს ყველაფერი სხვა კაცმა შეამჩნია და თქვა:

- მივალ და იმ ადგილს ამოვთხრი, გავიგო, რას მალავსო.

მივიდა ღამით, ამოთხარა ოქრო და წაიღო, მის ნაცვლად კი ქვის ლოდი დამარხა.

მოუნდა კაცს თავისი ოქროს ნახვა, ამოთხარა და ოქროს ნაცვლად ლოდი რომ დაინახა, დაიწყო ტირილი. მივიდა ქურდი და ჰკითხა:

- რატომ ტირიო?

მან უპასუხა:

- ოქრო დავმარხე, დახარჯვა არ მინდოდა. მოუპარავთ და მის ნაცვლად ლოდი დაუმარხავთო.

ოქროს მომპარავმა უპასუხა:

- რა გატირებს? თუ არ დახარჯავ, რა მნიშვნელობა აქვს, მიწაში ოქრო იქნება თუ ქვაო!

**ქორი, იხვი და კაკაბი**

ერთმა ქორმა იხვი დაიჭირა და კლანჭებში ჰყავდა. უცებ კაკაბმა ჩამოუფრინა. ქორმა იფიქრა კაკაბსაც დავიჭერო, იხვს კლანჭები გაუშვა და კაკაბს გამოეკიდა. ქორმა იხვიც დაკარგა და კაკაბიც.

*სულხან-საბა ორბელიანი*

## როგორ გავიგეთ ტექსტი

**5. შემოხაზე სწორი პასუხები „ქუნწი და ოქროს“ მიხედვით:**

1. **რის სანახავად დადიოდა კაცი ყოველდღე?**
ა) დამარხული ოქროს სანახავად
ბ) დამარხული ძვირფასი სამკაულების სანახავად

2. **რა დამარხა სხვა კაცმა ოქროს ნაცვლად?**
ა) თავისი ძვირფასეულობა
ბ) ქვის ლოდი

3. **რატომ დაიწყო ტირილი ოქროს პატრონმა?**
ა) მიხვდა, რომ ოქრო მოჰპარეს
ბ) ვეღარ იპოვა ადგილი, სადაც ოქრო დამალა

4. **რატომ ინახავდა კაცი ოქროს მიწაში?**
ა) არ უნდოდა დახარჯვა
ბ) სხვა შესანახი ადგილი არ ჰქონდა

5. **ქურდი იყო:**
ა) ადამიანი, რომელმაც ოქრო დამარხა
ბ) ადამიანი, რომელმაც ქვის ლოდი დამარხა

## 6. შემოხაზე სწორი პასუხები „ქორი, იხვი და კაკაბის“ მიხედვით

1. **პირველი რომელი ფრინველი დაიჭირა ქორმა?**
ა) კაკაბი ბ) იხვი

2. **როგორ დაკარგა ქორმა იხვი?**
ა) კლანჭები გაუშვა ბ) კაკაბმა მოჰპარა იხვი

3. **რას გამოეკიდა ქორი?**
ა) იხვს ბ) კაკაბს

4. **რატომ გაეკიდა ქორი კაკაბსაც?**
ა) უნდოდა კაკაბიც დაეჭირა და იხვიც ბ) იხვის დაჭერა აღარ მოუნდა

# ენა და ტექსტი

## 7. დააკავშირე ფრაზა განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| რა მნიშვნელობა აქვს | ოქროს ქურდი |
| მის ნაცვლად | რას ცვლის, რა აზრი აქვს |
| ოქროს მომპარავი | კლანჭებით ეჭირა |
| კლანჭებში ჰყავდა | კაკაბს დაედევნა |
| კაკაბს გამოეკიდა | მის მაგიერ |

## 8. გამოიყენე წინა სავარჯიშოში მოცემული ფრაზები და შეადგინე წინადადებები:

*ნიმუში: ძველი სახლი დავანგრიეთ და* ***<u>მის ნაცვლად</u>*** *ახალი ავაშენეთ.*

1. ......................................................................................................................
2. ......................................................................................................................
3. ......................................................................................................................
4. ......................................................................................................................

## 9. დააკავშირე ილუსტრაცია შესაბამის სიტყვასთან:

| მოაქვს | მიჰყავს | მიაქვს | მოჰყავს |
|---|---|---|---|






## 10. ჩასვი სიტყვა სწორად:

1. გიას ძაღლი ვეტერინართან .......................... (მიჰყავს, მიაქვს).
2. გიორგის ჩემთან წიგნები .......................... (მოაქვს, მოჰყავს).
3. ბიჭს დედასთან ყვავილები .......................... (მიაქვს, მიჰყავს).
4. ქეთის დაბადების დღეზე კლასელები .......................... (მოჰყავს, მოაქვს) სტუმრად.
5. ქორს იხვი კლანჭებით .......................... (მიჰყავს, მიაქვს).
6. ანას სამსახურში ცხელი ხაჭაპური .......................... (მოაქვს, მოჰყავს).

## 11. შეავსე ცხრილი:

| წარსული დრო | ახლანდელი დრო | მომავალი დრო |
|---|---|---|
| წაიღო | მიაქვს | |
| მოიტანა | | მოიტანს |
| | მიჰყავს | მიიყვანს |
| მოიყვანა | | მოიყვანს |

## 12. წინადადებაში ჩასვი სიტყვები შესაბამისი ფორმით:

წაღება / მოტანა / მოყვანა / წაყვანა

1. ჩემმა დამ სტუმრად მეგობარი ..........................
2. თბილი ქუდის .......................... არ დაგავიწყდეს. იქ ძალიან ცივა.
3. თამუნამ სტადიონზე სათამაშოდ ბურთი ..........................
4. ვინ .......................... ხვალ საღამოს წვეულებაზე ქალაქგარეთ?
5. ერთი კვირის წინ ჩემმა მეგობარმა ლეკვი ..........................
6. რა .......................... ნიამ ჩანთით?

## ვმსჯელობთ ტექსტის შესახებ

**13. მოიყვანე იგავ-არაკებიდან მაგალითები და იმსჯელე, რა შედეგი შეიძლება მოიტანოს სიხარბემ.**

**- მსჯელობისას შეგიძლია გამოიყენო ფრაზები:**

როგორც იგავიდან ჩანს, ... / როგორც ვხედავთ, ... / ვფიქრობ, შეცდომა იყო ... /
არც სხვას დაეხმარა და არც ... / ქურდის საქციელი ... /
ქორი ერთ ფრინველს მაინც დაიჭერდა ...

**- საუბარი შეგიძლია დაიწყო შემდეგი ფრაზებით:**

„ძუნწი და ოქრო“ - ამ იგავში მოთხრობილია ...
„ქორი, იხვი და კაკაბი“ - როგორც ამ იგავიდან ჩანს ...

**14. უყურე იგავების ვიდეოვერსიებს: „ძუნწი და ოქრო“ და „ორი ძმა“; შემდეგ უპასუხე კითხვებს:**

1. „ძუნწი და ოქრო“:

2. ორი ძმა:

1. რას გვასწავლის იგავი „ძუნწი და ოქრო“?
ა) სიმდიდრე თუ არ გამოიყენე, მის ქონას აზრი არ აქვს.
ბ) ძუნწი ადამიანები კარგად ცხოვრობენ.
გ) მომპარავი ადამიანი სწორად მოიქცა.

2. გაიხსენე და იმსჯელე, რას გვასწავლის იგავი „ორი ძმა“:
ა) ძმები ერთმანეთის მიმართ ხელგაშლილები იყვნენ, ერთმანეთის დახმარება აბედნიერებდათ.
ბ) ძმები ერთმანეთს ეხმარებოდნენ სიხარბის გამო.
გ) ძმებს არ უყვარდათ ერთმანეთი.

3. როგორი დამოკიდებულება აქვთ იგავების პერსონაჟებს ქონების/სიმდიდრის მიმართ?
4. შენ რომელი პერსონაჟის საქციელი მოგწონს? რატომ ფიქრობ ასე?

## 15. კიდევ ერთხელ წაიკითხე იგავი „ქორი, იხვი და კაკაბი“.

1. იმსჯელე, რა მაგალითს გვაძლევს ქორის საქციელი.

მსჯელობისას შეგიძლია გამოიყენო ფრაზები:

| |
|---|
| ჩემი აზრით, უკეთესია ... / ქორმა ორივე ფრინველი დაკარგა, რადგან ... / უნდა ეფიქრა, რომ ... |

2. გაიხსენე და ისაუბრე, შენ თუ გქონია შემთხვევა, როცა ორი საქმის ერთად კეთება გიცდია? როგორ დასრულდა ეს მცდელობა?

| |
|---|
| ერთხელ მე ... / ვცდილობდი, ორივე საქმის ერთად გაკეთებას ... / ვფიქრობ, ორივე საქმე ... / ეს მცდელობა დასრულდა ... |



*მარიამ ფატულაევი, 7 წლის*

## წერითი დავალება

**16. იფიქრე და დაწერე, როგორ შეიძლება იმოქმედოს სიხარბემ და ხელგაშლილობამ ადამიანის ცხოვრებაზე. მოიყვანე რამდენიმე მაგალითი.**

წერის დროს შეგიძლია გამოიყენო შემდეგი ფრაზები:

სჯობს, ადამიანი იყოს ... / მაგალითად, როცა ხელგაშლილია ადამიანი, მას ... /
სიხარბის გამო შეიძლება ... / ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანია ... /
კიდევ ერთი მაგალითი, რომ ... / რამდენიმე მაგალითი შემიძლია დავასახელო, რომ ... /
მე მომწონს, როცა ... / მე მინდა ჩემ გარშემო ...

# გართობის დრო

## აბა, ვინ გამოიცნობს:

1. ასი, ასი, ასლამაზი,
ასი კაბა აცვიათ,
აბრეშუმის[1] ქოჩორი,
გვერდზე გადავარცხნიათ.

ა) სიმინდი;
ბ) კომბოსტო;
გ) კარტოფილი.

2. შიგნით გული გემრიელი,
გარეთ კანი – ატლასია,
მას რომ ჯარი ახვევია,
შუბოსანი ათასია.

ა) ბროწეული;
ბ) მარწყვი;
გ) წაბლი.

3. ის რომელი ცხოველია,
ჩუმად რომ დაიარება,
კატის კნავილს რომ გაიგებს,
იმწამსვე დაიმალება.

ა) თაგვი;
ბ) კატა;
გ) ძაღლი.

4. ჩურჩხელა ვნახე კახური[2],
თეთრად უჩანდა სახეო,
ავიღე ხელში, დამიდნა,
ნამცეციც[3] ვეღარ ვნახეო.

ა) პური;
ბ) კარაქი;
გ) სიმინდი.

[1] აბრეშუმი – აბრეშუმის ძაფისგან დამზადებული ქსოვილი
[2] კახური – კახეთში გაკეთებული
[3] ნამცეცი – ძალიან პატარა

# რას გვასწავლის ანდაზა

- წაიკითხე ქვემოთ მოცემული ანდაზები;
- აირჩიე ერთი, რომელიც მოგეწონება;
- ისაუბრე, რატომ აირჩიე ეს ანდაზა;
- რას გვასწავლის ეს ანდაზა?
- მოიფიქრე რაიმე ამბავი ამ ანდაზის შესახებ.

1. კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო.
2. მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო.
3. ნუ დასცინი სხვასა, გადაგხვდება თავსაო.
4. ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.

- ______________________________
- ______________________________
- ______________________________
- ______________________________

# თამაშის დროა

**წეროები:**

- თამაშისთვის საჭიროა, სულ მცირე, ორი მოთამაშე;
- მოთამაშეები რიგრიგობით ამბობენ თამაშის ტექსტს;
- ტექსტის თქმის შემდეგ ერთი ხელს ადებს მეორე მოთამაშის ხელს;

- თამაშის ტექსტი:

- წეროები.
- მიფრინავენ.
- სად?
- შორს.
- რამდენი?

- მოთამაშე ასახელებს სასურველ ციფრს, მაგალითად – 4;
- შემდეგ რიგრიგობით იწყებენ გათვლას 1, 2, 3, 4...
- გამარჯვებულია ის მოთამაშე, რომელიც დასახელებული (ამ შემთხვევაში – 4) ციფრის თქმისას სწრაფად ასწევს ხელს და აიცილებს დარტყმას.





*ლუკა გეგეშიძე, 8 წლის*



*ანასტასია სულაბერიძე, 10 წლის*



*ანდრია გოგუა, 13 წლის*

# 5

# პატარა და დიდი ამბები



*სალომე რუხაძე, 10 წლის*

# ამაყი ყვავილი

## ლექსიკაზე მუშაობა

### 1. დააკავშირე სიტყვა და ილუსტრაცია ერთმანეთთან:

რწყავს / წყალს უსხამს • ნაკადული • დაჭკნა







### 2. დააკვირდი ემოციებს და დააკავშირე:

მოწყენილი • გაბრაზებული • გახარებული







## 3. სიმბოლოს ადგილზე ჩასვი შესაბამისი სიტყვა და გადაწერე:

1.  ნიკა სკოლაში წავიდა.

..................................................................................................................................

2. ნინომ კინოს ბილეთი ვერ იყიდა და  ტელევიზორს უყურებდა.

..................................................................................................................................

3.  მაია ტელეფონს არ პასუხობდა.

..................................................................................................................................

## 4. დააკავშირე სიტყვა/ფრაზა განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| ამაყი • | • წყლის დალევა მოუნდა |
| სუსტი • | • ძალიან ცუდი, საძულველი |
| თავი მომაბეზრა • | • ვინც ძლიერი არ არის |
| მოსწყურდა • | • საკუთარი უპირატესობის რწმენის მქონე; თავმომწონე |
| საძაგელი • | • ძალიან აწყენინა |
| საყვედური • | • შემაწუხა |
| გული ატკინა • | • ვინმეს მიმართ უკმაყოფილების გამოთქმა |

### 5. დააკავშირე ანტონიმები (საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები):

| | |
|---|---|
| ამაყი • | • საძაგელი |
| ლამაზი • | • ძლიერი |
| პატარა • | • თავმდაბალი |
| საყვარელი • | • მახინჯი |
| სუსტი • | • დიდი |

### 6. შეადგინე ხუთი წინადადება წინა სავარჯიშოში მოცემული სიტყვების გამოყენებით:

*ნიმუში: ლამაზი → დედამ ძალიან ლამაზი კაბა მიყიდა!*

1. ..........................................................................................................
2. ..........................................................................................................
3. ..........................................................................................................
4. ..........................................................................................................
5. ..........................................................................................................

## რა ვიცით თემის შესახებ

### 7. დააკვირდი ილუსტრაციებს და უპასუხე კითხვებს:

- რა არის სურათზე გამოსახული?
- როგორ გამოიყურება ყვავილი პირველ სურათზე, მეორეზე, მესამეზე?
- შენი აზრით, რის შესახებ იქნება ტექსტი?







## ვკითხულობთ ტექსტს

**ამაყი ყვავილი**

პატარა ნაკადულის პირას დიდი, ლამაზი ყვავილი ამოვიდა. ნაკადულს ყვავილი უყვარდა, **წყალს უსხამდა** და სიმღერებს უმღეროდა. ერთხელ სიყვარულით ნაკადულმა ბევრი წყალი მიასხა და დაასველა ყვავილი.

ყვავილი გაბრაზდა:

- შემაწუხა ამ **საძაგელმა**, სულ დამისველა და გამიფუჭა ჩემი მშვენიერი კაბა, წადი აქედან, ახლოს აღარ მოხვიდე! - უთხრა მან ნაკადულს.

ნაკადულს **გული ატკინა** ყვავილის სიტყვებმა. უკან დაიხია და მოშორდა ყვავილს.

მზემ თანდათან მოუმატა სიცხეს.

ყვავილს **მოსწყურდა** და დასუსტდა.

- ნეტავ აქ იყოს ახლა ჩემი საყვარელი ნაკადული, - ინატრა ყვავილმა და დაუძახა თავის მეგობარს, მაგრამ მისი სუსტი ხმა ვერ გაიგო შორს წასულმა ნაკადულმა. **ამაყი** ყვავილი უწყლოდ **დაჭკნა** მზის სიცხისაგან.

*ნინო ნაკაშიძე*

# როგორ გავიგეთ ტექსტი

## 8. უპასუხე კითხვებს:

1. სად ამოვიდა ყვავილი?
2. როგორ ექცეოდა ნაკადული ყვავილს?
3. რატომ გაბრაზდა ყვავილი?
4. რატომ დასუსტდა ყვავილი?
5. რას ნატრობს ყვავილი?
6. რატომ ვერ გაიგო ნაკადულმა ყვავილის ხმა?
7. რა დაემართა ყვავილს?

## 9. ტექსტის მიხედვით ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:

| |
|---|
| ატკინა / გაბრაზდა / უმღეროდა / ამოვიდა / უყვარდა / დაასველა / უსხამდა / მოსწყურდა / დაჭკნა |

1. ნაკადულის პირას დიდი, ლამაზი ყვავილი ...................................... .
2. ნაკადულს ლამაზი ყვავილი ...................................... .
3. ნაკადული ყვავილს ნაზ სიმღერებს .............................. და წყალს ...................................... .
4. ნაკადულმა ყვავილს ბევრი წყალი მიასხა და ...................................... .
5. ყვავილი ...................................... და ნაკადული გააგდო.
6. ნაკადულს გული ...................................... ყვავილის სიტყვებმა.
7. ყვავილს ...................................... და დასუსტდა.
8. ამაყი ყვავილი უწყლოდ ...................................... მზის სიცხისგან.

## 10. დააკავშირე სურათი შესაბამის წინადადებასთან:



• • ნაკადულმა ყვავილს ბევრი წყალი მიასხა და დაასველა.



• • ამაყი ყვავილი უწყლოდ ჭკნებოდა სიცხისაგან.



• • ნაკადულის პირას დიდი ლამაზი ყვავილი ამოვიდა.

## 11. აღნიშნე, რომელია სწორი და არასწორი:

| | სწორი | არასწორი |
|---|---|---|
| ნაკადულის პირას დიდი, ლამაზი ყვავილი ამოვიდა. | + | |
| ნაკადული ყვავილს წყალს არ უსხამდა. | | |
| ყვავილს ნაკადული ძალიან უყვარდა. | | |
| ნაკადული ყვავილს სიმღერებს უმღეროდა. | | |
| ნაკადულმა ყვავილს ბევრი წყალი მიასხა და დაასველა. | | |
| ნაკადულს გული ატკინა ყვავილის საყვედურმა. | | |
| ყვავილს მოსწყურდა და ნაკადულს სთხოვა დახმარება. | | |
| ნაკადულს ყვავილის სუსტი ხმა არ ესმოდა. | | |
| ყვავილი მზის სიცხისგან უფრო გალამაზდა. | | |

## 12. წაიკითხე წინადადებები და დაალაგე თანმიმდევრობით:

| | |
|---|---|
| | ნაკადული ყვავილს ნაზ სიმღერებს უმღეროდა. |
| | ყვავილი გაბრაზდა და ნაკადულს გული ატკინა. |
| | ერთხელ ნაკადულმა ყვავილს ბევრი წყალი მიასხა. |
| | ამაყი ყვავილი უწყლოდ დაჭკნა მზის სიცხისგან. |
| 1 | ნაკადულის პირას ლამაზი ყვავილი ამოვიდა. |
| | ნაკადულმა უკან დაიწია და ყვავილს მოშორდა. |

# ენა და ტექსტი

## 13. წაიკითხე ნაწყვეტი და მონიშნე, რას გამოხატავს სიტყვა ნეტავ - სურვილს თუ ინტერესს:

1. ნეტავ აქ იყოს ახლა ჩემი საყვარელი ნაკადული.
☐ სურვილი ☐ ინტერესი

2. ნეტავ სად არის ავტობუსის გაჩერება?
☐ სურვილი ☐ ინტერესი

3. ნეტავ ასეთი ამაყი არ იყო.
☐ სურვილი ☐ ინტერესი

4. ნეტავ როგორ არის ნიკა?
☐ სურვილი ☐ ინტერესი

5. ნეტავ სად წავიდა ნაკადული?
☐ სურვილი ☐ ინტერესი

6. ნეტავ ისევ გიყვარდე.
☐ სურვილი ☐ ინტერესი

## 14. წაიკითხე განმარტება და ხაზი გაუსვი ზედსართავ სახელებს:

ზედსართავი სახელი გამოხატავს საგნის ნიშან-თვისებას. მისი კითხვაა **როგორი?** *(მაგ.: დიდი, პატარა, გრძელი...)*

1. პატარა ნაკადულის პირას დიდი, ლამაზი ყვავილი ამოვიდა.
2. ნაკადული ნაზ სიმღერებს უმღეროდა ყვავილს.
3. ნაკადულმა ყვავილს მშვენიერი კაბა დაუსველა.
4. ნაკადულს ყვავილის სუსტი ხმა არ ესმოდა.
5. ნეტავ ახლა აქ იყოს ჩემი საყვარელი ნაკადული.
6. ამაყი ყვავილი მზის სიცხისგან დაჭკნა.

## 15. ა) დააკვირდი და ნიმუშის მიხედვით მიიღე ზედსართავი სახელი:

*ნიმუში:*

| *რა?* | *როგორი?* |
|---|---|
| *ბრაზი* | *გა-ბრაზ-ებ-ულ-ი* |

| **რა?** | **როგორი?** |
|---|---|
| სიხარული | გა- |
| კეთება | გა- |

## ბ) შეადგინე წინადადებები სიტყვებით: <u>გაბრაზებული, გახარებული, გაკეთებული</u>

1. ..............................................................................................................................

2. ..............................................................................................................................

3. ..............................................................................................................................

## 16. წაიკითხე განმარტება და შეავსე ცხრილი:

ქართულ ენაში სამი დრო გვაქვს: **ახლანდელი**, **წარსული** და **მომავალი**.

ზმნის დრო გვიჩვენებს, როდის ხდება მოქმედება - თქმამდე (წარსული დრო), თქმის დროს (ახლანდელი დრო) თუ თქმის შემდეგ (მომავალი დრო).

| ახლანდელი დრო **(რას შვრება?)** | წარსული დრო **(რა ქნა?)** |
|---|---|
| | შეუყვარდა |
| ასხამს | |
| | შემაწუხა |
| ჭკნება | |
| | ამოვიდა |
| ბრაზდება | |
| | დაასველა |
| სწყურია | |
| | დასუსტდა |
| ეძახის | |

## 17. წაიკითხე ზმნები და გაანაწილე:

~~უყვარდა~~ / ~~ახხამს~~ / ამოვიდა / უმღეროდა / ჭკნება / უყვარს / დაასხა / ამოდის / დაასველა / შემაწუხა / ასველებს / მაწუხებს / ატკინა / მოშორდა / შორდება / მოუმატა / მოსწყურდა / უმატებს / უმღერის / დასუსტდა / დაუძახა / გაიგო / სტკენს / სუსტდება / დაჭკნა / ეძახის / იგებს

| **ახლანდელი დრო** | **წარსული დრო** |
|---|---|
| ახსამს ........................................................... | უყვარდა ....................................................... |
| ..................................................................... | ..................................................................... |
| ..................................................................... | ..................................................................... |
| ..................................................................... | ..................................................................... |

# ვმსჯელობთ ტექსტის შესახებ

## 18. მოძებნე ტექსტში, როგორია ყვავილი და ამოიწერე:

| | |
|---|---|
|  | ტექსტის მიხედვით ყვავილი არის:<br>...........................................................<br>...........................................................<br>...........................................................<br>........................................................... |

## 19. წაიკითხე ნაწყვეტი და იმსჯელე:

*„ყვავილი გაბრაზდა:*
*- შემაწუხა ამ საძაგელმა, სულ დამისველა და გამიფუჭა ჩემი მშვენიერი კაბა, წადი აქედან, ახლოს აღარ მოხვიდე! - უთხრა მან ნაკადულს.*
*ნაკადულს გული ატკინა ყვავილის სიტყვებმა. უკან დაიხია და მოშორდა ყვავილს".*

- **სწორად მოექცა ყვავილი ნაკადულს?**
- **შენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო ის?**
- **როგორ ფიქრობ, მიხვდა ყვავილი თავის დანაშაულს?**

**მსჯელობის დროს შეგიძლია გამოიყენო ფრაზები:**
ჩემი აზრით... / ვფიქრობ, რომ... / მგონია, რომ...

## 20. შენი სიტყვებით გადმოეცი ტექსტის შინაარსი:

*თხრობა შეგიძლია დაიწყო ასე: პატარა ნაკადულის პირას ...*

# წერითი დავალება

**21. ტექსტის მიხედვით შეავსე ცხრილი:**

| | |
|---|---|
| რა ხდება ტექსტის დასაწყისში? | ........................................<br>........................................<br>........................................<br>........................................ |
| რა მოხდა შემდეგ? | ........................................<br>........................................<br>........................................<br>........................................ |
| რა მოხდა ბოლოს? | ........................................<br>........................................<br>........................................<br>........................................ |



*მარიამ ფატულაევი, 7 წლის*

# ქეთუნა და ჩიტი

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. დააკავშირე სიტყვა და ილუსტრაცია ერთმანეთთან:**







აივანი

საკენკი

ძიძა

გალია

ლამბაქი

საფულე







## 2. დააკავშირე სიტყვა/ფრაზა განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| ეხვეწებოდა | რა ღირს? / რამდენად ყიდი? |
| ჯიუტობდა | ძალიან სთხოვდა, ემუდარებოდა |
| არ მცალია | საალერსო მიმართვა |
| როგორ აფასებ? | დრო არ მაქვს / დაკავებული ვარ |
| გენაცვალე | არავის არ უსმენდა / არ უჯერებდა |
| კანკალებდა/კანკალი | შეცოდება |
| ამწყვდევ | ხელებს სიცივის გამო უნებურად ამოძრავებდა (სხეულის/კუნთების უნებლიე რიტმული მოძრაობა) |
| თამამად | ღარიბი, ღატაკი |
| პირობით | უკმაყოფილოდ, წყენით |
| საყვედურით | თავისუფლად, მორიდების გარეშე |
| სიბრალული | აქ: ძალით სვამ გალიაში |
| გაჭირვებული | შეთანხმებით |

## 3. წაიკითხე წინადადება და მონიშნე, რას გამოხატავს სიტყვა „გენაცვალე“:

*„გიყიდი, **გენაცვალე**, მაგრამ იმ პირობით კი, რომ მაშინვე გაათავისუფლო ფრინველი!“*

ა) საალერსო მიმართვას  ბ) გაბრაზებას  გ) შეთანხმებას

## 4. დააკვირდი სურათებს, ჩასვი გამოტოვებული ფრაზები და აღადგინე დიალოგები:

ა)

არ მცალია; როგორ აფასებ?




ბ)

არ მცალია; როგორ აფასებ?



## 5. ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:

კანკალებდა / ~~ეხვეწებოდა~~ / ჯიუტობდა / თამამად / ამწყვდევ / პირობით / საყვედურით

*ნიმუში: - დედა, გთხოვ, მიყიდე ეს ჩიტი. - .................................. ბიჭი დედას.*
*- დედა, გთხოვ, მიყიდე ეს ჩიტი. - **ეხვეწებოდა** ბიჭი დედას.*

1. ნუ გერიდება, .......................................... ილაპარაკე!
2. - რატომ არ მოხვედი ჩემს დაბადების დღეზე? - .......................................... ჰკითხა ნიკამ.
3. გიორგი სიცივისგან სულ .......................................... .
4. ცოდო არ არის, გალიაში რომ .......................................... ?
5. პატარა გოგო .......................................... და საჭმელს არ ჭამდა.
6. გიყიდი ჩიტს, მაგრამ იმ .........................................., რომ მაშინვე გაათავისუფლებ.

# რა ვიცით თემის შესახებ

## 6. აღწერე სურათები; შენი აზრით, რის შესახებ იქნება ტექსტი?

შეგიძლია გამოიყენო ფრაზები:

ჩემი აზრით / მე ვფიქრობ / მგონია / პირველ სურათზე ჩანს / მეორე სურათის მიხედვით / ეს მოთხრობა იქნება.



## წავიკითხოთ ტექსტი

**ქეთუნა და ჩიტი**

- დედა, დედა! ჩიტი მიყიდე! ნახე რა ლამაზია! გული ყვითელი აქვს, აქეთ-იქით ფრთებთან წითელი! - **ეხვეწებოდა** პატარა ქეთუნა დედას, რომელიც სასტუმრო ოთახში სტუმართან ლაპარაკობდა.

- დედა, დედა! ბიჭი წავა, ჩიტს სხვას მიჰყიდის! - ეუბნებოდა ქეთუნა დედას, - თან ძალიან ლამაზ **გალიაში** ზის!

- მერე, მერე, **გენაცვალე**, ახლა **არ მცალია**, - ჩუმად ეუბნებოდა დედა ქეთოს და ისევ სტუმარს ელაპარაკებოდა.

- მერე არ იქნება, ახლა მინდა, ბიჭი წავა! - **ჯიუტობდა** ბავშვი.

- აბა წადი, აქ მოიყვანე ის ბიჭი, ვნახოთ, რა ჩიტი ჰყავს, **როგორ აფასებს?** - თქვა სტუმარმა.

ქეთუნა სწრაფად გავიდა **აივანზე** და მალევე შეიყვანა ოთახში ათი-თორმეტი წლის ბიჭი. ბიჭი სიცივისაგან **კანკალებდა** თავის საზაფხულო ტანსაცმელში; გალურჯებულ ხელებში ეჭირა გალია ლამაზი პატარა ჩიტით.

- ცოდო არ არის, რომ ჩიტებს იჭერ და გალიაში **ამწყვდევ?** - უთხრა ბიჭს ქეთოს დედამ.

- ცოდო რატომ არის, - **თამამად** უთხრა ბიჭმა. - მინდორში ახლა აღარაფერი არ არის მაგის საჭმელი და სახლში კი აჭმევენ და ასმევენ კიდეც.

- თავისუფლებას რა სჯობია! გალიაში დამწყვდეულს რა საჭმელი გაახარებს! - თქვა სტუმარმა ქალმა.

- აი, მეც თავისუფალი ვარ, მაგრამ შიმშილით ვკვდები. დედაც ავად მყავს და ფული კი არა გვაქვს, რომ პური ვიყიდოთ, - ცრემლიანი თვალებით თქვა ჩიტის პატრონმა.

- განა იმისთვის ყიდი ჩიტს, რომ აღებული ფულით პური იყიდო? - გაიკვირვა ქეთოს დედის სტუმარმა.

- მაშ რა გგონიათ?! მთელი ღამეები ამ გალიას ვაკეთებ, დღე კი ყინვა-სიცივეში ამ ჩიტებს ვიჭერ. - თქვა ბიჭმა **საყვედურით** და წასვლა დააპირა.

- დედა, დედა! - კიდევ შეეხვეწა ქეთო, - მიყიდე, მიყიდე ჩიტი! ხედავ, ბიჭსაც ფული უნდა, დედას პური უნდა უყიდოს...

- გიყიდი, გენაცვალე, მაგრამ იმ **პირობით** კი, რომ მაშინვე გაათავისუფლო ფრინველი! - და ჩიტის პატრონს კი იმაზე ორჯერ მეტი მისცა, რაც ჩიტი ღირდა.

სტუმარმა ქალმაც გახსნა თავისი ძვირფასი **საფულე** და მანაც აჩუქა ფული ჩიტის პატრონს.

ბიჭს გაუხარდა და ბედნიერი ღიმილით წავიდა.

ქეთუნა კი გალიით ხელში თავის ოთახში გავიდა; **ძიძას** საჩქაროდ მოატანინა **საკენკი**, **ლამბაქით** წყალი და გალიაში შეუდგა ჩიტს. მშიერი ჩიტი სწრაფად ყლაპავდა საჭმელს.

ქეთუნა გაოცებული უყურებდა და ფიქრობდა: „ნეტა თუ ჩიტის გამყიდველიც ახლა ასე სიხარულით ჭამს პურის ლუკმებს!“ - და ბედნიერმა ქეთუნამ პირველად იგრძნო **სიბრალული გაჭირვებული** ადამიანებისადმი.

*ეკატერინე გაბაშვილი*

# როგორ გავიგეთ ტექსტი

## 7. უპასუხე კითხვებს:

1. რას სთხოვს ქეთუნა დედას?
2. რას აკეთებს ქეთუნას დედა სასტუმრო ოთახში?
3. რატომ კანკალებდა ჩიტის გამყიდველი ბიჭი?
4. რატომ ყიდდა ბიჭი ჩიტებს?
5. რა პირობით უყიდა დედამ ქეთუნას ჩიტი?
6. რა მოატანინა ქეთუნამ ძიძას?
7. რაზე ფიქრობდა ქეთუნა მოთხრობის ბოლოს?
8. რა გრძნობა გაუჩნდა მას გაჭირვებული ადამიანებისადმი?

## 8. წაიკითხე ნაწყვეტი ტექსტიდან; მოძებნე და ამოიწერე სიტყვები, რომლებითაც ქეთუნა ჩიტს ახასიათებს:

*„ - დედა, დედა! ჩიტი მიყიდე! ნახე რა ლამაზია! გული ყვითელი აქვს, აქეთ-იქით ფრთებთან წითელი! - ეხვეწებოდა პატარა ქეთუნა დედას“.*

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

## 9. დააკავშირე ილუსტრაცია შესაბამის წინადადებასთან:



- ქეთუნას დედა სასტუმრო ოთახში სტუმარს ელაპარაკება.



- ქეთუნას ჩიტის გამყიდველი ბიჭი ოთახში შემოჰყავს.



- ქეთუნა ძიძასთან ერთად ჩიტს გალიაში საკენკს უყრის და ლამბაქით წყალს უდგამს.

## 10. აღნიშნე, რომელია სწორი და არასწორი:

| | სწორი | არასწორი |
|---|---|---|
| ქეთუნა დედას ახალი კაბის ყიდვას სთხოვდა. | | |
| ჩიტების გამყიდველი ბიჭი სიცივისგან კანკალებდა. | | |
| ჩიტის გამყიდველ ბიჭს დედა ავად ჰყავდა. | | |
| ქეთუნას დედა სამზარეულოში იყო  და საჭმელს ამზადებდა. | | |
| დედამ ქეთუნას ჩიტი უყიდა. | | |
| ქეთუნას პირველად შეეცოდა გაჭირვებული ადამიანი. | | |

# ენა და ტექსტი

## 11. წაიკითხე წინადადებები და დაასრულე სიტყვა:

1. დედა სასტუმრო ოთახ......... სტუმართან ლაპარაკობდა. *(-ში, -ზე, -გან)*
2. ქეთუნა სწრაფად გავიდა აივან......... . *(-გან, -ში, -ზე)*
3. ჩიტი ძალიან ლამაზ გალია......... ზის. *(-ზე, -გან, -ში)*
4. ბიჭი სიცივისა......... კანკალებდა. *(-ზე, -გან, -ში)*
5. ძიძამ ჩიტს საკენკი მოუტანა და გალია......... შეუდგა. *(-გან, -ში, -ზე)*
6. ბიჭს ბედნიერების......... თვალები გაუნათდა. *(-ზე, -გან, -ში)*

## 12. მიიღე ახალი სიტყვა ნიმუშის მიხედვით:

| |
|---|
| სა- -ე თავსართ-ბოლოსართი დანიშნულების სახელებს აწარმოებს. |

*ნიმუში: ფული → სა-ფულ-ე*

ქუდი → ......................................

ყური → ......................................

პური → ......................................

## 13. წაიკითხე განმარტება და ნიმუშის მიხედვით დაუმატე სიტყვას -იან დაბოლოება:

**-იან** დაბოლოება ქონა-ყოლის სახელებს აწარმოებს.

*ნიმუში: შვილი → შვილ-იან-ი*

ცრემლი → ......................................

ფული → ......................................

ქუდი → ......................................

## 14. შეადგინე წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:

საფულე / ~~საქუდე~~ / საყურე / საპურე / ცრემლიანი / ფულიანი / ქუდიანი

*ნიმუში: მაღაზიაში საქუდე ნაჭერი ვიყიდე.*

1. ......................................................................................................................
2. ......................................................................................................................
3. ......................................................................................................................
4. ......................................................................................................................
5. ......................................................................................................................
6. ......................................................................................................................

## 15. დაუმატე სიტყვებს -ად დაბოლოება და შეავსე ცხრილი:

| როგორი? | როგორ? |
|---|---|
| სწრაფი | სწრაფ-ად |
| თამამი | |
| ლამაზი | |
| კარგი | |
| ცუდი | |
| ჩუმი | |

## 16. ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:

1. ქეთუნა .................................... გავიდა აივანზე. (სწრაფი / სწრაფად)
2. აივანზე .................................... ყვავილები მაქვს. (ლამაზად / ლამაზი)
3. ნიკა ყველაზე .................................... ბიჭია. (სწრაფი / სწრაფად)
4. მაია .................................... ლაპარაკობს ქართულად. (კარგი / კარგად)
5. გაზაფხულზე ყვავილები .................................... ყვავიან. (ლამაზად / ლამაზი)
6. - ცოდო რატომ არის? - .................................... უთხრა ბიჭმა. (თამამი / თამამად)

# ვიმსჯელოთ ტექსტის შესახებ

## 17. წაიკითხე ნაწყვეტი მოთხრობიდან და იმსჯელე, როგორი გოგოა ქეთუნა?

„ქეთუნა გაოცებული უყურებდა და ფიქრობდა: „ნეტა თუ ჩიტის გამყიდველიც ახლა ასე სიხარულით ჭამს პურის ლუკმებს!“ - და ბედნიერმა ქეთუნამ პირველად იგრძნო სიბრალული გაჭირვებული ადამიანებისადმი“.

**18. ქეთუნას დედამ ჩიტი იმ პირობით უყიდა, რომ გოგონა მას გაათავისუფლებდა. იმსჯელე, შენი აზრით, როგორ მოიქცევა ქეთუნა?**

**მსჯელობის დროს შეგიძლია გამოიყენო ფრაზები:**

ჩემი აზრით, ...  რადგან ...  ვფიქრობ, ...  იმიტომ, რომ ...  მგონია, ...

**19. მოისმინე „ქეთუნა და ჩიტი“ და ეცადე შენი სიტყვებით გადმოსცე მოთხრობის შინაარსი:**

ეკატერინე გაბაშვილი - „ქეთუნა და ჩიტი“

## წერითი დავალება

**20. გაიხსენე ტექსტი და დაწერე ქეთუნას დახასიათება:**

.......................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................

# გართობის დრო

## აბა, ვინ გამოიცნობს:



1. გადავაბრუნე, შევხედე,
ქვა არის, აბა რა არის?
ზევით დავდევი, ვერცხლსა დებს,
ქათამია თუ რა არის?
გარეთ გავუშვი, ბალახს ძოვს[1],
ძროხა არის თუ რა არის?

ა) ქათამი;
ბ) ძროხა;
გ) კუ.

2. წვერი აქვს – ვაცი არ არის,
ბალახს ძოვს – ცხენი არ არის,
რქები აქვს – ხარი არ არის.

ა) ძროხა;
ბ) თხა;
გ) ცხენი.

3. თავშიშველი, ფეხშიშველი,
სახელს გეტყვი, ვერ გიშველი.

ა) ბავშვი;
ბ) თმა;
გ) შველი.

4. ერთი რამ არის,
ზეცაში იცის,
ზამთარს და ზაფხულს
უცვლელად იწვის.

ა) დედამიწა;
ბ) ყინული;
გ) მზე.



[1]ძოვს – ცხოველი ჭამს

## რას გვასწავლის ანდაზა

- წაიკითხე ქვემოთ მოცემული ანდაზები;
- აირჩიე ერთი, რომელიც მოგეწონება;
- ისაუბრე, რატომ აირჩიე ეს ანდაზა;
- რას გვასწავლის ეს ანდაზა?
- მოიფიქრე რაიმე ამბავი ამ ანდაზის შესახებ.

1. როგორც ქუხს, ისე არ წვიმსო.
2. სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო.
3. სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო.
4. უგუნურ მეგობარს გონიერი მტერი სჯობიაო.



*ნიკოლოზ ჩირაძე, 9 წლის*

# თამაშის დროა:

**მინიშნება:**

- თამაშობს რამდენიმე მონაწილე;
- იყოფიან ორ ჯგუფად;
- ერთი ჯგუფის მონაწილე მეორეს ჩუმად ეტყვის სიტყვას; მაგალითად: „ნაყინი“.
- მან ეს სიტყვა რამენაირად „ჟესტებით“ უნდა აუხსნას მეორე ჯგუფის წევრებს;
- ჯგუფის წევრები ცდილობენ ამოიცნონ სიტყვა;
- თუ ვერ ამოიცნობენ სიტყვას, ამხსნელს ეხმარება ჯგუფის მეორე მონაწილე;
- თამაში გრძელდება მანამდე, სანამ მოწინააღმდეგე ჯგუფის რომელიმე წევრი არ ამოიცნობს ჩაფიქრებულ სიტყვას.



*თეკლა მაჭავარიანი, 13 წლის*





*ნიკოლოზ ჭეიშვილი, 11 წლის*

# 6

# ქართული ზღაპრები



*მათე ვარდოსანიძე, 10 წლის*

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. დააკავშირე სიტყვა შესაბამის ილუსტრაციასთან:**







გათლა
კომბალი
ჭერი
ცხვარი
საძოვარი
საცერი







## 2. დააკავშირე სიტყვა განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| ძებნა • | • ვინმეს, რამის პოვნის მცდელობა. |
| ღორმუცელა • | • ჭამის მოყვარული; ვინც ბევრს ჭამს. |
| ჩიჩია • | • ის, რაც სინამდვილეში არ არის, არ არსებობს. |
| ამოყრა • | • ხორცი ბავშვის ენაზე. |
| არარეალური • | • ბევრის ერთად ამოყვანა/ამოტანა. |
| ჩასცხო • | • იგივეა, რაც ალაგებდა. |
| აწყობდა • | • იგივეა, რაც ჩაარტყა, სცემა. |

## 3. გაეცანი ინფორმაციას:



ფქვილი: ფხვიერი პროდუქტი, რომელსაც იღებენ სხვადასხვა მარცვლეულის დაფქვით.

ფქვილი გამოიყენება პურეულში, ნამცხვრებში, ცომეულში, მაკარონში...



ქატო: ფქვილის გაცრისას საცერში დარჩენილი მასა. მცირე რაოდენობით გამოიყენება საკვებში.

## 4. მონიშნე სწორი პასუხი:

**1. საბალახოდ დადიოდნენ იგივეა, რაც:**
ა) ბალახის საჭმელად დადიოდნენ
ბ) ბალახის სათიბად დადიოდნენ

**2. „კომბლე რა კაცია?“ იგივეა, რაც:**
ა) ვინ არის კომბლე, რას საქმიანობს?
ბ) სად ცხოვრობს კომბლე?

**3. „თავში ჩასცხობს“ ნიშნავს:**
ა) თავს დაანებებს
ბ) თავში ჩაარტყამს

**4. უკანმოუხედავად მოკურცხლა ნიშნავს:**
ა) ნელა გააგრძელა გზა
ბ) უკან არ მოიხედა, ისე გაიქცა

**6. „კბილები დაკრიჭე“ იგივეა, რაც:**
ა) კბილები გამოაჩინე
ბ) კბილები გაიწმინდე

**7. „ჩემმა მზემა“ ნიშნავს:**
ა) დაფიცებას
ბ) შექებას

# რა ვიცით ტექსტის შესახებ

## 5. უპასუხე კითხვებს:

1. როგორ იწყება ქართული ზღაპრები?
2. გაიხსენე, როგორ იწყება ზაპრები სხვა ენებში.
3. როგორ ფიქრობ, რას ნიშნავს სიტყვები: „იყო და არა იყო რა“?
4. გაიხსენე, როგორ მთავრდება ზღაპრები სხვა ენებში.
5. როგორ ფიქრობ, რას ნიშნავს სიტყვები, რომლებითაც ხშირად ქართული ზღაპრები მთავრდება - „ჭირი იქა, ლხინი აქა,
   ქატო იქა, ფქვილი აქა“?

## 6. მაეცანი საინტერესო ფაქტს ზღაპრის შესახებ:

ქართული ზღაპრები ხშირად იწყება სიტყვებით **„იყო და არა იყო რა“**. ეს ნიშნავს, რომ ვიწყებთ ჯადოსნურ ამბავს, რომელიც შეიძლება რეალურიც იყოს და არარეალურიც; იყო - მაგრამ არ იყო; მოხდა, მაგრამ არ მოხდა.

ქართული ზღაპრის დასასრული „ჭირი იქა, ლხინი აქა; ქატო იქა, ფქვილი აქა“ ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა; ცუდი წავიდა და კარგი დარჩა.

**კომბლე**

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი. სოფელში ცხოვრობდა. სახელად კომბლეს ეძახდნენ. კომბლე იმიტომ ერქვა, რომ კომბლებს თლიდა და ჭერში აწყობდა.

კომბლეს ოთხი ცხვარი ჰყავდა. ცხვრები ყოველდღე მიდიოდნენ ტყეში საბალახოდ და საღამოს ისევ სახლში ბრუნდებოდნენ.

ერთხელ ცხვრებს მელია შემოხვდათ. მელიამ ჰკითხა:

- ცხვრებო, ცხვრებო, ვისი ხართო?

- კომბლესიო, - მიუგეს ცხვრებმა.

- კომბლე რა კაციაო?

- კომბლე ის კაცია, კომბლებსა თლის, ჭერში აწყობს, ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავში ჩასცხობსო.

- ოო, მეშინია თქვენი კომბლესიო, - თქვა მელიამ და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

იარეს ცხვრებმა, იარეს და ახლა დათვი შემოხვდათ.

- ცხვრებო, ვისი ხართო? - ჰკითხა დათვმა.

- ვისი და კომბლესიო.

- კომბლე რა კაციაო?

- კომბლე ის კაცია, კომბლებსა თლის, ჭერში აწყობს, ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავში ჩასცხობსო.

შეეშინდა დათვს და მანაც უკანმოუხედავად მოკურცხლა.

იარეს კიდევ ცხვრებმა, იარეს და ახლა მგელი შემოხვდათ.

- ცხვრებო, ვისი ხართო?

- ვისი და კომბლესიო.

- კომბლე რა კაციაო?

- კომბლე ის კაცია, კომბლებსა თლის, ჭერში აწყობს, ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავში ჩასცხობსო.

- მე თქვენი კომბლესი არ მეშინიაო, - უთხრა მგელმა და ოთხივე ცხვარი გადაყლაპა.

საღამოს უცადა კომბლემ თავის ცხვრებს, უცადა და რომ აღარ დაბრუნდნენ, ჩამოიღო ერთი ყველაზე დიდი კომბალი და წავიდა მათ მოსაძებნად.

იარა კომბლემ, იარა და შემოხვდა მელია.

- მელია, ჩემი ცხვრები ხომ არსად გინახავსო? - ჰკითხა კომბლემ.

- არა, ჩემმა მზემაო! - უპასუხა მელიამ.

- აბა კბილები დაკრიჭეო.

დაკრიჭა მელიამ კბილები და არ ჰქონდა ჩიჩია.

კომბლემ მელიას თავი დაანება და წავიდა. იარა, იარა და ახლა დათვი შემოხვდა.

- დათვო, ჩემი ცხვრები ხომ არ გინახავსო? - ჰკითხა კომბლემ.

- არა, ჩემმა მზემაო! - უპასუხა დათვმა.

- აბა კბილები დაკრიჭეო.

დაკრიჭა დათვმა კბილები და არ ჰქონდა ჩიჩია.

კომბლემ დათვსაც თავი დაანება და წავიდა. იარა, იარა და ბოლოს მგელი შემოხვდა.

- მგელო, ჩემი ცხვრები ხომ არ გინახავსო? - ჰკითხა კომბლემ.

- არა, ჩემმა მზემაო! - უპასუხა მგელმა.

- აბა კბილები დაკრიჭეო.

დაკრიჭა მგელმა კბილები კბილებში ჩიჩია ჰქონდა.

- აი, შე ღორმუცელა! - ჩასცხო და ჩასცხო კომბალი მგელს, ამოაყრევინა თავისი ცხვრები და წამოიყვანა სახლში.

ჭირი იქა, ლხინი აქა;

ქატო იქა, ფქვილი აქა.

## როგორ გავიგეთ ტექსტი

### 7. უპასუხე კითხვებს:

**1. ვინ იყო კომბლე?**

ა) კაცი, რომელმაც კომბალი გამოიგონა

ბ) კაცი, რომელიც კომბლებს თლიდა და ჭერში აწყობდა

**2. რა რჩევა მისცა კომბლემ ცხვრებს?**

ა) სახლში მალე უნდა დაბრუნებულიყვნენ.

ბ) გარეული ცხოველების შესაშინებლად კომბლეს სახელი ეხსენებინათ.

**3. რომელი ცხოველები შეაშინა კომბლეს სახელის ხსენებამ?**
ა) მგელი და მელია
ბ) მელია და დათვი

**4. მგელმა ოთხივე ცხვარი ცოცხალი გადაყლაპა იგივეა, რაც:**
ა) მგელმა ოთხივე ცხვარი ცოცხალი გაუშვა.
ბ) მგელმა ოთხივე ცხვარი ცოცხლად შეჭამა.

**5. რატომ გადაყლაპა მგელმა ცხვრები?**
ა) მშიერი იყო
ბ) კომბლეზე გაბრაზებული იყო

## 8. აღნიშნე, რომელია სწორი და არასწორი:

| | სწორი | არასწორი |
|---|---|---|
| კომბლე იყენებს ჭკუას თავისი ცხვრების დასაცავად | | |
| დათვს ეშინია კომბლესი | | |
| მგელს ეშინია კომბლესთან ბრძოლის | | |
| დათვი ფიზიკურად ძლიერი არ არის | | |
| მელია მოხერხებულია, იცის, როდის როგორ მოიქცეს | | |
| მგელს აქვს ფიზიკური ძალა, მაგრამ კომბლემ მასზე ჭკუით გაიმარჯვა. | | |



*თეკლა მაჭავარიანი, 13 წლის*

## ენა და ტექსტი

### 9. დააკვირდი უარყოფითი ნაწილაკების (აღარ, ვეღარ, ნუღარ) მნიშვნელობებს და შეავსე წინადადებები:

უარყოფითი ნაწილაკები:

**აღარ -** მეტად არ

**ვეღარ -** უკვე ვერ, მეტად ვერ

**ნუღარ -** მეტად ნუ, უკვე ნუ

*ნიმუში: ჩემმა მეგობარმა დამირეკა, სპექტაკლი გადაიდო, ...**აღარ**... მივდივართო.*

1. დღეს ......................... მივფრინავთ. ჩვენი რეისი გადაიდო.
2. ......................... წამოვალ სასეირნოდ, სამეცადინო მაქვს.
3. ......................... მისდევ შენს მეგობარს, ვერ დაეწევი.
4. ......................... გეშინია. არ იკბინება ეს ძაღლი,

### 10. შეარჩიე შესაბამისი უარყოფითი ნაწილაკი და შეავსე წინადადება:

აღარ / ვეღარ / ნუღარ

1. ........................... მინდა ამ თემაზე საუბარი.
2. ........................... იტყუები, ეს ამბავი უკვე ყველასთვის ცნობილია.
3. ........................... ვაპირებ კინოში წასვლას.
4. ........................... გავაგრძელებ გზას, დავიღალე.

5. ნიკო ................................ დაეწევა ავტობუსს.

6. ........................... გაიმეორებ, ამ შეცდომას.

7. მგელი ........................... მოახერხებს ცხვრის შეჭმას.

- ვინმეს/სხვისი ნათქვამი შეიძლება გადმოიცეს სიტყვასიტყვით, ფორმის შეცვლით, ფორმის შეუცვლელად.
- სიტყვასიტყვით გამეორებულ ნათქვამს **პირდაპირი ნათქვამი** ჰქვია. პირდაპირ ნათქვამს ხშირად დაერთვის ნაწილაკი **-მეთქი, -თქო, -ო.**
- **-მეთქი** და **-თქო** ნაწილაკები დეფისით გამოიყოფა, **-ო** ნაწილაკი კი სიტყვასთან ერთად იწერება.

**-მეთქი (მე ვთქვი)** გამოიყენება მაშინ, როცა მოსაუბრე უკვე ნათქვამს, ჩანაფიქრს, განზრახვას იმეორებს.

**-თქო (თქვა)** გადმოსცემს პირველი პირის დანაბარებ სიტყვას, რომელიც მეორე პირმა სხვას (მესამე პირს) უნდა გადასცეს.

**-ო** გამოიყენება III პირის ნათქვამის გადმოსაცემად.

მაგალითი:
1. *ხომ გითხარი, არ წახვიდე-**მეთქი.***
2. *ანას უთხარი, ხვალ ცეკვის გაკვეთილზე **მოდი-თქო.***
3. *დათვი: - კომბლე რა კაცია?*
   *დათვმა იკითხა, კომბლე რა კაცია**ო**?*

## 11. მოძებნე ტექსტში და ამოწერე „- თქო“ და „-ო“ ნაწილაკებიანი წინადადებები:

1. ................................................................................................................................
2. ................................................................................................................................
3. ................................................................................................................................
4. ................................................................................................................................

## 12. დაასრულე წინადადებები: -მეთქი, -თქო, -ო ნაწილაკების გამოყენებით:

1. მეგობარმა მითხრა, კინოში წავიდეთ............
2. გუშინ ხომ გითხარი, თბილი ტანსაცმელი წამოიღე............
3. უთხარი, დავალება დაწერე...........
4. ნუცა ამბობდა, ახალი კაბის ყიდვა მინდა............
5. უთხარი, გადაწყვიტე როდის წავიდეთ...........
6. ჩემს მეგობარს ვთხოვე, ხვალ საყიდლებზე გამომყევი...........

## 13. გამოიყენე სხვათა სიტყვის ნაწილაკები: -მეთქი, -თქო, -ო და დაწერე ნიმუშის მიხედვით:



*ნიმუში: ანამ გიოს უთხრა, სახლში .......მალე წავიდეთო........*

1. მასწავლებელმა ლუკას უთხრა ...............
2. გიო: ლილის ჰკითხე ................
3. ლილიმ გიოს უპასუხა: ხომ გითხარი, ექსკურსიაზე ხვალ .............

## ვმსჯელობთ ტექსტის შესახებ

**14. დაახასიათე ზღაპრის პერსონაჟები. რა თვისებებით გამოირჩევიან ისინი? შენი მოსაზრება გაამყარე არგუმენტირებული მსჯელობით.**

**მსჯელობისას შეგიძლია გამოიყენო ფრაზები:**

მე ვფიქრობ, კომბლე ჭკვიანია, რადგან...... / დათვი არის...... / ვფიქრობ, ცხვრები......

**15. გაიხსენე, რა რჩევა მიგიცია შენი მეგობრებისთვის. იმსჯელე, რატომ ფიქრობ, რომ ეს კარგი რჩევა იყო?**

**მსჯელობისას გამოიყენე ფრაზები:**

ერთხელ მეგობარს ვურჩიე, რომ ..........
ეს კარგი რჩევა იყო, რადგან .........
კარგი იქნებოდა .........
უკეთესია ........
ვუთხარი, რომ უმჯობესია ........
სჯობს ........

## წერითი დავალება:

**შეარჩიე პერსონაჟები და დაწერე პატარა ზღაპარი:**

ზღაპრის პერსონაჟები შეიძლება იყვნენ: ცხოველები, ფრინველები, ადამიანები, გამოგონილი გმირები...

ზღაპარი დაიწყე ისე, როგორც სხვა ქართულ ზღაპრები იწყება:

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................



*ნიკოლოზ ჭეიშვილი, 11 წლის*

# რწყილი და ჭიანჭველა

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. დააკავშირე ილუსტრაცია შესაბამის სახელთან:**







ყვავი

თაგვი

კატა

რწყილი

ძროხა

ჭიანჭველა







## 2. მიუწერე სურათს შესაბამისი სიტყვა:

1. რკო/რძე





2. ბალახი/ბაწარი





............................ ............................ ............................ ............................

3. რუ/ორმო





4. მუხა/ფეტვი





............................ ............................ ............................ ............................

## 3. დააკავშირე სიტყვა განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| ჯაგარი • | • იგივეა, რაც ბაწარი |
| ძმობილი • | • მარცვლოვანი მცენარე, რომელსაც საკვებად იყენებენ |
| თოკი • | • ქათამი, რომელსაც წიწილები ჰყავს (დედა ქათამი) |
| კრუხი • | • იგივეა, რაც ვინმესგან წასვლა, მოცილება |
| დათმობა • | • ვინმეს/რამის გამო უარის თქმა; უკან დახევა |
| ფეტვი • | • ძმასავით ახლო მეგობარი |

| | |
|---|---|
| მიადგნენ | წყალში ჩაძირვით სიკვდილი |
| დახრჩობა | იგივეა, რაც მომეცი |
| მომე | ვინმესთვის მიმართვა, რომ  რაიმე საქმეში დაეხმაროს |
| თხოვნა | იგივეა, რაც მივიდნენ |
| მოშორება | ღორის უხეში ბეწვი |
| აქეთ | მეორე მხარეს; იმ ადგილისკენ; იმ მიმართულებით |
| იქით | ამ მხარეს; ამ ადგილისკენ; იქ, სადაც მოლაპარაკე პირი იმყოფება |

## 4. მონიშნე მსგავსი მნიშვნელობის წინადადება:

**1. წიწილას მივგვრი ყვავსა:**
ა) წიწილას მივუყვან ყვავსა
ბ) წიწილას წამოვიყვან ყვავისგან.

**2. კატავ ეხსენ თაგვსა:**
ა) კატავ დაუმეგობრდი თაგვსა
ბ) კატავ ჩამოშორდი თაგვსა

**3. რწყილი და ჭიანჭველა წავიდნენ გზასა.**
ა) რწყილმა და ჭიანჭველამ სიარული დაიწყეს.
ბ) რწყილმა და ჭიანჭველამ შორი გზა გაიარეს.

**4. რწყილმა წყალში ისკუპა:**
ა) რწყილი წყალში ჩავარდა.
ბ) რწყილი წყალში ჩახტა.

# რა ვიცით თემის შესახებ:

## 5. იცი, რომორ ხდება თოკის/ბაწრის დამრეხა?

## ვკითხულობთ ტექსტს:

**რწყილი და ჭიანჭველა**



*ნაწილი 1.*

რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ,

წავიდნენ გზასა. მიადგნენ ერთ რუს.

რწყილმა უთხრა ჭიანჭველას:

- მე გადავხტები და შენ რა გეშველებაო?

- მეც გადავხტებიო - უთხრა ჭიანჭველამ.

რწყილმა ისკუპა და გადახტა; ჭიანჭველამ ისკუპა და წყალში ჩავარდა. შეეხვეწა რწყილს:

- ძმობილო, მიშველე, ნუ დამახრჩობ!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ღორთან და სთხოვა:

- ღორო მომე ჯაგარი,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

ღორმა უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის რკო არ მოგიტანიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა მუხასთან და სთხოვა:

- მუხავ მომე რკო,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

**უპასუხე შეკითხვებს:**

1. **რატომ ჩავარდა ჭიანჭველა წყალში?**
2. **რატომ მივიდა რწყილი ღორთან?**
3. **რისთვის სჭირდებოდა რწყილს ჯაგარი?**
4. **სად გააგზავნა რწყილი ღორმა?**
5. **რომელ ხეზე ვიპოვით რკოს?**
6. **რისთვის უნდოდა ღორს რკო?**



*ნაწილი 2.*

მუხამ უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის ყვავი არ მოგიშორებიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ყვავთან და სთხოვა:

- ყვავო, ეხსენ მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

ყვავმა უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის წიწილა არ მოგიყვანიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კრუხთან და სთხოვა:

- კრუხო მომე წიწილი,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დათმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

კრუხმა უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის ფეტვი არ მოგიტანიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ორმოსთან და სთხოვა:

- ორმოვ, მომე ფეტვი,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დათმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

**უპასუხე შეკითხვებს:**

1. **რატომ უნდოდა მუხას ყვავის მოშორება?**
2. **რის მოყვანა ითხოვა ყვავმა?**
3. **რა ჰქვია წიწილას დედას?**
4. **რა არის ქათმების საკვები?**



*ნაწილი 3.*

ორმომ უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის თაგვი არ მოგიშორებიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა თაგვთან და სთხოვა:

- თაგვო, ეხსენ ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დათმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.



თაგვმა უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის კატა არ მოგიშორებიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კატასთან და სთხოვა:

- კატავ ეხსენ თაგვსა,
თაგვი დათმობს ორმოსა,

ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დათმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

კატამ უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის რძე არ მოგიტანიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ძროხასთან და სთხოვა:

- ძროხავ, მომე რძე,
რძეს მივუტან კატასა,
კატა დათმობს თაგვსა,
თაგვი დათმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

**უპასუხე კითხვებს:**

1. **ქათმის გარდა, კიდევ რა ჭამდა ფეტვს?**
2. **რატომ უნდოდა ორმოს თაგვის მოშორება?**
3. **ვისთვის უნდა  მიეტანა რძე რწყილს?**



*ნაწილი 4.*

ძროხამ უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის ბალახი არ მოგიტანიაო!

რწყილი წავიდა, დაგლიჯა მინდორში ბალახი და ძროხას მიუტანა.

ძროხამ მისცა რძე, რძე მიუტანა კატასა, კატა დაეხსნა თაგვსა, თაგვი მოშორდა

ორმოსა, ორმომ მისცა ფეტვი, ფეტვი მიუტანა კრუხსა, კრუხმა მისცა წიწილა, წიწილა მიჰგვარა ყვავსა, ყვავი დაეხსნა მუხასა, მუხამ მისცა რკო, რკო მიუტანა ღორსა, ღორმა მისცა ჯაგარი, რწყილმა ბაწარი დაგრიხა  და ჩაუგდო წყალში ჭიანჭველას, რომელიც ბალახს მოსჭიდებოდა. ჭიანჭველა ბაწარზე შეჯდა, რწყილმა ბაწარი გამოსწია, ჭიანჭველა ნაპირზე გამოიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა. მერე ისევ ძმურად გაუდგნენ გზასა.

**უპასუხე კითხვებს:**

1. **რა გაატანა ძროხამ რწყილს?**
2. **რა მოითხოვა ძროხამ?**
3. **როგორ გადაარჩინა რწყილმა ჭიანჭველა?**
4. **რას გვასწავლის ჭიანჭველას მოქმედება?**

## როგორ გავიგეთ ტექსტი

**7. აღნიშნე, რომელია სწორი და არასწორი:**

| | სწორი | არასწორი |
|---|---|---|
| რწყილმა ჭიანჭველას დასახმარებლად გრძელი და რთული გზა გაიარა. | | |
| რწყილი ერთგული მეგობარია. | | |
| ღორი დაეხმარა ჭიანჭველას, როგორც კი მისი ამბავი გაიგო. | | |
| კატას რძე ჭიანჭველას დასახმარებლად სჭირდებოდა. | | |
| ზღაპარი გვასწავლის, რომ აუცილებელი არ არის ერთმანეთის დახმარება. | | |
| რწყილმა ჭიანჭველასთვის ყველაფერი გააკეთა. | | |

**8. დაალაგე სწორი თანმიმდევრობით, ვისთან მივიდა დახმარების სათხოვნელად რწყილი:**




## ენა და ტექსტი

ქართულ ენაში 15 ზმნისწინია.
მარტივი ზმნისწინებია: მი, მო, ა, და, ჩა, შე, გა, გადა, წა.
რთული ზმნისწინებია: გადა, ამო, ჩამო, შემო, გამო, გადმო, წამო.

**9. დააკვირდი, რა მიმართულებას გამოხატავს ზმნისწინი და დააკავშირე ილუსტრაციასთან:**



წავიდა



ჩავარდა

ახტა



გადახტა





მივიდა



დახტა

მიუტანა



ჩაუგდო



## 10. ზღაპარში იპოვე ზმნისწინიანი წინადადებები და ამოწერე:

***ნიმუში:*** *რწყილმა ისკუპა და გადახტა.*

1. ..........................................................................................................................
2. ..........................................................................................................................
3. ..........................................................................................................................
4. ..........................................................................................................................
5. ..........................................................................................................................

## 11. დააკავშირე საპირისპირო მნიშვნელობის ფორმები:

| | | | |
|---|---|---|---|
| **წა**ვიდა | • | • | **და**ხტა |
| **გადა**ხტა | • | • | **გადმო**ხტა |
| **ა**ხტა | • | • | **გადმო**ვიდა |
| **მი**ვუტან | • | • | **მო**ვიდა |
| **გადა**ვიდა | • | • | **მო**ვუტან |

## 12. გაანაწილე ცხრილში სიტყვები მიმართულების მიხედვით:

წავიდა / ავიდა / მოდის / მოვიდა / ჩამოვიდა / მიდის / ჩავარდა / ახტა / დახტა.

| მოძრაობა იქით | მოძრაობა აქეთ | ზევიდან ქვევით | ქვევიდან ზევით |
|---|---|---|---|
| | | | |

## 13. შეარჩიე და ჩასვი წინადადებაში შესაბამისი სიტყვა: სთხოვა/მთხოვა.

*ნიმუში: ბავშვმა **დას** ნაყინის ყიდვა **სთხოვა***
*ბავშვმა ნაყინის ყიდვა **(მე) მთხოვა.***

1. ბავშვმა ............................. დას, სკოლისთვის რვეულები მიყიდეო.
2. ჩემმა კლასელმა ............................. , რომ დავალების დაწერაში დავეხმარო.
3. მეგობარმა ............................. , კაბის საყიდლად გამომყევიო.
4. ბექამ ანას ნამცხვრის გამოცხობა ............................. .
5. მზიამ მეზობელს მანქანის გაკეთებაში დახმარება ............................. .

## 14. დაასრულე სიტყვები; გამოიყენე თანდებულები: -თან, -თვის

*ნიმუში:*
*- რწყილი ახტა, დახტა და მივიდა ღორ..თან..*
*- ღორმა უთხრა: - შენ რომ ჩემ..თვის.. რკო არ მოგიტანიაო!*

1. მოიძიე საქართველოზე ინფორმაცია გაკვეთილი...... .
2. ჭიანჭველა გადარჩენის...... დიდხანს იბრძოდა.
3. მეგობარ...... მივედი, რომ დახმარება მეთხოვა.
4. გოგოს...... ახლოს პატარა ძაღლი დგას.
5. მეგობრის...... საჩუქარი ვიყიდეთ.
6. გიორგის..... ერთად ხშირად ვმოგზაურობ.
7. სწავლას..... დაკავშირებით რამდენიმე შეკითხვა მაქვს.
8. რწყილს ძროხას..... ბალახი მიჰქონდა.

## 15. შეარჩიე და ჩასვი წინადადებაში შესაბამისი სიტყვა:

*ნიმუში: მოაქვს/მოჰყავს*
*ქალს ჩანთით ვაშლები ...მოაქვს...*
*ქალს პატარა ძაღლი ...მოჰყავს...*

**მოაქვს / მოჰყავს**

1. დღეს ჩემთვის მეგობარს ქართული ენის წიგნები ........................ .
2. მარიამს ჩვენთვის ტკბილეული ხშირად ........................ .
3. ჩემს კლასელს ექსკურსიაზე თავისი ძმაც ........................ .
4. თეატრში ანას თავისი მეგობარი ........................ .

**მოტანა / მოყვანა**

1. დღეს სახლში პურის ........................ არ დაგავიწყდეს!
2. შემიძლია წარმოდგენაზე მეგობრის ........................ ?
3. ჩემი ძმისთვის პატარა ლეკვის ........................ მინდა.
4. ტორტის ........................ მინდა. ბავშვები სახლში არიან?

**წაღება / წაყვანა**

1. არ შემიძლია ამ ჩანთის ........................ . ძალიან მძიმეა.
2. ზოოპარკში მინდა ბავშვების ........................ .
3. დიდი ხანია მინდა მეგობრისთვის წიგნების ........................ .
4. აუცილებელია ჩემი ძაღლის ექიმთან ........................ .

## ვმსჯელობთ ტექსტის შესახებ

**16. გაიხსენე ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“; შემდეგ უყურე ანიმაციას და იმსჯელე, როგორი მეგობარია რწყილი ჭიანჭველასთვის:**

„რწყილი და ჭიანჭველა“
მსჯელობისას შეგიძლია გამოიყენო შემდეგი ფრაზები:

ვფიქრობ, რწყილი ჭიანჭველასთვის .........
რომ არ მოქცეულიყო რწყილი ასე .........
მეგობრის დასახმარებლად ........
ასე იმიტომ მგონია, რომ ........
ჭიანჭველას დაეხმარა ........

**17. გაიხსენე და დაწერე, შენ ვის დაეხმარე და როგორ:**

მსჯელობისას შეგიძლია გამოიყენო შემდეგი ფრაზები:

ერთხელ მე დავეხმარე... / მახსოვს, როგორ... / ჩემი დახმარება სჭირდებოდა... /
მე რომ არ დავხმარებოდი...........

## წერითი დავალება

### 18. დაახასიათე ზღაპრის რამდენიმე პერსონაჟი და შეადარე ისინი რწყილს:

წერისას შეგიძლია გამოიყენო შემდეგი ფრაზები:

სხვა პერსონაჟები ფიქრობდნენ ... / მაგალითად, ერთ-ერთი პერსონაჟი ... (სახელი) ... არ დაეხმარა, სანამ ... / ამ პერსონაჟთან შედარებით რწყილი ... / შეიძლება ვერ გადაერჩინა ჭიანჭველა თუ ... / ამას გავაკეთებ თუ მომიტან ...

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

........................................................................................................................................

# გართობის დრო

## აბა, ვინ გამოიცნობს:

1. ერთი რამე სულიერი,
მიწა-მიწა მძრომელია,
მეფისა და დედოფლისა
თავზე წამომჯდომელია,
სამჯერ გითხარ მის სახელი,
აბა, მითხარ რომელია?

ა) გველი;
ბ) მელია;
გ) მეფე.

2. ერთი კირსახოცი მაქვს,
ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე.

ა) გზა;
ბ) წყალი;
გ) თოკი.

5. ჭაღარა ვარ, უჩინარი[1],
ყველასათვის უწყინარი[2],
ჩემი სტვენა ყველას მოსწონს,
ღარიბია თუ მდიდარი.

ა) ყვავი;
ბ) ბულბული;
გ) არწივი.

3. წვერულვაშიანი ვინ იბადება?

ა) ადამიანი;
ბ) თხა;
გ) კუ.

4. ალი არა აქვს,
ცეცხლი არ არის,
ხელ-ფეხს კი დამწვავს,
ნეტა რა არის?

ა) გაზქურა;
ბ) ასანთი;
გ) ყინული.

[1] უჩინარი – რაც ან ვინც არ ჩანს
[2] უწყინარი – ის, ვინც არავის აწყენინებს

## რას გვასწავლის ანდაზა

- წაიკითხე ქვემოთ მოცემული ანდაზები;
- აირჩიე ერთი, რომელიც მოგეწონება;
- ისაუბრე, რატომ აირჩიე ეს ანდაზა;
- რას გვასწავლის ეს ანდაზა?
- მოიფიქრე რაიმე ამბავი ამ ანდაზის შესახებ.

1. ფეხი იქამდე გაშალე, სადამდეც საბანი გაგწვდება.
2. ქარის მოტანილს ქარივე წაიღებს.
3. ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონს.
4. შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო.

o ______________________________

o ______________________________

o ______________________________

o ______________________________



მარიამ ჭიჭეიშვილი, 12 წლის

## თამაშის დროა:

**სიტყვობანა**

- მოთამაშეები ასახელებენ ანბანის ერთ ასოს;
- შესაძლებელია, ერთმა დაიწყოს ქართული ანბანის ზეპირად წარმოთქმა და მეორემ გააჩეროს რომელიმე ასოზე;
- რომელ ასოზეც გაჩერდებიან, იმ ასოზე დაწყებული სიტყვები უნდა დაასახელონ რიგრიგობით;
- მოთამაშეები წინასწარ თანხმდებიან, რა სიტყვები უნდა დაასახელონ – მხოლოდ არსებითი სახელები თუ სხვა მეტყველების ნაწილებიც, მაგალითად, ზმნები ან ზედსართავი სახელები;



*ანაბელ ტყეშელაშვილი, 9 წლის*



მარიამ ალფაიძე, 8 წლის



არტაშეს ღალეჩიან, 14 წლის



ამინა ამერიძე, 8 წლის

o ________________________

o ________________________

# 7

# ქართული ანიმაცია



*მარიამ ჭეიშვილი, 9 წლის*

# წუნა და წრუწუნა

## ლექსიკაზე მუშაობა

**1. მიუწერე სურათს შესაბამისი სიტყვა: ქვევრი, წისქვილი, ტივი, მჭედელი.**









................................. ................................. ................................. .................................

**2. დააკავშირე მსგავსი სიტყვები:**

| | |
|---|---|
| გულადი • | • ლამაზი |
| უშველებელი • | • ასაკოვანი |
| კოხტა • | • მამაცი |
| ხანდაზმული • | • უიმედო |
| გაუჯავრდა • | • შეშინებული |
| თავზარდაცემული • | • უზარმაზარი |
| სასოწარკვეთილი • | • გაბრაზებული |
| გაცხარებული • | • გაუბრაზდა |

## 3. წაიკითხე სიტყვა და დააკავშირე განმარტებასთან:

| | |
|---|---|
| მოციქული • | • ვინც მხარს უჭერს; ვისაც გული შესტკივა. |
| გულშემატკივარი • | • ვინც თამაშობს |
| მოთამაშე • | • ამბის შესატყობინებლად ან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი; ელჩი. |
| მოქეიფე • | • ადგილი, სადაც იმალებიან. |
| სამალავი • | • ვინც ქეიფობს (სუფრასთან ზის და მხიარულობს). |

## რა ვიცით თემის შესახებ

## 4. თუ გინახავს ქართული ანიმაციური ფილმი? რომელი? გაიხსენე და ისაუბრე, რა მოგეწონა ყველაზე მეტად (პერსონაჟი, მუსიკა, ამბავი, გახმოვანება...)

## 5. ეს საინტერესოა

**ლელობურთი**



„ლელობურთი შუხუთში"

**ლელობურთი** — ქართული ეროვნული სპორტის სახეობა, ტრადიციის სახით შემორჩენილია გურიაში. თამაშობენ ფეხბურთის მინდორზე, რომელსაც არ აქვს კარი. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც უფრო მეტჯერ გადააცილებს ან გადაიტანს ბურთს ხელით ან ფეხით მოწინააღმდეგის ხაზს იქით (ჰაერში ან მიწაზე).

**ლელოს გატანა** — გამარჯვება, მიზნის მიღწევა: ძველად, საქართველოში, ბურთის მოთამაშენი მოედანზე ორად იყოფოდნენ: მოედნის ორივე ბოლო ლელოებად ითვლებოდა. რომელი მხარეც ლელოს გადააცილებდა ბურთს, გამარჯვებულიც ის იყო და იტყოდნენ ხოლმე: „ლელო გაიტანაო".

## ვკითხულობთ ტექსტს

### 6. წაიკითხე ტექსტის პირველი ნაწილი:

შემოდგომის თბილი დღე იყო. თაგვები ლელობურთს თამაშობდნენ. **უშველებელ** კაკალს ხან აქეთ ისროდნენ და ხან იქით. დიდი **ჟრიამული** იდგა. მაყურებელი **შეძახილებით ამხნევებდა** თავის გუნდს.

ბებერი ბატონი თავისი სასახლის აივნიდან **ადევნებდა თვალს** თამაშს.

ყველას **გულადმა** წრუწუნამ აჯობა, მოიტაცა კაკალი და **წინ გაიჭრა**. მოთამაშეები უკან დაედევნენ გაქცეულს.

წუნა სხვებთან ერთად დიდი კაკლის ქვეშ იდგა და **გულისფანცქალით** ელოდა, რა მოხდებოდა.

წრუწუნამ **ლელო გაიტანა**. **გულშემატკივრები** გამარჯვებულს შემოეხვივნენ, ხელში აიტაცეს, ულოცავდნენ, აქებდნენ.

დამარცხებულები დაღონდნენ.

წრუწუნამ კაკალი წუნას მიართვა.

---

**სიტყვების კალათა**

**ჟრიამული** - მხიარულების გამომხატველი ხმაური

**თვალს ადევნებდა** - უყურებდა

**შეძახილებით ამხნევებდა** - ხმამაღლა ეძახდა გასამხნევებლად (გასაძლიერებლად)

**წინ გაიჭრა** - წინ სწრაფად გაიქცა.

**გულისფანცქალით** - აღელვებული (როცა გული ძლიერად გიცემს)

## 7. უპასუხე კითხვებს:

**1. რას თამაშობდნენ თაგვები?**
ა) დამალობანას; ბ) ფეხბურთს; გ) ლელობურთს; დ) კალათბურთს.

**2. რას აკეთებდა ბებერი ბატონი?**
ა) ლელოს თამაშობდა; ბ) უყურებდა თამაშს; გ) იწვა და ეძინა; დ) სადილობდა.

**3. რას აკეთებდა მაყურებელი?**
ა) უინტერესოდ უყურებდა თამაშს; ბ) შეძახილებით ამხნევებდა თავის გუნდს.

**4. ვის მიართვა კაკალი წრუწუნამ?**
ა) წუნას; ბ) ბატონს; გ) მშობლებს; დ) მეგობრებს.

## 8. უყურე ანიმაციას დასაწყისიდან 2.28 წთ.-მდე

[„ქართული მულტფილმები | წუნა და წრუწუნა“]

## 9. შეურჩიე ეპიზოდს სათაური: (თაგვების ლელობურთი; წრუწუნების გართობა; ქრიამული სათამგვეთში; წრუწუნას საჩუქარი; ლელობურთის ჩემპიონი...)

## 10. გააგრძელე კითხვა:

ბატონმა წუნას დანახვაზე **თვალები დააჭყიტა**, ეს რა **კოხტა** ვინმე ყოფილაო და  და მსახურს უბრძანა, ის ლამაზი  თაგუნა აქ **მომგვარეთო**.

წუნამ და წრუწუნამ ხელი ხელს ჩაჰკიდეს და **წისქვილისკენ** წავიდნენ. წრუწუნამ წუნას ცოლობა სთხოვა. წუნამ თანხმობის ნიშნად თავი ნაზად დახარა.

მშობლებმა და ახლობლებმა დიდად გაიხარეს წუნას და წრუწუნას ბედნიერებით.

გაიმართა ქორწილი.

ბატონმა ეს რომ შეიტყო, გაბრაზდა და წუნას მოყვანა ბრძანა.

გაიქცნენ მსახურები, **მოქეიფეებს** მიეპარნენ და კატასავით დაიკნავლეს. **თავზარდაცემული** თაგვები **ფაცხაფუცხით** გაიფანტნენ. წუნას **გული შეუღონდა.**

წრუწუნამ ხელში აიტაცა პატარძალი და გაიქცა, მაგრამ წინ ბატონის მსახურები დახვდნენ და წუნა  ხელიდან გამოსტაცეს, წრუწუნა კი **ქვევრში** ჩააგდეს.

როცა **აურზაური** მიწყნარდა, თაგვები **სამალავიდან** გამოძვრნენ და მეგობრის დასახმარებლად მიცვივდნენ. ქვევრში კუდებით ჩაეკიდნენ და წრუწუნა ზევით ამოიყვანეს.

მშვენიერი წუნა მსახურებმა ბებერ ბატონს **მიჰგვარეს.**

---

**სიტყვების კალათა**

**თვალები დააჭყიტა -** გაოცებისგან თვალები ფართოდ გაახილა

**მომგვარეთ -** მომიყვანეთ

**ფაცხაფუცხით -** ძალიან სწრაფად

**გული შეუღონდა -** ცუდად გახდა, გრძნობა დაკარგა.

**აურზაური -** არეულობა

## 11. უპასუხე კითხვებს:

**1. რა უბრძანა ბატონმა მსახურებს?**

ა) წრუწუნას გაგდება; ბ) წუნას მოყვანა; გ) კაკლის მოტანა; დ) მოთამაშეთა დასჯა.

**2. რა გააკეთეს  მსახურებმა წუნას მოსატაცებლად?**

ა) კატასავით დაიკნავლეს და მოქეიფეები შეაშინეს; ბ) მოქეიფეებს თავს დაესხნენ და შეებრძოლნენ.

**3. სად ჩააგდეს მსახურებმა წრუწუნა?**

ა) მდინარეში; ბ) თასში; გ) ქვევრში; დ) კალათში.

**4. როგორ ამოიყვანეს თაგვებმა წრუწუნა ქვევრიდან?**

ა) ქვევრში კუდებით ჩაეკიდნენ და ამოიყვანეს; ბ) ქვევრში კიბე ჩაუშვეს და ამოიყვანეს.

## 12. უყურე ანიმაციას 2.28 - 9.00 წთ.

„ქართული მულტფილმები | წუნა და წრუწუნა“

## 13. შეურჩიე ეპიზოდს სათაური (წუნას და წრუწუნას ქორწილი; „კატა“ ქორწილში; წუნას მოტაცება; ქვევრში ჩამდებული ნეფე. ..)

## 14. ივარაუდე, რა მოხდება შემდეგ? როგორ ფიქრობ, შეძლებს წრუწუნა წუნას დაბრუნებას? როგორ მოახერხებს ამას? შეარჩიე რომელიმე ვარიანტი:

ა) წრუწუნა მარტო წავა ბატონთან და შეებრძოლება;
ბ) წრუწუნა თხოვნით მიმართავს ბატონს და ისიც დაუბრუნებს წუნას;
ბ) წრუწუნას მისი მეგობრები დაეხმარებიან;
დ) სხვა...

## 15. წაიკითხე ტექსტის შემდეგი ნაწილი:

**სასოწარკვეთილ** წრუწუნას თავისი ქალაქელი მეგობარი, **მჭედელი** ფიცხელა მოაგონდა და მასთან დახმარების სათხოვნელად გაიქცა.

ფიცხელა მეგობარს დაჰპირდა, შენს საცოლეს ხვალვე ჩაგაბარებო.

იმ ღამეს ფიცხელამ და მისმა მეგობრებმა წრუწუნა **ტივზე** მიიწვიეს და **ქეიფით** ცდილობდნენ მის გართობას. **განთიადისას** კი ყველანი ბატონის სასახლის წინ იდგნენ და წუნას უმღეროდნენ.

ბატონს სიმღერა შემოესმა და **გაცხარებული** აივანზე გავარდა.

ერთი **ხანდაზმული** სტუმარი წინ წამოდგა და თავაზიანად მიმართ მას: - ამაღამ ქორწილი გვაქვს და წრუწუნას საცოლე გაათავისუფლეო.

ბატონი **აღშფოთდა** - ეს როგორ გამიბედესო და მისი გაგდება ბრძანა. მსახურებმა **მოციქული პანღურით** გააგდეს.

**სიტყვების კალათა**

**განთიადი** - დღის დასაწყისი
**აღშფოთდა** - გაბრაზდა
**პანღური** - უკნიდან ფეხის ამოკვრა

## 16. უპასუხე კითხვებს:

**1. ვის მიმართა დასახმარებლად წრუწუნამ?**

ა) თავის მშობლებს; ბ) თავის ქალაქელ მეგობარს; გ) ქორწილის სტუმრებს; დ) მეზობლებს.

**2. სად მიიწვიეს საქეიფოდ ფიცხელამ და მისმა მეგობრებმა წრუწუნა?**

ა) თავიანთ სოროში; ბ) ტივზე; გ) ტყეში; დ) სასადილოში.

**3. რა გააკეთეს მეორე დილით ფიცხელამ და მისმა მეგობრებმა?**

ა) სასახლესთან მივიდნენ და წუნას უმღერეს; ბ) წუნას ყვავილები მიართვეს; გ) წუნას წერილი გაუგზავნეს; დ) წუნასთან შეიპარნენ.

**4. როგორ მოექცნენ ხანდაზმულ სტუმარს ბატონის ბრძანებით?**

ა) თავაზიანად შეიპატიჟეს; ბ) პანღურით გააგდეს; გ) თხოვნა შეუსრულეს; დ) ღვინო მიართვეს.

## 17. უყურე ანიმაციას: 9.00 - 15.50 წთ.

[„ქართული მულტფილმები | წუნა და წრუწუნა“]()

## 18. შეურჩიე ეპიზოდს სათაური (ფიცხელას დაპირება; ბატონის პანღური; სასოწარკვეთილი წრუწუნა...)

## 19. ივარაუდე, რა მოხდება შემდეგ:

ა) წრუწუნა სახლში დაბრუნდება წუნას გარეშე;
ბ) ფიცხელა დაეხმარება წრუწუნას და ბატონს წუნას მოსტაცებენ;
გ) სხვა...

## 20. წაიკითხე, როგორ დასრულდა ამბავი:

გაბრაზდა ფიცხელა, ბატონს თვითონ ეწვია და პატარძლის დაბრუნება მოსთხოვა.

ბატონმა მსახურებს უბრძანა, **დაუპატიჟებელი სტუმარი** სახლიდან გააგდეთო.

მთელმა სოფელმა სასახლესთან **მოიყარა თავი**.

- წუნა დამალეთ, ბიჭებს დაუძახეთ! - დაიღრიალა შეშინებულმა ბატონმა.

წრუწუნა და ფიცხელა თავიანთი რაზმით სასახლეში შეიჭრნენ.

დაიწყო **ხელჩართული ბრძოლა**. თაგვებმა პატარძალი გაათავისუფლეს და სიმღერით წამოიყვანეს. ბატონი და მისი მსახურები კი **სამაგალითოდ დასაჯეს.**

---

**სიტყვების კალათა**
**დაუპატიჟებელი სტუმარი** - ვინც მიწვევის გარეშე მივიდა სტუმრად
**მოიყარა თავი** - მოგროვდა
**ხელჩართული ბრძოლა** - ერთმანეთის პირისპირ, (უშუალო შეხებით) გამართული ჩხუბი
**სამაგალითოდ** - სხვებისთვის მაგალითის მისაცემად

## 21. უპასუხე კითხვებს:

**1. როგორ მოიქცა ფიცხელა?**
ა) იმედი დაკარგა და სახლში დაბრუნება ურჩია წრუწუნას;
ბ) გაბრაზდა, თავად ეწვია ბატონს და დაემუქრა.

**2. როგორ იხსნეს თაგვებმა წუნა ტყვეობიდან?**
ა) ბატონს და მის მსახურებს შეებრძოლნენ და წუნა გამოსტაცეს;
ბ) ღამით ჩუმად შეიპარნენ სასახლეში და წუნას კარი გაუღეს.

**3. როგორ მოექცნენ თაგვები ბატონს და მის მსახურებს?**

ა) ქორწილში დაპატიჟეს;

ბ) სამაგალითოდ დასაჯეს;

ბ) ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს;

დ) გაათავისუფლეს.

## 22. უყურე ანიმაციას: 15.50 წთ.-დან - ბოლომდე

„ქართული მულტფილმები | წუნა და წრუწუნა“

## 23. შეურჩიე ეპიზოდს სათური (წუნას გათავისუფლება; მეგობრების დახმარება; ჩინებული ქორწილი...)



*ელენა მეფარიშვილი, 8 წლის*

**24. სურათის მიხედვით გამოიცანი ეპიზოდი და მიუწერე შესაბამისი ნომერი, შეგიძლია ნახატები გააფერადო:**

ა) *თაგვებმა ქორწილი გამართეს - N4*

ბ) წრუწუნამ წუნას კაკალი მიართვა - ..........
გ) წუნა ბატონმა დაატყვევა - ..........
დ) წრუწუნამ წუნას ცოლობა სთხოვა - ..........


1


2


3


4

# როგორ გავიგეთ ტექსტი

**25. დააკავშირე სიტყვები და შეადგინე წინადადებები მიღებული ფრაზების გამოყენებით:**

| | |
|---|---|
| შეძახილებით • | • დასაჯეს |
| სამაგალითოდ • | • ამხნევებდა |
| გულისფანცქალით • | • გაიფანტნენ |
| ფაცხაფუცხით • | • მიმართა |
| პანღურით • | • ელოდა |
| თავაზიანად • | • გააგდეს |

**26. გაიხსენე მთლიანი ტექსტი და დაალაგე მოვლენები თანმიმდევრობით:**

1 წრუწუნამ ლელობურთში გაიმარჯვა.
.... თაგვებმა ქორწილი გამართეს.
.... წრუწუნამ კაკალი წუნას მიართვა.
.... წრუწუნამ ფიცხელას სთხოვა დახმარება.
.... თაგვებმა წრუწუნა ქვევრიდან ამოიყვანეს.
.... წრუწუნამ წუნას ცოლობა სთხოვა.
.... ბატონმა ქორწილიდან წუნას მოტაცება ბრძანა.
.... მსახურებმა წრუწუნა ქვევრში ჩააგდეს.
.... მსახურებმა წუნა ბატონს მიჰგვარეს.
10 თაგვებმა წუნა გაათავისუფლეს.

## ენა და ტექსტი

**27. დააკვირდი, რა მიმართულებას გამოხატავს ზმნისწინი და დააკავშირე მნიშვნელობასთან:**



მიდის



მოდის



შედის



გადის



ადის



ჩადის

| | |
|---|---|
| გადის • | • იქით |
| მოდის • | • აქეთ |
| შედის • | • შიგნით |
| ჩადის • | • გარეთ |
| ადის • | • მაღლა |
| მიდის • | • დაბლა |

## 28. დააკავშირე სურათი წინადადებასთან:







- გადადის ხიდზე
- მიდის ყანისკენ
- ადის გორაკზე

## 29. მიუწერე სურათს შესაბამისი წინადადება:

*წრუწუნა სოროდან ამოვიდა; წრუწუნა სოროში ჩავიდა.*





........................................................................ ........................................................................

## 30. დააკავშირე საპირისპირო სიტყვები:

| | |
|---|---|
| გადავიდა • | • გავიდა |
| ავიდა • | • გადმოვიდა |
| შევიდა • | • მივიდა |
| მოვიდა • | • ჩავიდა |

- შეადგინე წინადადებები, გამოიყენე სიტყვები: ოთახში/ოთახიდან, ხიდზე/ხიდიდან, კიბეზე/კიბიდან.

## 31. გახაზე ზმნისწინიანი ფორმები, შემდეგ კი გაანაწილე ცხრილში:

1. თაგვებმა გამარჯვებული ხელში აიტაცეს.
2. ბატონმა მსახურს უბრძანა, ის ლამაზი თაგუნა აქ მომგვარეთო.
3. წუნა და წრუწუნა წისქვილისკენ წავიდნენ.
4. წუნამ თანხმობის ნიშნად თავი ნაზად დახარა.
5. მსახურები მოქეიფეებს მიეპარნენ.
6. ბატონი აივანზე გამოვიდა.
7. მსახურებმა წრუწუნა ქვევრში ჩააგდეს.
8. თაგვები სამალავიდან გამოძვრნენ.
9. მოციქული ბატონთან შევიდა.
10. ფიცხელას რაზმი სასახლეში შეიჭრა.
11. თაგვებმა პატარძალი სიმღერით წამოიყვანეს.
12. თაგვები ქვევრში კუდებით ჩაეკიდნენ და წრუწუნა ზევით ამოიყვანეს.

| იქით | აქეთ | მაღლა | დაბლა | შიგნით | გარეთ |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |

## 32. დაასრულე სიტყვები, გამოიყენე თანდებულები: -ზე, -თან, -კენ, -დან, -ში.

1. წუნა და წრუწუნა წისქვილის....... გაიქცნენ.
2. ბატონის მსახურებმა წრუწუნა ქვევრ....... ჩააგდეს.
3. თაგვები სამალავი....... გამოვიდნენ.
4. მეგობრებმა წრუწუნა ქვევრი....... ამოიყვანეს.
5. ფიცხელა ბატონ....... მივიდა.
6. მოციქული სასახლის კიბე....... ავიდა.
7. მსახურებმა მოციქული კიბი....... ჩამოაგდეს.
8. გაცხარებული ბატონი აივან....... გავარდა.
9. თაგვები სასახლე....... შეიჭრნენ.
10. მეგობრებმა წრუწუნა ტივ....... მიიწვიეს.

## 33. დააკვირდი და აწარმოე მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები ნიმუშის მიხედვით:

| **ის მას მიეპარა** | **ისინი მას მიეპარნენ** |
|---|---|
| ის შეიჭრა | ისინი .............................. |
| ის მას .............................. | ისინი მას დაეხმარნენ |
| ის წავიდა | ისინი .............................. |
| ის მას .............................. | ისინი მას დაედევნნენ |
| ის მას დახვდა | ისინი მას .............................. |
| ის .............................. | ისინი ჩაეკიდნენ |
| ის გამოძვრა | ისინი .............................. |

| **მან ის გააგდო** | **მათ ის გააგდეს** |
|---|---|
| მან ის დასაჯა | მათ ის .............................. |
| მან ის .............................. | მათ ის იხსნეს |
| მან ის ამოიყვანა | მათ ის .............................. |
| მან .............................. | მათ გაიხარეს |
| მან მას უმღერა | მათ მას .............................. |
| მან ის .............................. | მათ ის მიიწვიეს |
| მან მას ის მიჰგვარა | მათ მას ის .............................. |

## 34. გამოიყენე ცხრილი და დაასრულე ზმნები:

როცა აურზაური მიწყნარდა, თაგვები სამალავიდან გამოძვრ..... და მეგობრის დასახმარებლად მიცვივდ..... . ქვევრში კუდებით ჩაეკიდ....... და წრუწუნა ზევით ამოიყვან..... .
მშვენიერი წუნა მსახურებმა ბებერ თავადს მიჰგვარ..... .

## 35. გაასწორე შეცდომები და გადაიწერე სწორად:

1. შემოდგომის თბილი დღე იყო. თაგვები ლელობურთს თამაშობდენ. უშველებელ კაკალს ხან აქეთ ისროდენ და ხან იქით.

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

## 36. ჩასვი წინადადებაში სიტყვები საჭირო ფორმით:

*ნიმუში: მსახური/მოციქული*
*მან ის გააგდო - მსახურმა მოციქული გააგდო.*

1. თაგვები / წრუწუნა

მათ ის ქვევრიდან ამოიყვანეს. ..............................................................................

2. წრუწუნა / წუნა / კაკალი

მან მას ის მიართვა...............................................................................................

3. ფიცხელა / წრუწუნა

ის მას დაეხმარა. ..................................................................................................

4. მსახურები / სტუმრები

ისინი მათ მიეპარნენ. ...........................................................................................

5. მსახურები / წუნა / ბატონი

მათ ის მას მიჰგვარეს. ..........................................................................................

6. თაგვები / პატარძალი

მათ ის ტყვეობიდან იხსნეს. ...................................................................................

## ვმსჯელობთ ტექსტის შესახებ:

**37.** აირჩიე ერთ-ერთი ილუსტრაცია და აღწერე. ისაუბრე, რომელი პერსონაჟები არიან გამოსახული ილუსტრაციაზე, რას აკეთებენ ისინი, რას ამბობენ:











**38. ისაუბრე, ანიმაციური ფილმის რომელი ეპიზოდი მოგეწონა ყველაზე მეტად და რატომ, რომელი ფრაზა დაგამახსოვრდა განსაკუთრებით.**

**39. ვის მიმართავენ ანიმაციის ბოლოს ამ სიტყვებით: „რაც მინახავს, ვეღარ ნახავ"? ახსენი შენი სიტყვებით, როგორ გესმის ეს ანდაზა.**

**40. შენი აზრით, შეძლებდა თუ არა წრუწუნა წუნას დაბრუნებას მეგობრების გარეშე?**

**ნახე ვიდეო და ისაუბრე, როგორ გამოჩნდა ერთობის ძალა ამ მაგალითებში:**

[„აი რას ნიშნავს ძალა ერთობაშია"]

**ისაუბრე, რა ძალა აქვს მეგობრობას (გამოიყენე: მე ვფიქრობ..., ჩემი აზრით..., იმიტომ რომ...)**



*ანანო გოგუა, 12 წლის*

## წერითი დავალება

### 41. აირჩიე ორი დავალებიდან ერთ-ერთი და დაწერე:

ა) წარმოიდგინე, რომ ახლა ფიცხელა აღმოჩნდა გასაჭირში. მოიფიქრე პატარა ამბავი, როგორ დაეხმარება მას წრუწუნა.

ბ) გაიხსენე და მოკლედ გადმოეცი ამბავი/შემთხვევა შენი ცხოვრებიდან, წაკითხული წიგნიდან ან ნანახი ფილმიდან, როგორ დაეხმარნენ გასაჭირში ერთმანეთს მეგობრები.

### 42. ანიმაციის ნახვის შემდეგ ითამაშე სახალისო ვიქტორინა: უპასუხე კითხვებს და გამოიცანი ფრაზები, რომლებსაც ფილმის გმირები ამბობენ.

„წუნა და წრუწუნა“



*ლევან ღლონტი, 12 წლის*

# გართობის დრო

## აბა, ვინ გამოიცნობს:

1. დავკარი ხმალი[1], არ დააჩნდა კვალი[2].

ა) მიწა;
ბ) წყალი;
გ) ფურცელი.

2. მოვიდა თეთრი მოზვერი[3],
გააგდო შავი მოზვერი.

ა) თოვლი და წვიმა;
ბ) მზე და ყინული;
გ) დღე და ღამე.

3. მოვიდა შავი მოზვერი,
წაიქცა მთელი სოფელი.

ა) ღამე;
ბ) დღე;
გ) ზღვა.

4. ღამღამობით მოვფრინდები,
და დავრჩები მიწაზე,
დილით იმწამს ავფრინდები,
როგორც გამოჩნდება მზე.

ა) მთვარე;
ბ) ნამი[4];
გ) ღამურა.

5. თეთრად მოვიდა, წყნარად[5] წავიდა.

ა) მანქანა;
ბ) წვიმა;
გ) თოვლი.

[1] ხმალი – საბრძოლო იარაღი
[2] კვალი – მიწაზე დარჩენილი ნიშანი
[3] მოზვერი – ორწლამდე ხარი
[4] ნამი – ფოთოლზე ან ბალახზე გაჩენილი წვეთი
[5] წყნარად – ჩუმად, მშვიდად

# რას გვასწავლის ანდაზა

- წაიკითხე ქვემოთ მოცემული ანდაზები;
- აირჩიე ერთი, რომელიც მოგეწონება;
- ისაუბრე, რატომ აირჩიე ეს ანდაზა;
- რას გვასწავლის ეს ანდაზა?
- მოიფიქრე რაიმე ამბავი ამ ანდაზის შესახებ.

1. ფეხი იქამდე გაშალე, სადამდეც საბანი გაგწვდებაო.
2. ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო.
3. ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონსო.
4. შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო.



კატრინ ხუდანიანი, 11 წლის

## თამაშის დრო:

**ამის პატრონმა რა ქნას?**

- თითოეული მოთამაშე ირჩევს პატარა ნივთს: კენჭს, მძივს, ბეჭედს ან სხვა ამგვარ რამეს. ყველა ნივთი იყრება ქუდში ან ყუთში;
- მოთამაშეები ირჩევენ „დედას“;
- „დედა“ ისე ამოიღებს ერთ ნივთს, რომ სხვამ ვერ დაინახოს და ამბობს: „ამის პატრონმა რა ქნას?“
- დედა არჩევს ერთ-ერთ მონაწილეს, რომელიც მოიფიქრებს დავალებას;
- დავალება უნდა იყოს სასაცილო და უცნაური;
- მაგალითად: „მაგის პატრონმა იცეკვოს“, „მაგის პატრონმა იმღეროს“, „მაგის პატრონმა წყალი მოიტანოს“, „მაგის პატრონმა იყვიროს: ვირი ვარ და ვყვირივარ“, „მაგის პატრონი ხეზე ავიდეს“ და ასე შემდეგ...
- ნივთის პატრონმა უნდა შეასრულოს ეს დავალება;
- თუ ვინმე დავალებას არ ან ვერ შეასრულებს, თამაშიდან გავარდება.



გვანცა აბაშიშვილი, 12 წლის



ნინა რევიშვილი, 10 წლის

## ჩემი ლექსიკონი